საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (352)
22 - 28 ივნისი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



3 ჯორჯ სოროსი:
## ევროკავშირის კრახის ფონზე რუსეთი ზესახელმწიფო გახდება



ალექსანდრე ჭაჭია:
## უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ 4



## «მარგველაშვილი და სააკაშვილი ერთი ძალა არიან» 9



შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი ვანო მერაბიშვილს 14

## «ივანიშვილს არ აქვს უნარი, არც გამოცდილება, არც კავშირები, არც შესაძლებლობა, არც განათლება, რომ რუსეთთან ესოდენ დაძაბული ურთიერთობა დაალაგოს» 7



# ვანოს ბრძანებით ნასროლი ტყვიით... 10



3 ჯეკ მეტლოკი:
ნატოს გაფართოება შეცდომაა, უკრაინა კი ყირიმის გარეშე უკეთესად იქნება

«ივანიშვილს ჯერ კიდევ მოუწევს ელექტორატისთვის იმის ახსნა, რატომ არ არის დღემდე ნეიტრალიზებული სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხე» 8

«25 წელია, ველოდებით ევროპას, როდის აგვიშვენებს ქვეყანას და სულ უკან-უკან მივდივართ» 10

«ევროპელები ფრთიანი ანგელოზები ჰგონია ბევრს. ვინ ვაჭრობდა ქვეყნებში შესასვლელი ვიზებით, რომლებსაც ჩვენი ძალები პროცენტიანი სესხით ყიდულობდნენ?» 11

16 ორი ბიჭის «ქორწილი», როგორც სწავლების ნაწილი

16 ბრიტანეთის 80 სკოლაში ბიჭებს კაბის ჩაცმის უფლება მისცეს

17 როგორ იპყრობენ ისლამისტები ევროპას

21 «ახალი ცივი ომის შედეგებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ დასავლეთს დაეკისრება»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## თურქეთში პოლიციამ ლგბტ-თა აქცია დაარბია

**სტამბოლში პოლიციამ ლგბტ აქტივისტების წინააღმდეგ ცრემლმდენი აირი და რეზინის ტყვიები გამოიყენა, დაკავებულია 11 პირი.**

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ლგბტ წარმომადგენელთა შეკრება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის" მიზნით აკრძალა.

ლგბტ-თა კიდევ ერთი ყოველწლიური აქცია, რომელიც 26 ივნისს სტამბოლში იყო დაგეგმილი, ასევე აიკრძალა.



## 1 ივლისიდან პენსია 180 ლარამდე მოიმატებს

**საქართველოში 1 ივლისიდან პენსია 20 ლარით გაიზრდება. ამის თაობაზე განაცხადა ტელეკომპანია „ტვ პირველის" ეთერში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.**

„პენსია 1 ივლისს 180 ლარი გახდება, ხოლო სექტემბრიდან 216 ლარს მიაღწევს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის", —აღნიშნა ხადურმა.

საქართველოში ასაკობრივი პენსიონერები, რომელთა რაოდენობაც 700 ათასზე მეტია, 2015 წლის პირველი სექტემბრიდან 160 ლარის ოდენობის პენსიას იღებენ, რაც ადრინდელ ოდენობას 6,6%-ით აღემატება. მანამდე პენსიები 2013 წლის სექტემბერში გაიზარდა და 150 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა მუშაობს საპენსიო რეფორმაზე, რომელიც 2017 წლიდან დაგროვებითი სიტემის დანერგვას ითვალისწინებს.

საქართველოში კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება, ხელს შეუწყობს მომავალში პენსიონრებისთვის უფრო მაღალი საპენსიო შემოსავლის მიღებას.

დაგროვებითი სისტემა მომავალში პენსიონრებისთვის შემოსავლის წყარო იქნება.

„საპენსიო რეფორმის კონცეფციის თანახმად, შემუშავებული იქნება ინდექსაციის მექანიზმი, რომლის შესაბამისად, სოციალური პენსია ყოველწლიურად გაიზრდება, სულ ცოტა, ინფლაციის დონეზე. დღეს არსებული სისტემით, პენსიონრები, ფაქტობრივად, არ არიან დაცულნი ინფლაციური მოვლენებისაგან და არ არსებობს მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება არსებული პენსიის გაზრდა. ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი მეთოდის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფს პენსიონერთა უკეთეს დაცვას", — აღნიშნეს სამინისტროში. დაგროვებითი სისტემის შექმნა აპრობირებულია მრავალ ქვეყანაში. საქართველოში მისი შემოღება 2017 წლის მესამე კვარტლიდან იგეგმება.

## სტრასბურგის სასამართლომ ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის — ზურაბ ჭანკოტაძის საქმეზე განაჩენი გამოიტანა

როგორც სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტშია ნათქვამი, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ჭანკოტაძის სისხლის სამართლის წესით გასამართლებაზე არღვევს ადამიანის უფლებების შესახებ კანონს. **ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძე სამართალდამცველმა ორგანოებმა 2004 წლის მარტში თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.**

სტრასბურგის სასამართლოს განაჩენით, საქართველომ ზურაბ ჭანკოტაძეს უნდა გადაუხადოს 20 000 ევრო მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით და 15 000 ევრო ხარჯების კომპენსაციის სახით.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზურაბ ჭანკოტაძის საქმეში დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება) და მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

## «სტრასბურგის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლება ამას გააკეთებს»

**ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში — კრისტიან ურსემ ვანო მერაბიშვილის საქმეზე საუბრისას განაცხადა, რომ სტრასბურგის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს.**



„ტექნიკური თვალსაზრისით, სტრასბურგის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამას გააკეთებს", — განაცხადა ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში.

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის, ვანო მერაბიშვილის, საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ოფიციალური პრესრელიზი 14 ივნისს გამოაქვეყნა. დოკუმენტის სათაური შემდეგია: „საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის, ვანო მერაბიშვილის, წინასწარი პატიმრობა კანონიერი იყო და ეფუძნებოდა გონივრულ საფუძველს, თუმცა, ამასთანავე, გამოყენებულ იქნა მასზე ზეწოლის ხერხად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ: **არ დარღვეულა** ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პარაგრაფი 1 (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება), რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს; **არ დარღვეულა** კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი (გონივრულ ვადებში სასამართლო გარჩევის ჩატარება ან სასამართლომდე გათავისუფლება), რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის შესახებ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლიანობას; **დაირღვა** კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი, რომელიც ეხება მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის გადახედვის შესახებ 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებას. **დაირღვა** კონვენციის მე-18 მუხლი (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მე-5 მუხლის პარაგრაფ 1-თან ერთობლიობაში, იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა ასევე იქნა გამოყენებული პროკურატურის მიერ, როგორც შესაძლებლობა, მოეპოვებინა ბერკეტები ამ საქმესთან დაუკავშირებელი გამოძიებისთვის, კერძოდ, ყოფილი პრემიერმინისტრის, ზურაბ ჟვანიას, გარდაცვალების საქმეზე, ასევე საქართველოს ექსპრეზიდენტის ფინანსური საქმიანობის გამოსაძიებლად", — ნათქვამია სტრასბურგის სასამართლოს პრესრელიზში.



## ნოდარ ჯავახიშვილი: ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა მთავარი პროკურატურის მიერ ვანო მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა.**

„როგორ გგონიათ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი იმით უნდა იყოს დაკავებული, ვინმე ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება თუ არა? როგორც მინისტრი, ისე არ გეტყვით, მაგრამ ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე უნდა იჯდეს ციხეში. ვანო მერაბიშვილი ციხეში იჯდება თუ არა, ეს არც არაფორმალურ მმართველობაზე მიუთითებს და არც ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ვანო მერაბიშვილი გარეთ რომ იყო, მაშინ იყო ყველას უფლებები დარღვეული. მის გვერდით უნდა იჯდეს არაერთი მისი ძმა და მეგობარი", — განაცხადა ნოდარ ჯავახიშვილმა.

## ონკოლოგთა ასოციაცია ხელისუფლებას თამბაქოს კონტროლის გამკაცრებას სთხოვს

**კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში ონკოლოგთა ასოციაციამ საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას საგანგებო განცხადებით მიმართა და თამბაქოს კონტროლის გამკაცრების მიზნით კანონმდებლობისა და ადმინისტრირების წესების შეცვლა მოითხოვა.**



„მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია და ათასობით ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დგას. ამიტომაც ვუერთდებით თამბაქოს კონტროლის ალიანსის ინიციატივას და მოვითხოვთ, პარლამენტმა უახლოეს პერიოდში განიხილოს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა, რომლის მიღების შედეგად ყველა დახურული ტიპის შენობა-ნაგებობასა და ტრანსპორტში აიკრძალება თამაბაქოს მოწევა, თუ უარს ვიტყვით თამბაქოს რეკლამასა და პოპულარიზაციაზე, გამარტივდება ადმინისტრირება, გაიზრდება საჯარიმო სანქციები და განხორციელდება მსოფლიოში აპრობირებული ღონისძიებები.

მრავალ ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის გამკაცრების შემდეგ სწრაფი ტემპით იკლებს ფილტვის კიბოს სტატისტიკა. საქართველოში კი ონკოლოგიური დაავადებები საგანგაშოდ იზრდება. სიმსივნეს მრავალი მიზეზი იწვევს, მათ შორის თამბაქოს მოხმარება. წელიწადში 10 000-ზე მეტი ადამიანი ნაადრევად გვეღუპება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით. ყოველდღიურად მატულობს თამბაქოთი გამოწვეული სიმსივნეების, განსაკუთრებით ფილტვის კიბოს, შემთხვევები. აღნიშნული დაავადებები ახალგაზრდავდება და უკვე ხშირია ქალებს შორის. ანალოგიური მდგომარეობაა გულ-სისხლძარღვთა, რესპირაციული, პედიატრიული, რეპროდუქციული და მრავალი სხვა დაავადების მხრივ.

სახელმწიფომ საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა კლინიკური პროგრამების სახით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ დაავადებათა სამკურნალოდ, ვიბრძვით ექიმები, მაგრამ უამრავი პათოლოგიის თავიდან აცილება უფრო იოლად შეიძლება თამბაქოზე კონტროლის გამკაცრებით. ამიტომაც ვთხოვთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს, ნუ გადადებთ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვას და დაუყოვნებლივ მიიღეთ კანონი, რომელიც შეამცირებს თამბაქოს მოხმარებას და მისი მომაკვდინებელი ზეგავლენისგან თაობებს გადაარჩენს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ კიდევ უფრო გაიზრდება თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული საგანგაშო ციფრები, რომელიც მხოლოდ ფურცელზეა ციფრი, სინამდვილეში კი ჩვენ ადამიანებს ვკარგავთ", — ნათქვამია ონკოლოგთა ასოციაციის საგანგებო განცხადებაში.

## ჯანდაცვის ორგანიზაციამ, შესაძლოა, წვრილი სიგარეტის აკრძალვის რეკომენდაცია გასცეს



**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციის მხარეების კონფერენციაზე, რომელიც დელიში ნოემბერში გაიმართება, შესაძლოა, სიგარეტის წვრილი ფორმატის შეზღუდული ან სრული აკრძალვის საკითხი დადგეს.**

ამ წინადადებას რეკომენდაციის სახე ექნება. თამბაქოს კომპანიები შიშობენ, რომ ამ რეკომენდაციას, ადრინდელის მსგავსად, მომავალში შეიძლება კონვენციის მონაწილე ქვეყნებისთვის საკანონმდებლო სტატუსი მიეცეს. ჯანდაცვის ორგანიზაციის მოსაზრებებს თამბაქოს მწარმოებლები ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ მოწევის გავრცელებას წვრილი ან ფილტრში კაფსულიანი სიგარეტი ნამდვილად არ უწყობს ხელს. ამასთან, ამ აკრძალვამ შეიძლება არალეგალური თამბაქოს ბაზრის ჩამოყალიბება გააქტიუროს.



## ახალგაზრდა მამაკაცმა დონალდ ტრამპის მკვლელობა სცადა

**18 ივნისს ლას-ვეგასში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე ახალგაზრდა მამაკაცმა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის — დონალდ ტრამპის მკვლელობა სცადა. ის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლის იარაღის ხელში ჩაგდებას შეეცადა.** 19 წლის მაიკლ სტივენ სენფორდი ტრამპის მოსაკლავად ნიუ-ჯერსიდან ნევადაში ჩავიდა. მაიკლ სტივენ სენფორდის ჩვენებიდან ირკვევა, რომ იგი დონალდ ტრამპზე თავდასხმას მთელი წლის განმავლობაში გეგმავდა; გამოტყდა იმაშიც, რომ აქამდე არასდროს უსროლია იარაღიდან და 17 ივნისს გაიარა სროლის მოკლე კურსი. სენფორდს გაცნობიერებული ჰქონდა, რას სჩადიოდა. მან იცოდა, რომ მოასწრებდა მხოლოდ ორჯერ გასროლას და შემდეგ მას დაცვა მოკლავდა.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჯეკ მეტლოკი: ნატოს გაფართოება შეცდომაა, უკრაინა კი ყირიმის გარეშე უკეთესად იქნება

**ამერიკის ორმა ყოფილმა ელჩმა ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოთქვა მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობის შეფასებისას, აგრეთვე, ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე დაძაბულობის გაღრმავებაში.**



**მაიკლ მაკლოფმა** და **ჯეკ მეტლოკმა** თავიანთი შენიშვნები აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე წარადგინეს. მაკლოფი (2012-2014 წლებში აშშ-ის ელჩი რუსეთში) და მეტლოკი (1987-1991 წლებში აშშ-ის ელჩი სსრკ-ში), როგორც ჩანს, შეთანხმდნენ, რომ ბოლო წლებში რუსეთის საშინაო პოლიტიკამ გადამწყვეტი გავლენა იქონია კრემლის საგარეო პოლიტიკაზე.

„რუსეთშიც და უკრაინაშიც ყველაფერი გამომდინარეობს საშინაო პოლიტიკიდან, ამერიკის საშინაო პოლიტიკის ძლიერებისა თუ სისუსტისგან დამოუკიდებლად, — შენიშნა მაკლოფმა, — ეს ტრაგიკული მომენტია ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობაში. მე ეს სულაც არ მიხარია, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს ყოვლისმომცველი პოლიტიკა რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, ჩვენ მაშინ უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთის მთავრობასთან, როდესაც ეს ჩვენს ინტერესებში შედის და არც რუს საზოგადოებასთან ურთიერთქმედება უნდა დავივიწყოთ“.

თავის მხრივ, **ჯეკ მეტლოკმა** ისაუბრა აშშ-ისთვის ასეთი პოლიტიკისგან მომდინარე საფრთხეზე. მან თქვა, რომ რუსეთმა ასეთი პოლიტიკა შეიძლება აღიქვას, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა, რომელზეც არაერთხელ განუცხადებია პრეზიდენტ პუტინს. „პუტინმა შეიძლება დაუშვა შეცდომები, მაგრამ პუტინის მთავრობა რუსების საქმეა, მათ თვითონ უნდა გადაწყვიტონ ყველაფერი“, — აღნიშნა მეტლოკმა. მან, აგრეთვე, მიუთითა, რომ ელჩად ყოფნისას მხარს არ უჭერდა ნატოს გაფართოებას და აღიარა, რომ ზოგჯერ ალიანსი აშშ-ისთვის უსიამოვნებების წყაროა.

**„პოლიტიკა განისაზღვრება აღქმით და რუსეთის აღქმა არის ის, რომ ჩვენ თანმიმდევრულად ვმოქმედებდით მის წინააღმდეგ, ვცდილობდით, ალყა შემოგვერტყა და ვერეოდით მის საშინაო პოლიტიკაში. რაც შეეხება უკრაინას, მას არაფერი გამოუვა რუსეთთან კარგი ურთიერთობის გარეშე. დასავლეთს კი ოდესმე მოუწევს დათანხმება ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიაზე. უკრაინისთვის უკეთესია უყირიმოდ ყოფნა“,** — აღნიშნა მეტლოკმა.

> **«პოლიტიკა განისაზღვრება აღქმით და რუსეთის აღქმა არის ის, რომ ჩვენ თანმიმდევრულად ვმოქმედებდით მის წინააღმდეგ, ვცდილობდით, ალყა შემოგვერტყა და ვერეოდით მის საშინაო პოლიტიკაში. რაც შეეხება უკრაინას, მას არაფერი გამოუვა რუსეთთან კარგი ურთიერთობის გარეშე. დასავლეთს კი ოდესმე მოუწევს დათანხმება ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიაზე. უკრაინისთვის უკეთესია უყირიმოდ ყოფნა»**



## ჯორჯ სოროსი: ევროკავშირის კრახის ფონზე რუსეთი ზესახელმწიფო გახდება

**ევროკავშირის ნგრევის ფონზე რუსეთის ფედერაცია შეიძლება მსოფლიოს ზესახელმწიფოდ იქცეს! — განაცხადა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა მიხეილ ხოდორკოვსკის ორგანიზაცია „ღია რუსეთის“ მიერ ლონდონში მოწყობილ ღონისძიებაზე, — იუწყება სააგენტო „როიტერი“.**

სოროსის აზრით, ამჟამინდელი ვითარება ძალიან ჰგავს ევროპის არასახელმწიფოებრივი გაერთიანების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას სსრკ-ის დაშლის წლებში.

ივნისის დასაწყისში სოროსი ამბობდა, რომ მიგრაციული კრიზისის, საბერძნეთის სირთულეების, აგრეთვე, ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შესაძლებლობიდან გამომდინარე, არსებობს ევროკავშირის დაშლის „კარგი შანსი“. ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლამ კი, სოროსის აზრით, „შეიძლება სხვა წევრების ანალოგიური ქმედების პროვოცირება გამოიწვიოს და ევროკავშირის დაშლა, პრაქტიკულად, გარდაუვალი იქნება“.

ჯორჯ სოროსმა ცოტა ხნის წინათ ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში“ გამოაქვეყნა სტატია. მან ლონდონი გააფრთხილა შესაძლო „შავ პარასკევზე“, რომელიც, მილიარდერის აზრით, დადგება მოსახლეობის მიერ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლისთვის მხარდაჭერიდან მეორე დღეს. სოროსმა დასძინა, რომ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლისადმი მხარდაჭერით ბრიტანელები ხელს შეუწყობენ გირვანქა სტერლინგის კურსის დაცემას ევროს დონემდე და გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის უმეტესობა გაღარიბდება.

რეფერენდუმი ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის შესაძლო გასვლაზე 23 ივნისს გაიმართება. გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვას: უნდა დარჩეს გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის წევრად თუ დატოვოს ევროკავშირი?



## შვედეთის პრემიერი: ნატო აქტუალური არ არის

**შვედეთის პრემიერმინისტრმა სტეფან ლევენმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნისთვის ნატოში შესვლა აქტუალური არ არის. ლევენის აზრით, ქვეყანამ ნეიტრალიტეტის 200-წლიანი პოლიტიკა უნდა განაგრძოს, რადგან ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფდა შვედეთისთვის მშვიდობას და უზრუნველყოფს მომავალშიც.**

როგორც ჩანს, შვედი საზოგადოება ვერ შეაშინეს გამოგონილი რუსული საფრთხით — ნატოს პროპაგანდისტულმა მანქანამ სათანადოდ ვერ იმუშავა. ისე, რატომ უნდა გახდნენ შვედები რუსული რაკეტების მიზანი, გაუგებარია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნატოში შვედეთის შესვლის შემდეგ ამერიკელებს შეეძლებათ თავიანთი სამხედრო ბაზები განალაგონ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო, როგორ იქცევიან და რას სჩადიან ამერიკელები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, ოკინავაზე განვითარებული მოვლენებიდან ჩანს.

## ამერიკელი კონგრესმენი: ობამა და კლინტონი დამნაშავენი არიან «ისლამური სახელმწიფოს» ჩამოყალიბებასა და ქმედუუნარო სახელმწიფოების გაჩენაში

**კონგრესმენმა რესპუბლიკური პარტიიდან მაიკ მაკკოლმა, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შიდა უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელმა, ტელეარხ ABC NEWS-ის ეთერში გამოსვლისას ქვეყნის ხელმძღვანელობა ახლო აღმოსავლეთში წარმოებული პოლიტიკის ჩაფლავებაში დაადანაშაულა.**



ორლანდოს ტერაქტის (დაიღუპა 49 ადამიანი) შედეგებზე მსჯელობისას, მაიკ მაკკოლმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ობამა, მის მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო, პასუხისმგებელია მომხდარ ტრაგედიაზე. კონგრესმენის აზრით, აშშ-ის ადმინისტრაციას ბოლო 3,5 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია რადიკალური ჯიჰადიზმის პრობლემის მოსაგვარებლად, რომელმაც „ისლამური სახელმწიფოს“ სახით პოზიციები გაიმყარა სირიაში, ერაყსა და ლიბიაში.

„ამ პოლიტიკის არქიტექტორი, უწინარესად, არის ჰილარი კლინტონი. სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში ერაყსა და სირიაში. არაბული გაზაფხული გადაიქცა არაბულ ზამთრად. მე ახლახან დავბრუნდი ეგვიპტიდან და ტუნისიდან, სადაც მივიღე ინფორმაცია ლიბიაში არსებული ვითარების შესახებ. ლიბია ქმედუუნარო სახელმწიფოდ ყალიბდება. და ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ სამ-ნახევარი წლის განმავლობაში სათანადო სამხედრო სტრატეგია არ გვქონდა „ისლამური სახელმწიფოს მიმართ“.

უფრო ადრე მაკკოლმა ხელისუფლება გააფრთხილა, რომ ორლანდოს ტერაქტი „არ იქნება ბოლო შეტევა, რომელიც აშშ-ის ტერიტორიაზე განხორციელდება, რადგან დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში კიდევ არიან რადიკალური ისლამიზმის ომარ მატინის მსგავსი მომხრეები“.

## იაპონელებმა აშშ-ის მთავარ საგანძურზე აღმართეს ხელი

### ოკინაველები ამერიკელ სამხედროებს 6 ათასამდე ბოროტმოქმედების ჩადენაში ადანაშაულებენ

**აშშ-ის სამხედრო ბაზების თანამშრომელთა უკანონო ქმედებების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია, რომელშიც ოკინავაზე მცხოვრები 65 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ესიჰიდე სუგამ შეიმუშავა ეშმაკური გეგმა, როგორ დასაჯოს ამერიკელები.**

იაპონელმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ ხელისუფლება მიიღებს ზომებს ქვეყანაში ამერიკელი სამხედროების სტატუსის გადასახედად.

ამრიგად, ამერიკელებს შეიძლება წაართვან მათი მთავარი საგანძური — **განსაკუთრებულობა,** მასთან ერთად კი **ხელშეუხებლობა** და **დაუსჯელობაც** კი. მათ გარეშე ამერიკელ ჯარისკაცებს სევდა ეუფლებათ და მოწყენილები არიან.

სწორედ ასე მოხდა ცოტა ხნის წინათ, როდესაც ამერიკელი საზღვაო ქვეითები ტყვედ აიყვანეს ირანელმა მესაზღვრეებმა. იმ დღეს იანკები მიხვდნენ, რომ მათი განსაკუთრებულობის შესახებ ირანელებმა არაფერი იციან და შეიძლება დახოცონ კიდეც. სწორედ ამიტომ აქვითინდნენ. რა თქმა უნდა, ოკინაველებმა სხვა მოთხოვნები წამოაყენეს — რომ მათ კუნძულზე დაიხუროს ამერიკული ბაზები, მაგრამ ეს ხომ ამერიკული ჰეგემონიისთვის პირდაპირი საფრთხეა?! ამ დემარშის შემდეგ როგორ შეხედავს ტოკიო თვალებში ვაშინგტონს, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ **ამას ამერიკელები უპასუხოდ არ დატოვებენ. შეიძლება შემთხვევით ატომური ბომბიც კი გაუვარდეთ ხელიდან და მერე ამას შეცდომა დაარქვან, ისევე, როგორც ამართლებენ ახლო აღმოსავლეთში საავადმყოფოების დაბომბვას. იაპონიას კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეყოფა ახალი ჰიროსიმა და ნაგასაკი.**

როგორ დასრულდება იაპონიის ხელისუფლების დაპირისპირება ამერიკის ჰეგემონიასთან, რთული გამოსაცნობია, მაგრამ, რადგან უკვე საჯაროდ განაცხადეს, იაპონელებს უკან დასახევი გზა აღარ დარჩათ. აღსანიშნავია, რომ 1972 წლიდან 44 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც იაპონიის კუნძულ ოკინავაზე აშშ-ის სამხედრო ბაზა განლაგდა, ამერიკელმა სამხედროებმა 5,8 ათასი დანაშაული ჩაიდინეს, მათ შორის, მკვლელობა და გაუპატიურება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეხედეთ ევროპელ პოლიტიკოსებს, მათი უმეტესობა ხომ დეგენერატია — პედერასტი, ლესბოსელი, ხეპრე, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი ხალხების ეროვნულ ინტერესებზე. ყველა გაჰყვირის ადამიანის უფლებებზე, თუმცა სულ არ აინტერესებთ ადამიანის ბუნებრივი, ფუნდამენტური უფლებები — სიცოცხლის, შრომის, ჯანდაცვისა და განათლების უფლება, არც ხალხების უფლება — იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ალმსარებლობის შესაბამისად“.**

# ალექსანდრე ჭაჭია: უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ

(„ასავალ-დასავალი“, 2016 წლის 16 და 23 ივნისი, № 23, 24)

**ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია დიდი ხნის დუმილს არღვევს და იმ გამოწვევების შესახებ საუბრობს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გადაჯიშებით, გადაგვარებით ან სულაც გადაშენებით ემუქრება. ვფიქრობთ, „ასავალ-დასავალის“ მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით გაეცნობა ვიწრო ქართული და გლობალური პოლიტიკური პროცესების იმ უაღრესად კომპეტენტურ და მაღალმეცნიერულ ანალიზს, რომლითაც ქართული პრესა განებივრებული ნამდვილად არ არის.**



**— ბატონო ალექსანდრე, საქართველო საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. რას ელით ამ არჩევნებისგან?**

— საქართველოში არჩევნები, კარგა ხანია, აღარ არის ქართველი ხალხის პოლიტიკური ნების გამოხატულების აქტი. **საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასისგან ქვეყნის უცხოელი კურატორების მიერ იქმნება ხელისუფლების ის კონფიგურაცია, რომელსაც ისინი თვლიან საჭიროდ მოცემულ ეტაპზე.** ასე მაგალითად, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ სააკაშვილისა და მისი ჯგუფის ხელისუფლებაში დატოვებამ შეიძლება ქვეყნის მართვის სადავეების დაკარგვა და სოციალური აფეთქებაც კი გამოიწვიოს, ფსონი დადეს **ივანიშვილზე.** მას შეუკოწიწეს პოლიტიკური ძალა მათ მიერვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური კლასის იმ ნაწილისგან, რომელსაც მანამდე ოპოზიციაში ამყოფებდნენ. **იცოდნენ რა, რომ ახალი ხელისუფლება ვერანაირ პრინციპულ წარმატებას ვერ მიაღწევდა (ეს არც იყო მისი ამოცანა), ამერიკელებმა წინდაწინ დაიწყეს მისთვის ოპოზიციის შექმნა — კოალიციისგან ნაწილების მოწყვეტითა და პარალელურად ახალი სტრუქტურების შექმნით.** მე არ ვიცი, ხელისუფლების როგორი კონფიგურაციის შექმნას ჩათვლიან ისინი საჭიროდ უახლოესი 4 წლისთვის, მაგრამ **ახალი ხელისუფლებაც იქნება იმ პოლიტიკური კლასის ნაწილი, რომელიც ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს რეგიონში თავიანთი ინტერესების სარეალიზაციოდ. შეხედეთ რესპუბლიკურ პარტიას: რეიტინგი — ნულოვანი, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეს პარტია სძულს, მაგრამ ისინი არც კი ცდილობენ მოსახლეობის სიმპათიის მოპოვებას, მათ არ აღელვებთ ხალხის აზრი და ნება, ვინაიდან იციან, რომ ამერიკელების მჭიდში სხედან და პატრონეები უსაქმურად არ დატოვებენ.**

პარლამენტში, რა თქმა უნდა, შეიძლება მოხვდეს ეროვნულ-პატრიოტული ორიენტაციის 5-7 პიროვნება, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებაზე მათ, ბუნებრივია, არანაირი გავლენა არ ექნებათ.

**— არის იმის ალბათობა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში პატრიოტული ძალები მოვიდნენ?**

— არა, ასეთი ალბათობა უახლოეს მომავალში არ არის. პირველ რიგში, **საქართველოში არ არსებობს ეროვნულ ფასეულობებსა და პატრიოტულ მიზნებზე ორიენტირებული სერიოზული პოლიტიკური პარტია, რომელსაც ქვეყნის ალტერნატიული განვითარების კონცეფცია გააჩნია. თითქმის ყველა პარტია და პოლიტიკური ლიდერი შევარდნაძის მიერ შექმნილი „მოქალაქეთა კავშირის“ პროდუქტია. ისინი პერიოდულად, საჭიროების მიხედვით — ამერიკული სქემის შესაბამისად — გამოეყოფოდნენ ხოლმე „დედა-პარტიას“, გადადიოდნენ ოპოზიციაში, შემდეგ, სარგებლობდნენ რა რეჟიმისადმი საყოველთაო სიძულვილით, მოდიოდნენ ხელისუფლებაში. ჩვენთან ხომ ყოველი ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებისადმი სიძულვილის ტალღაზე მოდის.** სააკაშვილი იმიტომ აირჩიეს, რომ სძულდათ შევარდნაძე, ივანიშვილი — იმიტომ, რომ სძულდათ სააკაშვილი. **გონიერი ადამიანები ხვდებოდნენ, რომ ივანიშვილის ყველა დაპირება — აფხაზეთის დაბრუნება, საქართველოს გადაქცევა დუბაიდ, ასობით ფაბრიკა-ქარხნის აგება, სამართლიანობის აღდგენა — ფუჭია.** მაგრამ, რადგან ნათელი იყო, რომ მან სააკაშვილის გადაყენების ნებართვა მიიღო, აქტიურად დავუჭირეთ მხარი ივანიშვილის კოალიციას, რომლის ძირითადი ფიგურები „მოქალაქეთა კავშირის“ წიაღში იშვნენ, მათი მსოფლმხედველობა კი არაფრით განსხვავდება სააკაშვილისა და მისი კომპანიის მსოფლმხედველობისგან. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან **ყველა ამ პოლიტიკური დაჯგუფების კადრების სამჭედლოს წარმოადგენს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით შექმნილი სოროსული არასამთავრობო ორგანიზაციები.** როდესაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო ამ ე.წ. არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბების პროცესი, ჩვენი **საზოგადოებრიობა გაკვირვებას ვერ მალავდა: სად პოულობენ ამ ფიზიკურად და ზნეობრივად მახინჯებს და რისთვის სჭირდებათ ისინი ამერიკელებსო? იმხანად „ასავალ-დასავალში“ ვწერდი, რომ ეს მახინჯები ხვალ საქართველოს ხელისუფლებაში მოვლენ-მეთქი. ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა სასაცილოდ აიგდო ჩემი ეს სიტყვები, წერდნენ, რომ ჩემი ფანტაზიებით ხალხს ვაშინებ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, სწორედ ეს მახინჯები შეადგენენ ქართულ პოლიტიკურ კლასს, მათგან ყალიბდება პარლამენტი და მთავრობა, სწორედ ისინი მართავენ ქვეყანას ბოლო 20 წლის განმავლობაში.** სხვათა შორის, ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის. ანალოგიური ვითარებაა ამერიკელების მიერ კონტროლირებად ყველა ქვეყანაში. უფრო მეტიც, გაიხსენეთ, როგორი ნაძირალები მართავდნენ რუსეთს ელცინის პერიოდში, როდესაც იქ ვითარებას ამერიკელები აკონტროლებდნენ. ან **შეხედეთ ევროპელ პოლიტიკოსებს, მათი უმეტესობა ხომ დეგენერატია — პედერასტი, ლესბოსელი, ხეპრე, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი ხალხების ეროვნულ ინტერესებზე. ყველა გაჰყვირის ადამიანის უფლებებზე, თუმცა სულ არ აინტერესებთ ადამიანის ბუნებრივი, ფუნდამენტური უფლებები — სიცოცხლის, შრომის, ჯანდაცვისა და განათლების უფლება, არც ხალხების უფლება — იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ალმსარებლობის შესაბამისად.**

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ აშშ-მა 30 ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბა, დაამხო ან შეეცადა, დაემხო კანონიერი ხელისუფლება 50 ქვეყანაში, დახოცა მილიონობით ადამიანი. ადამიანის რომელ უფლებებზე ლაპარაკობენ ისინი?!** სიცოცხლის უფლებას, ფაქტობრივად, უგულებელყოფენ და თავს გვახვევენ ადამიანის უფლებების გაგებას, როგორც ცხოველური ინსტინქტების, ყველაზე ქვენა გრნობების რეალიზაციას, რომელსაც მსოფლიოს ყველა რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ვინაიდან ცდილობს, იხსნას ადამიანების საზოგადოება გაპირუტყვებისგან. **„ევროპული ფასეულობების“ ნიღბით ამ პირუტყვული ინსტინქტების ხალხებისთვის თავსმოხვევით, ძალები, რომლებიც აკონტროლებენ დასავლურ სამყაროს, ზრდიან დეგენერატების თაობას, ქმნიან დეგენერატულ პოლიტიკურ კლასს, რომლისგანაც აყალიბებენ პარტიებს, მთავრობებს, პარალელურად კი ხელში იგდებენ დაქვემდებარებული ქვეყნების რესურსებს.**

**— თვითონ ქართველ საზოგადოებას არ შეუძლია ჩამოყალიბება პატრიოტული პოლიტიკური ძალისა, რომელიც შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას?**

— არა, არ შეუძლია. ჯერ ერთი, ჩვენი საზოგადოება, რომელიც ბევრჯერ მოატყუეს, მნიშვნელოვანწილად დემორალიზებულია; მეორე — ინტელექტუალურად, პროფესიონალურად და მორალურად გამოსადეგი ადამიანების უმრავლესობამ ზურგი აქცია პოლიტიკას. **მე არ ვიცი ქართველი საზოგადოების არც ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი, რომელსაც სურვილი ექნებოდა, დამჯდარიყო ამჟამინდელ ან მის წინამორბედ პარლამენტში, ჩართულიყო დისკუსიაში უვიც, დეფექტიან ნაციონალებთან, რესპუბლიკელებთან ან უნებისყოფო, უნიათო „მეოცნებეებთან“. ჭკვიან ადამიანებს ესმით, რომ კოლონიურად დამოკიდებული ქვეყანა დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ აწარმოებს.** მახსოვს, როდესაც ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელს დაუსვეს შეკითხვა რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების დაწესების შესახებ, მან განაცხადა: ვიდრე პასუხს გაგცემთ, ამ საკითხზე ამერიკელი მეგობრების აზრი უნდა გავიგოო. ანუ, გარდა იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელს თავისი თვალსაზრისი არ აქვს, აპირებს, რჩევის მისაღებად მიმართოს არა პარტიის ან ფრაქციის წევრებს, არამედ ამერიკელებს(!). ასეთი მონური დამოკიდებულების პირობებში რომელ ეროვნულ პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი?! და ღირსების მქონე რომელი ადამიანი დათანხმდება, ამერიკელთა დირექტივების გამხმოვანებელ თუთიყუშად იქცეს?!

**თუკი ქართველი საზოგადოების პატრიოტული ძალები ეროვნული განვითარების პროგრამის ბაზაზე მაინც შეძლებენ კონსოლიდირებას, მოიძიებენ სახსრებს საორგანიზაციო და საინფორმაციო-პროპაგანდისტული სამუშაოებისთვის და მიიღებენ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას (საჭიროა ისეთი მხარდაჭერა, რომ 20-პროცენტიანი ფალსიფიკაციის შემთხვევაშიც კი ლიდერად დარჩე), მაშინ აშშ, ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთი არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ. არჩევნების შედეგების დასაცავად საჭირო იქნება საერთო სახალხო მხარდაჭერა, პირდაპირი კონფრონტაცია ქვეყნის მეპატრონეებთან. მზად არის კი ქართველი ხალხი ასეთი კონფრონტაციისთვის? ვფიქრობ, არა.** იცით, რამდენიმე დღის წინათ რა მოხდა ავსტრიაში? იქ საპრეზიდენტო არჩევნებში იმარჯვებდა ეროვნული ორიენტაციის პოლიტიკოსი, რომელიც ავსტრიის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, შენარჩუნების მოწოდებით გამოდის. ავსტრიაში ხომ კატასტროფული მდგომარეობაა. რად ღირს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ავსტრიელი მოსწავლეების 50 პროცენტისთვის გერმანული მშობლიური ენა არ არის — ისინი ემიგრანტები არიან... მაგრამ ბოლო მომენტში მის მოწინააღმდეგეს, ლიბერალს მწვანეთა პარტიიდან, 50,1% დაუწერეს და გამარჯვებულად გამოაცხადეს.

**— წინა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ივანიშვილი ხალხს რუსეთთან ურთიერთობის რეგულირებას დაჰპირდა, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოგვარების საქმეში წინ წაწევას. არაფერი გაკეთებულა. პრინციპში, არსებობს კი პერსპექტივები ამ მიმართულებებით?**

— რუსეთთან ურთიერთობა — ეს არის საგარეო პოლიტიკა, **საქართველოს საგარეო პოლიტიკა კი საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივა არ არის, ეს ამერიკელი კურატორების პრეროგატივაა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სასაცილოდ არ ეყოფათ, თუკი შეიტყობენ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივის შესახებ. ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურაც კი ისეთი შექმნეს, რომ საგარეო-პოლიტიკური აქტიურობა სრულიად გამორიცხულია.** წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, საქართველოს ხელმძღვანელებს ორმხრივ პრობლემებზე დაელაპარაკოს. ვის უნდა შეხვდ-

►

**„ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია, ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას“.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს? საქართველოს პრეზიდენტს? განა ის რამეს წყვეტს? **წარმოგიდგენიათ პუტინისა და მარგველაშვილის შეხვედრა? რაზე უნდა ილაპარაკონ? ან იქნებ, პრემიერს შეხვდეს? მაგრამ პრემიერს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება? იქნებ ივანიშვილს შეხვდეს? და ვინ არის ივანიშვილი, რომ რუსეთის პრეზიდენტი შეხვდეს და მასთან რაღაც საკითხებზე იმსჯელოს? ანუ, საქართველოში არ არის თანამდებობის პირი, რომელთანაც რეალურად შეიძლება მაღალ დონეზე შეხვედრა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მსჯელობა, ამიტომ საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს (ასეთი იშვიათად, მაგრამ მაინც წარმოიქმნება ხოლმე) რუსეთი ამერიკელებთან დიალოგში წყვეტს. სხვათა შორის, ასევე იქცევა თურქეთიც და ევროკავშირიც.**

შესაბამისად, ლაპარაკი არც არის რაღაც პროგრესზე აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობებში. ჩვენი ყველა ხელისუფლება, შევარდნაძის ხელისუფლებით დაწყებული, არანაირ რეალურ ძალისხმევას არ იჩენდა ტერიტორიული პრობლემის მოსაგვარებლად. მუშაობის ამ უბანზე ყოველთვის ინიშნებოდნენ უვარგისი, უფერული, კომიკური ფიგურები, რომლებსაც მოწინააღმდეგე მხარესთან დალაპარაკების შანსიც კი არ ჰქონდათ. და ეს გასაგებიცაა. **ამერიკელები არ დაუშვებენ ჩვენს დაახლოებას გამოყოფილ ტერიტორიებთან და ხალხებთან იმიტომ, რომ ასეთი დაახლოება გამორიცხავს რიტორიკას ნატოში შესვლაზე, ამერიკის ბაზებზე, ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე და ა.შ. ეს ყველაფერი კატეგორიულად მიუღებელია აფხაზებისა და ოსებისთვის. სწორედ ამიტომ რჩება ტერიტორიული პრობლემა მოუგვარებელი და ამ საკითხში არანაირი წინსვლა არც ამჟამინდელი და არც მომავალი ხელისუფლების პირობებში მოსალოდნელი არ არის. იმ პოლიტიკურმა კლასმა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში, უკვე დიდი ხანია, უარი თქვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.** მაგრამ მოსახლეობა მზად უნდა იყოს, რომ პოლიტიკოსები ამ თემაზე დაიწყებენ სპეკულირებას, როგორც სპეკულირებდნენ შევარდნაძეც, სააკაშვილიც და ივანიშვილიც, როდესაც ხალხს ამ პრობლემის „ორ წელიწადში“ გადაწყვეტას ჰპირდებოდნენ.

**— ბევრი იმედოვნებდა, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამდა აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დასამყარებლად, კრიზისიდან გამოსვლის ურთიერთმისაღები გზების მოსაძებნად...**

— დიახ, იყო ასეთი იმედები. იგი ახალი ადამიანი გახლდათ ქართულ პოლიტიკაში, ხელები სისხლში არ ჰქონდა გასვრილი და შეეძლო თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით „სუფთა ფურცლიდან“ დაეწყო. იმხანად **მე გამოვედი წინადადებით, ურთიერთობა აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში აგვეყვანა და ამისთვის ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი გამოგვეყენებინა.** ამ მიმართულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება პრეზიდენტს უნდა დაევალოს. ეს, რა თქმა უნდა, უკვე აღარ იქნება კომფორტული თანამდებობა, რომელიც ევროპის დედაქალაქებში უსარგებლო ყიალისა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაყბობის საშუალებას იძლევა. საჭირო იქნება წასვლა სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში, აუცილებლად — ვლადიკავკაზში, მაიკოპში, გროზნოში, ნალჩიკში, მახაჭყალაში და, რა თქმა უნდა, მოსკოვში. თუ ეს იქნება მასპინძელი მხარეებისთვის მისაღები ადამიანი, იგი მაღალი სახელმწიფო სტატუსის მეშვეობით და დიალოგის გამართვის უნარის მქონე მაღალკვალიფიციური გუნდის დახმარებით შეძლებს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით გარღვევის უზრუნველყოფას. გარღვევად მივიჩნევ საზღვრების გახსნას, საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის შექმნას მუშახელისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით. მაგრამ **ივანიშვილმა განგვიცხადა, რომ საქართველოსთვის იპოვა „იდეალური პრეზიდენტი“, რომელმაც, უკვე სამი წელიწადია, ქვეყანას თავი მოაბეზრა თავისი ვეტოს უფლებით და რომელიც აღტაცებით გვიყვება საკუთარ სექსუალურ შესაძლებლობებზე. ცხადი შეიქნა, რომ ივანიშვილი არაფერს გააკეთებს ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად და ის ვერ გახდება ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამომხატველი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. და ეს გასაკვირი არც არის. შეუძლებელია, ფლობდე დიდ პირად კაპიტალს და თავისუფალი იყო ამერიკის დიქტატისგან. ეს გამორიცხულია.**

**«ევროპული ფასეულობების» ნიღბით ამ პირუტყვული ინსტინქტების ხალხებისთვის თავსმოხვევით, ძალები, რომლებიც აკონტროლებენ დასავლურ სამყაროს, ზრდიან დეგენერატების თაობას, ქმნიან დეგენერატულ პოლიტიკურ კლასს, რომლისგანაც აყალიბებენ პარტიებს, მთავრობებს, პარალელურად კი ხელში იგდებენ დაქვემდებარებული ქვეყნების რესურსებს»**




**— ხელისუფლება ამბობს, რომ ძალ-ღონეს არ იშურებს ქართული არმიის მოდერნიზაციისათვის, მისი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. შეუძლია კი არმიას გახდეს გავლენის ფაქტორი ტერიტორიულ პრობლემაზე?**

**— ქართული არმია არსებობს იმდენად, რამდენადაც სჭირდება ის ამერიკელებს. როგორც კი აღარ დასჭირდებათ ამერიკელებს, არანაირი ქართული არმია აღარ იქნება.** საქართველოს არ აქვს და არც ჩანს ეკონომიკური შესაძლებლობები არმიის შესანახად იმიტომ, რომ არ აქვს ეკონომიკა. ის დღესაც ყველაზე სუსტი არმიაა ამიერკავკასიაში. უფრო მეტიც, **2008 წლის აგვისტოს გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქართული არმია არ არის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორი.** ამბობენ, ხარისხობრივად დღეს უკეთესი არმიააო, მაგრამ **არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ მინისტრ ხიდაშელის არმია სჯობია მინისტრ კეზერაშვილის არმიას.** ან განა როგორი უნდა იყოს ქართული არმია, რეგიონში მთავარ სამხედრო მოთამაშეებს რომ დაუპირისპირდეს? შეგახსენებთ, რომ რეგიონში მთავარი მოთამაშეები არიან რუსეთი, თურქეთი და ირანი. თითოეული შესაძლო კონფლიქტის უკან დადგება ამ მოთამაშეთაგან ერთ-ერთი თავისი სამხედრო ძალით. ჰიპოთეზურადაც კი რომელ მათგანს შეიძლება დავუპირისპირდეთ? მოვიყვან მაგალითს. ბოლო წლებში აზერბაიჯანმა შექმნა შესანიშნავად აღჭურვილი ძლიერი არმია, რომელშიც მილიარდობით დოლარი ჩაიდო. აზერბაიჯანელმა სამხედროებმა გათვალეს, რომ ყარაბაღის დასაბრუნებლად მათ 4 დღე დასჭირდებოდათ, მაგრამ, როგორც კი დაიწყო საომარი მოქმედებები, მოსკოვიდან ალიევს უთხრეს, რომ ეს აზერბაიჯანისთვის მძიმე შედეგებს გამოიწვევდა. სამხედრო მოქმედებები მყისვე შეწყდა.

ვფიქრობ, **თუ საქართველო ოდესმე იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩვენ უარს ვიტყვით რეგულარულ არმიაზე ამჟამინდელი სახით. რა თქმა უნდა, იქნება სამხედრო კონტინგენტი, როგორც სახელმწიფოებრიობის ატრიბუტი, მაგრამ ეროვნული გვარდიის სახით და შესაბამისი ფუნქციებით. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ მაღალკვალიფიციური დიპლომატიური სამსახურის გასავითარებლად. ჩვენ გვჭირდება მაღალი დონის დიპლომატები, საერთაშორისო სამართლის, საგარეო ვაჭრობის, რეკლამის სპეციალისტები. ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება და ქართველი ერის განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ დახვეწილ პოლიტიკას და დიპლომატიას შეუძლია.**

**— რა ძირითადი ამოცანები დგას დღეს საქართველოს წინაშე?**

— ამოცანები იგივეა, რაც 5-10-15 წლის წინათ იყო, რადგან, ხელისუფლების მორიგი შეცვლის მიუხედავად, ქვეყნის ძირითადი პრობლემები არ გვარდება. ზოგიერთი პრობლემა გადადის წინა პლანზე, ზოგი — მეორე-მესამეზე, მაგრამ კვლავ მოუგვარებელი რჩება. მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი უკვე აღარ დგას დღის წესრიგში, ქვეყნის ხელმძღვანელობა მას უკვე აღარც ახსენებს, იზრდება ქართველთა ახალი თაობები, რომელთათვისაც ეს პრობლემა აქტუალური აღარ არის. ჩანს, ამ ტკივილს ჩემი თაობა თან წაიღებს...

ჩემი აზრით, **უახლოესი 5 წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი ამოცანებია: პირველი — ქვეყნის შემდგომი დაშლა-დანაწევრების არდაშვება; მეორე — ეროვნული ეკონომიკის შექმნა; მესამე — ემიგრაციის ნაკადის შეჩერება და მოსახლეობის რეალური რაოდენობის გაზრდა 4 მილიონამდე მაინც; მეოთხე — ქართველი ხალხის სოციოკულტურული თვითმყოფადობის, ზნეობისა და სულიერების შენარჩუნება.**

**ამ ამოცანების გადაწყვეტა მოგვცემს შესაძლებლობას, მიმდინარე ეტაპის სტრატეგიულ მიზანს მივაღწიოთ — ეს არის ქართველი ერის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დეგრადაციისგან.**

— მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები, ქვეყნის ხელმძღვანელები მთავარ ამოცანად ნატოსა და ევროკავშირში შესვლას მიიჩნევენ...

— მე და თქვენ არ ვართ პოლიტიკოსები და არ ვართ ვალდებულნი, ჩვენი მოსახლეობის მოსატყუებლად ამერიკის ელჩის დირექტივები შევასრულოთ. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ სიმართლე და მოსახლეობას თავს არ მოვახვიოთ აბსურდული ფანტაზიები. ისე კი, საერთაშორისო სტრუქტურებში გაერთიანება — ეს არის ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტის საშუალება და არა თვით ამოცანა.

**— დღის წესრიგში დგას ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხი. ბევრი მიიჩნევს, რომ ამას მოჰყვება საქართველოს შესვლა ევროკავშირში...**

**— ის, ვინც ლაპარაკობს ევროკავშირში საქართველოს შესვლის შესაძლებლობაზე, ან სულელია, ან მოსყიდული პროპაგანდისტი. რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოიღებენ, ეს მხოლოდ ემიგრაციის ახალ ტალღას გამოიწვევს. ჩვენი უმუშევარი ახალგაზრდობა ევროპის ქვეყნებს მიაწყდება, ოფიციალურად მუშაობის უფლების არქონის გამო გადავა არალეგალურ მდგომარეობაში და შავი სამუშაოების შესრულებით შეეცდება ფულის შოვნას.** საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში საქართველოს უკვე თვლიან ქურდებისა და ბანდიტების ქვეყნად, საბერძნეთისთვის ქართველები მოსამსახურეები, მოხუცების მომვლელები არიან, თურქეთისთვის კი საქართველო იაფფასიანი მეძავების მიმწოდებელია. **ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც თავისი ეკონომიკის აშენება არ შეუძლია, უმუშევარი მოსახლეობის გადინება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს, მაგრამ აძლევს კი ეს ხელს ქართველი ერისა და ქვეყნის მომავალს? სხვათა შორის, ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებს, რომელთა მოსახლეობა 10 მილიონზე ნაკლებია, მომავალი არ აქვთ.**

**— თქვენ ბრძანეთ ტრადიციული ზნეობის შენარჩუნების აუცილებლობაზე. როგორ შევინარჩუნოთ ის, თუკი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები ჩვენგან ითხოვენ „მოძველებულ მორალურ ნორმებზე“ უარის თქმას, ითხოვენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას, გეიაღლუმების ჩატარებას. როგორ გავუძლოთ ამ შემოტევას?**

— იმისათვის, რომ გავუძლოთ, კოლონია აღარ უნდა ვიყოთ. მაგრამ ეს ძალიან რთულია, შეუძლებელი უახლოეს მომავალში. **სექსუალური გარყვნილების, მათ შორის, პედერასტიის პროპაგანდა, მნიშვნელოვანი საშუალებაა ტრადიციული ხალხების გასახრწნელად. სხვათა შორის, სწორედ ამით დაიწყო ევროპის დექრისტიანიზაცია.** ახალგაზრდებზე დასავლური პროპაგანდის გავლენის სიძლიერე აკრძალვების უარყოფაშია. „ძირს მონო-

**«მე არ ვიცი ქართველი საზოგადოების არც ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი, რომელსაც სურვილი ექნებოდა, დამჯდარიყო ამჟამინდელ ან მის წინამორბედ პარლამენტში, ჩართულიყო დისკუსიაში უვიც, დეფექტიან ნაციონალებთან, რესპუბლიკელებთან ან უნებისყოფო, უნიათო «მეოცნებეებთან». ჭკვიან ადამიანებს ესმით, რომ კოლონიურად დამოკიდებული ქვეყანა დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ აწარმოებს»**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს საგარეო პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივა არ არის, ეს ამერიკელი კურატორების პრეროგატივაა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სასაცილოდ არ ეყოფათ, თუკი შეიტყობენ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივის შესახებ. ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურაც კი ისეთი შექმნეს, რომ საგარეო-პოლიტიკური აქტიურობა სრულიად გამორიცხულია“.**



ბა! ყველაფერი დასაშვებია!“ — გაჰყვირიან ეს პროპაგადისტები. ეს მოწოდება ძალიან მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ტრადიციულ საზოგადოებაში ბავშვობიდან ესმით: „ეს არ შეიძლება! ეს აკრძალულია! ეს არ შეეფერება ადამიანს! ეს კაცს არ ეკადრება!“ ტრადიციული საზოგადოება ხომ ადამიანურ მორალზეა აგებული, მორალი კი, ფაქტობრივად, აკრძალვების სისტემაა. და უცებ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „მორალური ნორმები, ტრადიციები, ადათ-წესები — ეს ყველაფერი სისულელეა, ატავიზმი, წარსულის გადმონაშთი! ყველაფერი შეიძლება! — მორალური ნორმების უარყოფა, ზნეობრივი აკრძალვების გაუქმება ადამიანებს აქცევს პირუტყვებად, რომელთა მართვაც ძალიან ადვილია. ერი ნახირად რომ არ იქცეს, საჭიროა სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს გამხრწნელი გავლენისგან დაიცავს, არ დაუშვებს უზნეობის პროპაგანდას, გარყვნილებას, იზრუნებს ერის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. კოლონია ვერ იქნება ასეთი სახელმწიფო. **როდესაც პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ წინააღმდეგია ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისა, თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, თუ გახსოვთ, ვთქვი, რომ მას მოუწევს პოსტის დატოვება. ასეც მოხდა. კოლონიის ადგილობრივ ხელმძღვანელს არ შეიძლება ჰქონდეს პატრონებისგან განსხვავებული თვალსაზრისი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თვალსაზრისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობას ასახავს. თოფაძის, მეჭიაურის, ჯაჭვლიანის მაგალითზე ხომ ხედავთ, რომ პარლამენტის წევრობაც არ შეიძლება, თუკი სკეპტიკურად ხარ განწყობილი ნატოს მიმართ და არ გსურს შენი ვაჟების გათხოვება. ამიტომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ახალი პარლამენტი დააკანონებს, და პედერასტიის პროპაგანდა საჭირო მასშტაბს მიიღებს საბავშვო ბაღიდან უნივერსიტეტამდე.** შეძლებს კი ქართველი საზოგადოება სახელმწიფოს დაუხმარებლად, თვითონ დაუპირისპირდეს ამას? არა მგონია. საზოგადოებაში ძალიან ბევრია კონფორმისტი, გულგრილი ადამიანი, ბევრია ისეთიც, ვინც დასნებოვნებულია ზნეობრივი გახრწნილების ბაცილით. **ქართული ტელეარხები, უკვე მრავალი წელია, ურცხვად ეწევიან გარყვნილების, ამორალურობის პროპაგანდას, მასხრად იგდებენ ეროვნულ ტრადიციებსა და ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ ეს განა იწვევს საზოგადოების მასობრივ პროტესტს? არადა, მდგომარეობა კატასტროფულია! საქართველოს „კავკასიის ბორდელს“ ეძახიან! თურქები, აზერბაიჯანელები, სომხები თბილისსა და ბათუმში იმისთვის ჩამოდიან, რომ ქართველ „გოგონებთან დაისვენონ“. სირცხვილით დავიწვი, როდესაც მოვისმინე, რომ ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებიდან ახალგაზრდა მამაკაცებს „დასავაჟკაცებლად“ თურმე საქართველოში გზავნიან. როდესაც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებენ, კავკასიელები მეძავებისა და პედერასტების ერს დაგვიძახებენ. სამაგიეროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს დასავლეთში თავზე ხელს გადაუსვამენ და „ცივილიზებულებს“ უწოდებენ.** ალბათ, ასე სურთ ჩვენს პოლიტიკოსებს საქართველოს გადაქცევა მომხიბვლელ ქვეყნად აფხაზებისა და ოსებისთვის, ასე სურთ მათი სტიმულირება გაერთიანებისკენ, როგორც ამას გვპირდებიან ხელისუფლებაში მყოფი ყბედები. გასულ წელს აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში აფხაზმა დეპუტატმა თქვა: **„მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ დროულად გავთავისუფლდით ქართული გავლენისგან, ახლა საქართველოს შემადგენლობაში რომ ვიმყოფებოდეთ, ისინი ჩვენს ახალგაზრდობას თავს მოახვევდნენ ჰომოსექსუალიზმს. ვის რა ჯანდაბად უნდა აფხაზეთში პედერასტები?!“**

**— როგორც ჩანს, უახლოეს წლებში არ ელით რაიმე თვისებრივ ცვლილებას ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. მაგრამ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საქართველო მომავალში? ის, რასაც „ქართული ოცნება“ გვპირდებოდა, ბლეფი აღმოჩნდა. როგორი უნდა იყოს ქართული ოცნება ბრჭყალების გარეშე?**

— ჩვენ უნდა გადავხედოთ ჩვენს წარმოდგენებს საქართველოს როლისა და ფუნქციის შესახებ საერთაშორისო კონტექსტში. **შევარდნაძემ** და **სააკაშვილმა** გარე ძალების მითითებით საქართველოს თავს მოახვიეს „პრობლემური ქვეყნის“, „მბჟუტავი ცხელი წერტილის“ როლი. რუსეთთან დაპირისპირებაზე სპეკულირებით, თავიანთი რეჟიმის რეგიონში დემოკრატიის ფორპოსტად წარმოჩენით დასავლეთს კრედიტები, სუბსიდიები, გრანტები დასტყუეს, პარალელურად ჰყიდდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, მათ შორის, მიწას. მიღებულ ფულს იპარავდნენ, ამასთანავე, წაახალისებდნენ ემიგრაციის, შობადობის შემცირების, მოსახლეობის კვდომის მასტიმულირებელ სოციალურ პროცესებს. პოლიტიკური ელიტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესისთვის ჩაგრული „დემოკრატიის კუნძულის“ როლი ძალიან სარფიანი აღმოჩნდა, მაგრამ ეს როლი ქვეყანასა და ხალხს სასიკვდილოდ სწირავს.

**— მოგვცემენ კი იმის უფლებას, რეგიონში თავსმოხვეული როლი შევცვალოთ?**

— არა, ნებაყოფლობით არ მოგვცემენ. ასეთი **კარდინალური ცვლილებისთვის საჭიროა მოსახლეობის უმრავლესობის ერთსულოვანი ნება და პატრიოტულად განწყობილი პოლიტიკური კლასი, რომელიც საქართველოში არ არის და არც ჰორიზონტზე ჩანს.** მაგრამ დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური, ცივილიზაციური, რელიგიურ-ეთნიკური პროცესები, რომლებიც, ალბათ, მსოფლიოს ახალი გადანაწილებით, გლობალური ძალების ახალი კონფიგურაციით დასრულდება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს აიძულებს, უარი თქვას ეროვნული სახელმწიფოების განადგურებასა და საკვანძო ადგილებში კონფლიქტების გაჩაღებაზე. ასეთ შემთხვევაში მისთვის საქართველო საჭირო აღარ იქნება და არ არის გამორიცხული, რაღაც პერიოდში საკუთარი თავი „ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.

**— თუკი ასე მოხდება, როგორი საქართველო უნდა ავაშენოთ?**

— ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც ისტორიულად განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობით, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის, მენტალიტეტით.

საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ასევე ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო, რელიგიური ომები.

ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიეთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური თანაარსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შემეცნებისთვის. მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ომის გაჩაღებით, რომრლმაც ეთნოკონფლიქტების სახე მიიღო, სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის გონივრულად დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც მაგალითი ავანტიურისტი ხელისუფლების ვოლუნტარისტული ჩარევისა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

იდეალურ შემთხვევაში, **საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებელ საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, რომელშიც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტები განთავსდებიან.** სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვეულებრივ გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარ მოედანს წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიაც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის. **საქართველოს აქვს ასევე ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დიალოგის ადგილი გახდეს.**

ასეთი როლი — ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში — უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას, შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში და თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენ უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში ძალიან სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში. **ჩვენ უკვე დაგვავიწყდა, რომ თბილისი, რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული, კავკასიის შესწავლის ცენტრი იყო, ხოლო გასული საუკუნის 30-70-იან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლა პირველი იყო საბჭოთა კავშირში.**

საერთოდ, მიმაჩნია, რომ **საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება უნდა ემყარებოდეს ინტელექტუალურ, მეცნიერებატევად დარგებს. მაგალითად, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად არ დაგვიკარგავს საბაზო პოტენციალი ბიოტექნოლოგიის, მიკროელექტრონიკის, ფარმაცევტიკის განსავითარებლად.** ამასთანავე, საქართველოს თავისუფლად შეუძლია იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად, მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა, აღვადგინოთ და გავაღრმაოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ **საბჭოთა პერიოდში საქართველო იყო ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების მსოფლიოში აღიარებული ერთ-ერთი ცენტრი, არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა.** ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. გონივრული მიდგომით ამ ყველაფრის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, მშვიდობისმოყვარე, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს — თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

**ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა, მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია, სამეგრელოსა და აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის მოღვაწეობა.** საქართველო დაიქცა, დაიშალა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო ერის დეგრადაციის პროცესი. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ. გვაქვს თუ არა შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი? არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს ქართული ოცნება ბრჭყალების გარეშე.

ესაუბრა
**დიტო ჩუბინიძე**

**გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (2016 წლის 16 და 23 ივნისი, № 23, 24)**

**«თუ საქართველო ოდესმე იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩვენ უარს ვიტყვით რეგულარულ არმიაზე ამჟამინდელი სახით. რა თქმა უნდა, იქნება სამხედრო კონტინგენტი, როგორც სახელმწიფოებრიობის ატრიბუტი, მაგრამ ეროვნული გვარდიის სახითა და შესაბამისი ფუნქციებით. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ მაღალკვალიფიციური დიპლომატიური სამსახურის გასავითარებლად. ჩვენ გვჭირდება მაღალი დონის დიპლომატები, საერთაშორისო სამართლის, საგარეო ვაჭრობის, რეკლამის სპეციალისტები. ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება და ქართველი ერის განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ დახვეწილ პოლიტიკასა და დიპლომატიას შეუძლია»**

„ივანიშვილის გამოსვლებს როდესაც ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართველ საზოგადოებას საკუთარი თავის პატივისცემა არ აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ ვუსმენთ, გვჯერა, ვეთაყვანებით ივანიშვილს, რომელსაც არავითარი სახელმწიფოებრივი მოვალეობა, ფუნქცია და პასუხისმგებლობა არ აკისრია, ასეთი ადამიანის ბრმად მიყოლა და დაჯერება დანაშაულია“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ივანიშვილს არ აქვს უნარი, არც გამოცდილება, არც კავშირები, არც შესაძლებლობა, არც განათლება, რომ რუსეთთან ესოდენ დაძაბული ურთიერთობა დაალაგოს

**თვე-ნახევარია, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კვლავ გამოჩნდა. მან ჯერ წერილობით, შემდეგ შეხვედრების სერიებით გააცნო ამომრჩეველს თავისი თვალსაზრისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე. ქვეყნის არაფორმალურმა მმართველმა, როგორც მას ოპონენტები უწოდებენ, როგორც ყოველთვის, სახე არ დაკარგა და ბევრი „საინტერესო“ რამ განაცხადა.**
**ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას შეეხება. საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა: „რას გადაწყვეტს პუტინი და როგორ მოიქცევა, არ ვიცით. ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ქვეყანა გავაერთიანოთ. მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს“.**
**როცა ბიძინა ივანიშვილი იყო ქვეყნის პირველი პირი, რუსეთთან მოლაპარაკება არ გაუმართავს, არც მომდევნო პრემიერებს გამოუჩენიათ ინიციატივა. მაშ, ვისი ან რისი იმედი აქვს მომავალ ოთხ წელიწადში ყოფილ პრემიერს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ჰამლეტ, დარწმუნებული ვარ, თვალყურს ადევნებდით ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას ბეჭდური მედიის წარმომადგენლებთან. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— არა მხოლოდ ამ შეხვედრას, ბოლო თვე-ნახევარში მის ყველა გამოსვლასა და მიმართვას მივადევნე თვალი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მოსახლეობა და განსაკუთრებით ინტელიგენცია, ისე არის ტვინგამორეცხილი და დეგრადირებული, ვერ ხვდება, რასთან გვაქვს საქმე.

საქართველო პატარა ქვეყანაა. მსოფლიოში ასეთი პატარა ქვეყანა ბევრია, მაგრამ იმ ქვეყნების მოსახლეობას აქვს განცდა, რომ რაღაცას წარმოადგენს, რომ სახელმწიფო აქვს, ამას ჩვენზე ნამდვილად ვერ ვიტყვი.

**ივანიშვილის გამოსვლებს როდესაც ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართველ საზოგადოებას საკუთარი თავის პატივისცემა არ აქვს.** ამას იმიტომ ვამბობ, რომ **ჩვენ ვუსმენთ, გვჯერა, ვეთაყვანებით ივანიშვილს, რომელსაც არავითარი სახელმწიფოებრივი მოვალეობა, ფუნქცია და პასუხისმგებლობა არ აკისრია, ასეთი ადამიანის ბრმად მიყოლა და დაჯერება დანაშაულია.**

თუ ჩვენ ივანიშვილს ვუყურებთ, როგორც მმართველს, ერთხელ ხომ მაინც უნდა დავფიქრდეთ, რა ჰქვია მმართველობას, რომელიც საქართველოში ოთხი წლის განმავლობაში არსებობს? ჩვენ კლანური, ოლიგარქული მმართველობის მომსწრენი ვართ. **ბიძინას ჰყავს ვითომ პრემიერი, ვითომ პარლამენტი, ვითომ პრეზიდენტი და ეს „ვითომ“ ჩვენთვის ნამდვილია, რეალური, თუმცა ყველამ ვიცით, რომ არც ერთ მათგანს რეალურად არათუ გადაწყვეტილების მიღების, არამედ სიტყვის თქმის უფლებაც არ აქვს, თუკი ეს „იატაკქვეშა მმართველთან“ არ არის შეთანხმებული. ივანიშვილი, თავისი „ხოშიდან“ გამომდინარე, ამ ქვეყნის „ნაჩალნიკია“. მთელი ქვეყანა „კოჭს“ უგორებს ამ ერთ კაცს. ქვეყანა ქვეყანას აღარ ჰგავს.**

მიკვირს ჟურნალისტების. ნუთუ არ ფიქრობენ, რა უნდათ ამ კაცთან? რისთვის მიდიან? რატომ უკეთებენ პიარს? რატომ აძლევენ საშუალებას, ნაცარი შეგვაყაროს თვალში?

**— ივანიშვილმა მედიასთან განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოგვარდეს, რომ მან არ იცის, რას ფიქრობს რუსეთის პრეზიდენტი, მაგრამ ურთიერთობა დასალაგებელია. როგორ ფიქრობთ, ვისი იმედი აქვს და ვინ დაალაგებს ამ ურთიერთობას? თავის დროზე, როდესაც ივანიშვილი ქვეყნის პრემიერი იყო, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა არც უხსენებია...**

— ივანიშვილი პოლიტიკაში ამერიკელებმა მოიყვანეს. ტყუილია ის ამბავი, რომ ბიძინა რუსეთის კაცია. ამაზე ლაპარაკი ხელს აძლევთ ნაცებს, რადგან მტრის ხატის შექმნა, როდესაც უნდათ, აუცილებლად რუსეთს უნდა დაუკავშირონ. „რუსი საზიზღარია“ და ის „საზიზღრობა“ ივანიშვილზე გადმოდის, რადგან ფული რუსეთში იშოვა.

ივანიშვილმა და მისნაირებმა თავის დროზე რუსეთში მართლაც დიდძალი ფული იშოვეს და, როდესაც ამბობენ, რუსებს წაჰგლიჯა ფულიო, ის ფული რუსების არ იყო, ის მთელი საბჭოთა კავშირის ფული იყო — თითოეული ჩვენგანის მიერ შექმნილი დოვლათის ნაწილი. ასე რომ, ივანიშვილმა ჩვენ წაგვლლიტა ფული.

რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ურთიერთობა არ აქვს ბიძინა ივანიშვილთან. ვლადიმერ პუტინთან ივანიშვილი ვერასოდეს მივა. აქედან გამომდინარე, იმედი იმისა, რომ ივანიშვილს რუსეთთან რაიმე ურთიერთობა აქვს, არ არსებობს. რასაც დღეს ფაფხურობენ, თვალში ნაცრის შეყრაა. საქართველოს მდგომარეობა იმაზე ცუდია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ჩვენ არ ვიცით, ვინ დებს ფულს საქართველოს ეკონომიკაში ან რის საფუძველზე, ვის მიუწვდება ხელი ბიუჯეტზე.

> «25 წელიწადია, ჩვენი პოლიტიკური ელიტა დაეჩვია, ვინმემ რაღაც მისცეს, ნასუფრალი გადმოუგდოს. ახლა ნახეს, რომ ევროპა და ამერიკა არაფერს იმეტებენ და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სურთ. სწორედ ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სატყუარა გადაუგდოს ხალხს და უთხრას, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ვცდილობთო»

საზოგადოება ითხოვს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, რადგან დაინახეს, რომ დასავლეთს არ ვჭირდებით. **25 წელიწადია, ჩვენი პოლიტიკური ელიტა დაეჩვია, ვინმემ რაღაც მისცეს, ნასუფრალი გადმოუგდოს. ახლა ნახეს, რომ ევროპა და ამერიკა არაფერს იმეტებენ და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სურთ. სწორედ ამიტომ ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სატყუარა გადაუგდოს ხალხს და უთხრას, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ვცდილობთო.**

რუსეთის თემას ივანიშვილი ხალხისთვის თვალის ასახვევად „აგორებს“, რადგან მას უთხრეს, რომ მოსახლეობას სურს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა და ამიტომაც ლაპარაკობს ასე.

**ივანიშვილს არ აქვს უნარი, არც გამოცდილება, არც კავშირები, არც შესაძლებლობა, არც განათლება, რუსეთთან ესოდენ დაძაბული ურთიერთობა რომ დაალაგოს. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად ისეთი ნაბიჯებია გადასადგმელი, ისეთი საქმეებია გასაკეთებელი, დღევანდელი ხელისუფლება მხოლოდ ამ საქმეზე რომ გადაეგოს, მაინც ვერ მოახერხებს. ამიტომ ვამბობ, რომ ბიძინა ხალხს სატყუარას უგდებს.**

ჩვენი ქვეყნის მმართველი ამერიკის მიერ არის შექმნილი, მას ფული იქ აქვს, ბიძინა ყურებით ჰყავთ დაჭერილი.

რამდენიმე კვირის წინათ გამოქვეყნდა ივანიშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც ერთი დიდი პუნქტი ეძღვნებოდა ამერიკას. წერილში გარკვევით არის ნათქვამი, რომ აშშ არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, რომ ის არის ქვეყანა, რომელმაც განსაცდელის ჟამს ხელი მოგვიმართა როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურად, ისე მორალურად, და, რომ საქართველოს სურვილია, მუდამ ვიყოთ ამერიკასთან, ევროპასთან და ა.შ. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ამ დოკუმენტში მხოლოდ ერთი წინადადებაა — „რუსეთთან ურთიერთობა უნდა გავაუმჯობესოთ“. ეს უკვე ნიშნავს, რომ ივანიშვილს არ აქვს სურვილი, რეალურად გადადგას ნაბიჯები რუსეთის მიმართულებით.

**— ხელისუფლებამ მომავალ არჩევნებში, ასე ვთქვათ, ბეწვის ხიდზე უნდა გაიაროს. ამერიკელების სურვილია, რომელიც კვლევებით დაადასტურეს, რომ არჩევნების შედეგებში ნაცებსა და „ოცნებას“ შორის მცირე პროცენტული სხვაობა უნდა იყოს. ხალხი ასეთი შედეგის წინააღმდეგია. რას იზამს ხელისუფლება? გაართმევს თავს ასეთ დავალებას? ივანიშვილი ირწმუნება, რომ ნაციონალები მომავალ არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევენ.**

— ქვეყანა ქვეყანას აღარ ჰგავს, ეს იმაზეც მეტყველებს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი ამ დროისთვის უკვე 28 პარტიამ გამოთქვა და დარეგისტრირდა. მომდევნო ოთხ თვეში მათი რაოდენობა, ალბათ, უფრო მოიმატებს. ყველა ეს პარტია სისულელეებს ლაპარაკობს. ვერავისგან მოისმენ ჭკვიანურ სიტყვას ან დაპირებას, რომელიც რეალობასთან ახლოს იქნება. „საინტერესო“ მოსაზრებებით პარლამენტარ მეჭიაურის ახალშექმნილი პარტიის წევრ **ლალი მოროშკინას** გამოვარჩევ, რომელმაც ასეთი რამ თქვა: „დასავლეთი არ გვიღებს ნატოში, ვიზალიბერალიზაციაც არ მოგვცა. დროა, რუსეთს დაველაპარაკოთ“. ლალი მოროშკინას ეს განცხადება უკვე ნიშნავს იმას, რომ მომავალ პარტნიორს მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომამდე შენს მიმართ ნეგატიურად განაწყობ. **რადგან ევროპამ არ მიგიღო, ამიტომ უნდა დაელაპარაკო რუსეთს? გამოსავალი აღარ გაქვს? არ შეიძლება ასეთი ვიწრო აზროვნებისა იყოს პოლიტიკოსი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ყველა პოლიტიკოსი ასეთია.**

დიდი ზედახორა იქნება საპარლამენტო არჩევნებისას. მოსალოდნელია ქაოსი, რომელიც, შესაძლოა, არეულობაშიც გადაიზარდოს. **28 პარტია რომ იტყვის, არჩევნები გაყალბდაო, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება?** ხელისუფლება ხომ ადმინისტრაციულ რესურსს აუცილებლად გამოიყენებს. ხალხი შიშობს, ამერიკის დაკვეთა შესრულდებაო, მაგრამ ხომ გსმენიათ, ჯერ თავო და თავოო... **„ოცნება“ თავის გადარჩენაზე იზრუნებს, რაც, ცხადია, არეულობას გამოიწვევს. არეულობისთვის კი ყველაზე მეტად მომზადებულნი ნაციონალები არიან. საქართველოს არ ჰყავს იმდენი მოჭიდავე, რომ ყველა უბანზე დააყენოს ხელისუფლებამ.**

ხმების საკმაო რაოდენობას მიიღებენ ნაცები და მათ მიერ დაფინანსებულ-შექმნილი პარტიებიც.

**არავითარ შემთხვევაში არ იქნება ისე, როგორც ივანიშვილი ფიქრობს.**

**— კვირიკაშვილ-მერკელის შეხვედრაზე რას იტყვით?**

— „გერმანია საქართველოს ნატოში ვერ ხედავს!“ — ამის შესახებ დიდი ხნის წინათ ითქვა. როგორც უნდა დაემუქროს ხიდაშელი ამერიკასა და ევროპას, ჩვენ გზა ხსნილი მაინც არსად გვაქვს. თუ ეს ქვეყანა გადარჩა, აუცილებლად უნდა ჰყავდეს გონიერი მომლაპარაკებელი. ადამიანი, რომელსაც გონი აქვს.

უცხოელი გალიმებული სახით რომ გეუბნება, „თქვენთვის კარი ღიაა, მაგრამ“... იმ „მაგრამის“ შემდეგ უნდა მოისმინო, რას ამბობს. ქართველი პოლიტიკოსები კი მხოლოდ დასაწყისს ისმენენ და ბედნიერები არიან.

გერმანიიდან დაბრუნებულებმა საზოგადოებას არ უთხრეს, იქ რაზე ისაუბრეს. ჩამოვიდნენ და თქვეს, ჩვენ ყველაფერი შევასრულეთ, რაც ვიზალიბერალიზაციისთვის იყო საჭიროო. ჯერ ერთი, არაფერი დაგვავალეს ისეთი, რაც ჩვენი ევროპაში შესვლისთვის იყო საჭირო; მეორე — არ გვაქვს ეკონომიკა, არ გვაქვს დაცული საზღვრები. გერმანიის შს მინისტრმა **თომას დე მეზიერმა** განაცხადა, რომ საქართველო არ არის სანდო ქვეყანა, მათი საზღვრის გავლით, შესაძლოა, უამრავი ადამიანი ჩამოვიდესო.

ვიზალიბერალიზაციაზე ჯერ გარკვეული არაფერი იყო და მთელი ქვეყანა მოლოდინით დაზაფრეს, რითაც ამ ხელისუფლებამ ამომრჩეველი დაკარგა. სამწუხაროა, რომ ამ სისულელეებით ხალხის მოტყუებას ისევ განაგრძობენ, რადგან, როდესაც სატელევიზიო ეთერში სხედან, ოპონენტი არ ჰყავთ, რომელიც შეახსენებს, რამდენჯერ მოატყუეს ხალხი.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმის გათვალისწინებით, რომ კონსერვატიული და ლიბერალური ოპოზიცია მეორე ტურში ვერ მოახერხებს კონსოლიდირებას ერთობლივი კანდიდატების გარშემო, იმის ალბათობა, რომ „ქართული ოცნება“ მაჟორიტარების 55-60 მანდატს მიიღებს (სულ 73-ია), საკმაოდ მაღალია. მხოლოდ ძალიან ძლიერი, ქარიზმული ოპოზიციური კანდიდატები თუ შეძლებენ მეორე ტურში რეალური ბრძოლის გამართვას — ეს ძალთა არსებული ბალანსიდან და ქართული პოლიტიკის უცნაური ტრადიციებიდან გამომდინარეობს.**

# «ქართული ოცნების» ნახევარი და ორი მესამედი

**„არჩევნებზე თუ 80 მანდატზე ნაკლებს მიიღებს „ქართული ოცნება“, ეკონომიკური რეფორმების გატარება გაძნელდება“, — განაცხადა გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილმა. თუ შეძლებს მმართველი პარტია პარლამენტში ნახევარზე მეტი ადგილის მოპოვებას და რა სტრატეგიას აირჩევს ამისთვის?**

ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში არა მხოლოდ 80, არამედ 95 მანდატი ახსენა. ამ დიაპაზონში მერყეობდა მისი თანაპარტიელების თანამდევი პროგნოზებიც — ნახევარზე მეტი და ორ მესამედზე ოდნავ ნაკლები მინიშნებით ამ ზღურბლის შესაძლო გადალახვაზე. ბევრმა ეს ამბიციები ფრიად გადაჭარბებულად ჩათვალა, თუმცა აქ ერთი საინტერესო ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ: როდესაც ექსპერტები მანდატების სავარაუდო განაწილებაზე მსჯელობენ, ხშირად არჩევნების მხოლოდ იმ „ნაწილს“ ითვალისწინებენ, რომელიც პროპორციული წესით ჩატარდება და პროგნოზებს სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებსა და პარტიების იქ მიღებულ რეიტინგზე აფუძნებენ. მაჟორიტარები კი ყურადღების მიღმა რჩებიან. ამას ორი მიზეზი განაპირობებს: **ა) საუბარი შედეგებზე ძნელია, როდესაც უცნობია კანდიდატების ვინაობა; ბ) ძალზე რთულია, ერთდროულად დაამუშავო ინფორმაცია 73 ოლქში მიმდინარე პროცესების შესახებ.**

გასული წლის 24 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, არჩეულად ჩაითვლება ის მაჟორიტარი, რომელიც ერთმანდატიან ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს (ადრე საკმარისი იყო 30 პროცენტი). თუ ვერც ერთი კანდიდატი 50%-იან ბარიერს ვერ გადალახავს, ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მონაწილეობით მეორე ტური ჩატარდება. ამ მიზანმიმართულმა ცვლილებამ მაჟორიტარული არჩევნები, ფაქტობრივად, სახელისუფლო პარტიის „მანდატების ყულაბად“ გადააქცია. **იმის გათვალისწინებით, რომ კონსერვატიული და ლიბერალური ოპოზიცია მეორე ტურში ვერ მოახერხებს კონსოლიდირებას ერთობლივი კანდიდატების გარშემო, იმის ალბათობა, რომ „ქართული ოცნება“ მაჟორიტარების 55-60 მანდატს მიიღებს (სულ 73-ია), საკმაოდ მაღალია. მხოლოდ ძალიან ძლიერი, ქარიზმული ოპოზიციური კანდიდატები თუ შეძლებენ მეორე ტურში რეალური ბრძოლის გამართვას — ეს ძალთა არსებული ბალანსიდან და ქართული პოლიტიკის უცნაური ტრადიციებიდან გამომდინარეობს. ხელისუფლებას ყოველთვის ჰქონდა მეტი მაჟორიტარის გაყვანის შანსი, ვიდრე მის რეიტინგს შეესაბამებოდა, 50%-იანი ბარიერის შემოღების შემდეგ კი მასთან ბრძოლა კიდევ უფრო გართულდა.**

თუ მაჟორიტარების ფაქტორს გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ ფანტასტიკური და შეუძლებელი ივანიშვილის სურვილსა თუ პროგნოზში არაფერია. თუმცა არგუმენტები, რომელთა გამოყენებით ის ამდენი მანდატის მოპოვების აუცილებლობას ხსნის, ერთობ საგანგაშოდ გამოიყურება. „თუ ისევ შედგა კოალიციური მთავრობა, ძალიან ბევრ ახალ პრობლემას მივიღებთ. ასეთი მთავრობები, ძირითადად, რესურსების განაწილებაში არიან სათავისოდ და სერიოზული რეფორმები რჩება უყურადღებოდ, თუმცა მე კოალიციური მთავრობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ასეთი ეკონომიკისა და მცირე დაფინანსების პირობებში, როგორშიც ჩვენ ვართ, ძალიან რთული იქნება და შეუშლის ხელს საქართველოს სწორი მიმართულებით განვითარებას“, — განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა** („ინტერპრესნიუსი“). ის, რომ კოალიციური შემადგენლობა დრო და დრო აფერხებდა მთავრობის შედეგიან მუშაობას, ერთი შეხედვით, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ეს მოხდა კონკრეტულ პოლიტიკურ და ისტორიულ გარემოებებში, 2012-16 წლებში, და ამ გამოცდილების პირდაპირი პროეცირება მომავალზე არაკორექტულია. საკითხის ასე დაყენება „დემოკრატიისთვის კარგია, მაგრამ ეკონომიკისთვის — ცუდი“, საერთოდ არ შეიძლება, რადგან აქედან ორიოდე ნაბიჯი რჩება კარგად ნაცნობ ფორმულებამდე: „ჯერ — დამოუკიდებლობა, შემდეგ — დემოკრატია“, „ჯერ — ტერიტორიული მთლიანობა, შემდეგ — დემოკრატია“, „ჯერ — ეკონომიკა, შემდეგ — დემოკრატია“, რომელთა პრაქტიკული რეალიზება ჩვენში ფრიად მონსტრული რეჟიმების ჩამოყალიბებით სრულდებოდა. პრეტენზია უპირობო დომინირებაზე ქართულ პოლიტიკაში, სულ ცოტა, უკეთეს შეფუთვას მოითხოვს. ამასთანავე, ბოლო ორი ათწლეულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ დომინირებას მმართველი პარტიისთვის გალოტებისა და დეგრადაციის გარდა არაფერი მოაქვს. მართვის პროცესის გამარტივება ამ საფრთხესთან შედარებით ერთობ მოკრძალებულ ბონუსს წარმოადგენს.



## ივანიშვილს ჯერ კიდევ მოუწევს ელექტორატისთვის იმის ახსნა, რატომ არ არის დღემდე ნეიტრალიზებული სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხე

**ამომრჩევლების დაბალმა აქტიურობამ „ქართულ ოცნებას“ შეიძლება სერიოზული პრობლემა შეუქმნას.** ივანიშვილი ამ თემასაც შეეხო: „უნდა მოხვიდეთ არჩევნებზე, თუ გინდათ, რომ კარგი მთავრობა გყავდეთ, პრემიერს უნდა ჰქონდეს კარგი ზურგი. არ უნდა ვიფიქროთ, „ქართული ოცნება“ ისედაც გაიმარჯვებს, ისედაც ეყოლება უმრავლესობა პარლამენტში, ეს ასე არ არის“ („გურიანიუსი“). ჩვენ შეიძლება დიდხანს ვიკამათოთ იმაზე, „ოცნების“ რამდენი ამომრჩეველი, უბრალოდ, ზარმაცობს და ეყრდნობა მოსაზრებას „უჩემოდაც გაიმარჯვებენ“ და რამდენი არჩევნებზე მიუსვლელობით ხელისუფლებას ჩუმ ბოიკოტსა და პროტესტს უცხადებს; ამ მხრივ ზუსტი მონაცემები არ არსებობს (და ვერც იარსებებს), მაგრამ თითოეულ ჩვენგანს (ყოველდღიურ საუბრებში თუ სოციალურ ქსელებში) შეუძლია დარწმუნდეს, რომ **ბევრი მათგანი, ვინც „ოცნებას“ 2012-ში მხარი დაუჭირა და სხვა პარტიებისკენ არ გადაიხარა, არჩევნებზე წასვლას არ აპირებს. ეს რეალური პრობლემაა ხელისუფლებისთვის და მან შეიძლება გადადგას არაორდინალური ნაბიჯი, რათა მასთან ერთად კიდევ ერთი, უფრო მნიშვნელოვანი რამ გადაწყვიტოს.**

პარლამენტში დამაჯერებელი უპირატესობა რომც მოიპოვოს, თბილისის მერის მომავალ არჩევნებზე „ქართულ ოცნება“ შეიძლება ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. დღეს თითქმის არავინ დავობს იმაზე, რომ ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა, როდესაც მერის პოსტზე **დავით ნარმანიას** კანდიდატურა შეარჩია. მართალია, ნარმანია (რომ იტყვიან, ბიძინას ხათრით) აირჩიეს, მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო მისი რეიტინგის მკვეთრი დაცემა. ძირითადი როლი ამაში ფსიქოლოგიურმა, საიმიჯო ფაქტორებმა შეასრულა. მომავალ არჩევნებზე თბილისელებმა შეიძლება შეახსენონ ივანიშვილს მისი არასწორი გადაწყვეტილება და ნაკლებად სავარაუდოა, კიდევ ერთხელ ბრმად მიენდონ. ამასთანავე, იმ არჩევნებისთვის პიკს მიაღწევს რამდენიმე დამოუკიდებელი ან „ვითომ დამოუკიდებელი“ ძლიერი კანდიდატის „რასკრუტკაც“, რომელიც მიზანმიმართულად, თვეების განმავლობაში მიმდინარეობს. ზოგს შეიძლება ეს მოსაზრება სადავოდ მოეჩვენოს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ **თბილისის მერის მომავალ არჩევნებში „ოცნების“ მარცხის ალბათობა გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე საპარლამენტო არჩევნებში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის დეპუტატების პარალელურად დედაქალაქის მერის არჩევაც მოგვიწევს, სახელისუფლო კანდიდატის გაყვანა, სავარაუდოდ, გაიოლდება.** ოპონენტებს შეიძლება არ ეყოს დრო გააზრებული რეაგირებისთვის, ხოლო უხერხული კითხვები მერიის მუშაობის თაობაზე ნაწილობრივ ჩაიკარგება საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ხმაურში; მოხდება კონკრეტული საკითხების გადაფარვა ყოვლისმომცველი პოლიტიკური ბრძოლის ზოგადი ლოზუნგებით. ამასთანავე, მერის „პარალელური“ არჩევა თბილისელ ამომრჩევლებს გამოაცოცხლებს.

**არცთუ დიდი ხნის წინათ დაიწყო საუბრები იმაზე, რომ საპარლამენტო არჩევნების დღეს შეიძლება გაიმართოს რეფერენდუმი — უნდა ჩაიწეროს თუ არა კონსტიტუციაში, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა.** ამას დაუყონებლივ მოჰყვა კონსპიროლოგიური ხასიათის მსჯელობა, რომ ეს ხელისუფლების ინიცირებულია და მას სურს, არჩევნების დღეს უბნებზე რაც შეიძლება მეტი კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურად განწყობილი მოქალაქე მივიდეს, რომელთა ხმების გარკვეული ნაწილი ხელისუფლებასთან წავა, ხოლო ლიბერალური პარტიების შედეგები გაუარესდება. შემდეგ ამ თემამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. მერის არჩევნების შემთხვევაში სიტუაცია განსხვავებულია, რადგან ის სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ამომრჩევლების გააქტიურებას გამოიწვევს და „დამატებით“ მოზიდული ხმები თითქმის თანაბრად განაწილდება. **მეტ-ნაკლებად დაზარალდებიან მხოლოდ ის პარტიები, რომლებსაც პოლიტიკურად აქტიური თბილისელების დიდი ნაწილი არ სწყალობს** (მაგალითად, „ნაცმოძრაობა“), მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია. მთავარია ის, რომ ოპონენტებს შეიძლება გაუჭირდეთ სტრატეგიის მყისიერი შეცვლა. ცხადია, არის რისკებიც. დაუდასტურებელი ინფორმაციით, **სცენარი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „კართან მოდგა შემოდგომა — ნარმანიას გადადგომა“ ნამდვილად განიხილებოდა მმართველი პარტიის ზედა ეშელონებში, მაგრამ ამ მომენტისთვის ის დამტკიცებული არ არის,** შესაძლოა იმიტომ, რომ ივანიშვილი დიდი სიფრთხილით ეკიდება (ნებისმიერი) რიგგარეშე არჩევნების იდეას. **თუმცა ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ახლო მომავალში დავით ნარმანია ირაკლი ღარიბაშვილს მიბაძავს და თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გვამცნობს, თანაც ისეთ დროს, რომ შესაძლებლობა მისცეს ხელისუფლებას, მერის არჩევნები საპარლამენტოსთან ერთად ჩაატაროს.**

**„ორი მესამედის პრობლემას“, რომელიც 2012-16 წლების ორპარტიულ პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ მოსვენებას არ აძლევდა, მომავალში ასეთი მნიშვნელობა აღარ ექნება. ახალ, „ჭრელ“ პარლამენტში ის, საჭიროების შემთხვევაში, თემატურად ითანამშრომლებს ხან ლიბერალურ, ხან კონსერვატიულ პარტიებთან, რომლებიც დაპირისპირების გამო ერთმანეთს ვერ შეეკვრებიან** (მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“ და რესპუბლიკური პარტია). მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა მოწადინებულია, მაქსიმალური შედეგი აჩვენოს და სულ უფრო ხშირად გვესმის მინიშნებები არა მხოლოდ 80 ადგილზე, არამედ ყბადაღებულ „ორ მესამედზეც“. ასეთ დროს („მოქკავშირის“ და „ნაცმოძრაობის“ გამოცდილებას თუ გავიხსენებთ) იზრდება ადმინისტრაციული რესურსის ზეაქტიური გამოყენების ცდუნება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსად **კახი კალაძე** დაინიშნა, რომელმაც ახლახან სოფელ კორცხელში გამართულ არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცდა — ჯერ „ოცნების“ კანდიდატად „ნაცმოძრაობის“ ორდენოსანი წევრი **ამირან ლაგვილავა** წარადგინა, შემდეგ კი დაუშვა არჩევნების წაგება და ხელისუფლების იმიჯისთვის ფრიად საზიანო ჩხუბი ტელეკამერების წინ. მისი დანიშვნა საკმაოდ სარისკოდ გამოიყურება, თუმცა, შესაძლოა, მთავარი ფაქტორი, რომელიც ივანიშვილმა გაითვალისწინა, კალაძის ერთგულებაა.

ბიძინა ივანიშვილის ერთადერთი პასაჟი ბოლო გამოსვლებიდან, რომლებიც „ოცნების“ ამომრჩევლებმა შეიძლება მოწონებით მიიღონ, ძველ რეჟიმს ეხებოდა: **„არ გაჩერდება ქართველი ხალხი, არ გავჩერდები მეც, უკან ველარ შემოაბრუნებთ ვერაფერს... ვერაფრით მოხერხდება, რომ შემაჩერონ და დაბრუნდეს ძველი ტაშფანდურა. ველარ გაიგდებენ ფეხქვეშ ხალხს, როგორც ჰყავდათ გაგდებული, ცოცხების ინდუსტრია საქართველოში ველარ დაბრუნდება, ტყუილად გაქვთ იმედი“.** ეს, ასე თუ ისე, დამაჯერებლად გაისმა, თუმცა ივანიშვილს ჯერ კიდევ მოუწევს ელექტორატისთვის იმის ახსნა, რატომ არ არის დღემდე ნეიტრალიზებული სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხე.

„ყოველთვის მიმაჩნდა და, რა თქმა უნდა, ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ყოველგვარი თანამშრომლობა და კავშირი „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებთან — ამ კრიმინალებთან და კაცისმკვლელებთან, უდიდესი შეცდომაა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ჯაჭვლიანი: მარგველაშვილი და სააკაშვილი ერთი ძალა არიან

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი ესაუბრება.**

**— ბატონო სოსო, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ფაქტობრივად, დღე არ გავა, რომ სააკაშვილმა განცხადება არ გაავრცელოს, „ნაცმოძრაობა“ აუცილებლად გაიმარჯვებს და ხელისუფლებაში დავბრუნდებითო. ამას წინათ „რუსთავი 2“-ის ეთერშიც განაცხადა, არჩევნების შემდეგ ჩამოვალო. როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“?**

— ეს არის ბოდვა, სააკაშვილი ჩავლილია უკვე. რა შანსი უნდა ჰქონდეთ მაგათ, ვერ წარმომიდგენია. ნებისმიერი შეიძლება მოხვდეს პარლამენტში, მაგათ გარდა...

**— 2012 წლის არჩევნების შემდეგაც ბევრი ამბობდა, მათ შორის, დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც, რომ „ნაცმოძრაობა“ “მოქკავშირის” ბედს გაიზიარებდა, მაგრამ ამის შემდეგ ვიხილეთ კოაბიტაცია. მეტიც, „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარ ოპოზიციურ ძალად გამოცხადდა...**

— სოსო ჯაჭვლიანი „ნაციონალებთან“ კოაბიტაციაში არასოდეს შესულა და არც შევა. **ყოველთვის მიმაჩნდა და, რა თქმა უნდა, ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ყოველგვარი თანამშრომლობა და კავშირი „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებთან — ამ კრიმინალებთან და კაცისმკვლელებთან, უდიდესი შეცდომაა.**

რაც შეეხება მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს, ესენი, დღიდან შექმნისა და პარტიად ჩამოყალიბებისა, ოპოზიციაში უდგანან საქართველოს და ქართველ ხალხს. ამ თვალსაზრისით ნამდვილად არიან ფლაგმანები, მაგრამ, პარლამენტში რომ მანდატების ორმოცი პროცენტი არ მიუღიათ, ეს სამი წლის ბავშვმაც იცის.

**— ალბათ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები იყო საჭირო. არ მეთანხმებით?**

— სხვათა შორის, 2012 წლის დეკემბერში ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, როგორ გრძნობთ თავს პარლამენტშიო. ვუთხარი, — ცუდად-მეთქი. რატომო და, **იმიტომ, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია სასწრაფოდ ჩასატარებელი-მეთქი.** ჩემი აზრით, ეს იქნებოდა ნაციონალებისთვის ყველაზე მძიმე პოლიტიკური განაჩენი, ხოლო სამართლებრივი განაჩენი უნდა გამოეტანა სასამართლოს. ამის შემდეგ უკვე ველარ დაიბრალებდნენ ოპოზიციონერობას და ვერც სააკაშვილი გაბედავდა შორიდან თითის დაქნევას...

**— რატომ ვერ მოხერხდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევების ჩატარება? ამას თავის დროზე საზოგადოების დიდი ნაწილი ითხოვდა.**

— ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩემი თანაგუნდელი კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა: რა რიგგარეშე არჩევნები, რას ლაპარაკობ, ამაზე საუბარიც ზედმეტიაო... მერე შემოაგდეს ეს კოაბიტაცია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მე „ნაციონალებთან“ არასდროს ვთანამშრომლობდი და, როცა კოაბიტაციაზე საუბრობენ, ამას საკუთარ თავზე არ ვიღებ. „ნაცმოძრაობა“ არის სექტა, რომელიც უნდა გასამართლდეს აუცილებლად.

**— მარგველაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ახსენა ტერმინი „კოაბიტაცია“. რა აზრის ხართ იმ პოლიტიკურ ფიგურებზე, სუბიექტებზე, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ მიდგომას?**

— ამ შემთხვევაში ჩემი აზრი ნაკლებად საინტერესოა, მთავარია ის შეკითხვები, რომლებიც საზოგადოებაში ჩნდება. **რატომ წავიდა თუნდაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი ასე დუნედ? იმიტომ, რომ იმ 26 ათას ფაილში, ფარულად გადაღებულ კადრებს ვგულისხმობ, ბევრი შეიძლება ერთმანეთის მაკომპრომეტებელი მასალაც იყო.** ამას, რა თქმა უნდა, ყველაზე არ ვამბობ.

**— ხელისუფლების წარმომადგენლებს გულისხმობთ?**

— ყველას ვგულისხმობ, იქითაც და აქეთაც. ლოგიკურად ამ დასკვნამდე მივდივართ. რაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოხდა, სხვა ახსნას ვერ ვუძებნი.

**— თავის დროზე კულუარებში ამბობდნენ, რომ გარკვეული კომპრომატები პრეზიდენტზეც შეიძლება არსებობდეს.**

— არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ვინც ამ კადრებს იღებდა და ავრცელებდა, ციხეში უნდა გაუშვა სამუდამოდ.** ეს არის ყველაზე დიდი ამორალურობა, რომელიც კი შეიძლება ადამიანმა იკადროს (რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულის სიმძიმეზე), მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელზეც ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას: **პრეზიდენტი რომ ხარ, პარლამენტში, მთავრობაში ან სადმე სხვაგან მაღალი პოსტი რომ გიკავია, ზნეობით და მორალით სამაგალითო უნდა იყო. იმის თქმა მინდა, რომ კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ შენი ცხოვრება შენს საწინააღმდეგო კომპრომატად არ იქცეს, თორემ ჩვენ ვიცით შემთხვევა, როცა პირველი პირის პოლიტიკური კარიერა მსგავსმა კომპრომატმა შეიწირა.** სხვათა შორის, ის კაცი იყო იმ ქვეყნის პირველი პირი, რომლისგანაც დღეს ჩვენ დემოკრატიას ვსწავლობთ და ფეხდაფეხ მივყვებით... ჩემი აზრით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე როცა ვსაუბრობთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, სახელმწიფო მოხელის პირადი ცხოვრება პირდაპირ დაკავშირებულია სახელმწიფოს ბედთან; ეს არის მოცემულობა, როცა პირადი ცხოვრებითა და პრობლემებით მთელ ქვეყანასა და ერს შეიძლება განსაცდელი მოუვლინო...

**— მერაბიშვილის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ მარგველაშვილმა განაცხადა, ამ გადაწყვეტილებას ჰყავს უშუალო პასუხისმგებელი პირები სასამართლო და სამართალდამცავ სისტემაში და მათ აუცილებლად პასუხი უნდა აგონო. როგორ ფიქრობთ, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების შეცვლიდან ოთხი წლის თავზე სამართლიანობა კვლავაც არ არის აღდგენილი, პრეზიდენტისგან უხერხული არ არის, ვინმეს დასჯასა და პასუხისგებაში მიცემაზე საუბარი?**

— პრეზიდენტი ასე რომ ლაპარაკობს, უკვე არ არის მართალი და რატომ, იცით? იმიტომ, რომ რა მისი საქმეა, ვისი პასუხისმგებლობა როგორ უნდა დადგეს?! ეს არის პირდაპირი ზემოქმედება სასამართლოზე! და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს მსგავსი ქმედება, თავად განსაჯეთ.

რაც შეეხება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, **რა დოკუმენტიც უნდა გამოაქვეყნონ, რა დასკვნაც და გადაწყვეტილებაც უნდა გამოიტანონ, ვერავინ დამარწმუნებს, რომ მერაბიშვილის ადგილი ციხეში არ არის. ის არის ერთ-ერთი კრიმინალი. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ჩემი თვალით ვნახე 7 ნოემბერიც, 6 და 26 მაისიც. ახლა, ვისაც რა უნდა, ის ჩაწეროს თავის გადაწყვეტილებაში...**

**— პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვანო მაჭავარიანის დაბრუნებაზე რა აზრის ხართ? მოგეხსენებათ, ის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა.**

— აქ კომენტარი ზედმეტია. ჩემი აზრით, ყველაფერი გაშიფრულია...

**— რას გულისხმობთ?**

— ვინ იყო ადრე **ვანო მაჭავარიანი?** ვის გარემოცვაში ფიგურირებდა? — სააკაშვილის. მორჩა, ყველაფერი ნათელია, ერთი გზით მიდიან ესენი, მარგველაშვილი და სააკაშვილი ერთი ძალა არიან.

**— პრეზიდენტის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ მაჭავარიანი მაღალი დონის დიპლომატია.**

— მაშინ გამოდის, მაჭავარიანზე დიდი დიპლომატი არ გვყოლია, ეგ ყოფილა ქვეყნის ხსნა და პრეზიდენტს სხვა გზა არ ჰქონია, მაინც და მაინც ის უნდა დაენიშნა?! თქვენ ამის გჯერათ?

**— „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული ნებისმიერი პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. ცხადია, ეს იცის მარგველაშვილმაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაჭავარიანი მაინც შეიყვანა უშიშროების საბჭოში. თქვენი აზრით, პრეზიდენტს საზოგადოების აზრი ნაკლებად აინტერესებს?**

— ვინც ფეხებზე დაიკიდებს საზოგადოების აზრს, მას ხალხი დაიკიდებს ფეხებზე. მოსახლეობა ძალიან კარგად ხედავს, ვინ ვინ არის, საით იხრება და საით მიუწევს გული...

**— საუბრობენ იმაზეც, რომ ნაციონალებმა და კოალიციიდან გამოსულმა სუბიექტებმა — რესპუბლიკელებმა, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და სხვებმა გარკვეული ერთობა შეიძლება შექმნან. თქვენი აზრით, რეალურია ეს?**

— კოალიცია იყო ის გაერთიანება, რომელმაც შანსი მისცა ბევრ უშანსოდ დარჩენილ პარტიას და, რომ არა „ქართული ოცნება“, ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ. მაგრამ ახლა სხვა რეალობაა, მიმაჩნია, რომ მომავალში „ოცნებამ“ მარტომ უნდა იყაროს კენჭი და არ უნდა მისცეს შანსი იმ სუბიექტებს, რომელთა მიმართაც საზოგადოების განწყობა აშკარად ნეგატიურია. აი, ასეთ პირობებში გამოჩნდება, რომელ პარტიას როგორი პულსი აქვს და რომელს რის მიღწევა შუძლია დამოუკიდებლად.

**— ეს ხომ ისედაც ვიცით. რესპუბლიკელების რეიტინგი სტაბილურად სამი პროცენტია...**

— ჰოდა, შეიძლება ამიტომ მოინდომონ ვილაცასთან გაერთიანება, თუნდაც ნაციონალებთან, თუმცა, თავის მხრივ, ნაციონალების შანსიც ძალიან მცირეა. ვფიქრობ, ისინი ბარიერსაც ვერ გადალახავენ. მთავარია, საზოგადოებაში არ იყოს ნიჰილიზმი და რაც შეიძლება ბევრი მივიდეს საარჩევნო ყუთთან.

**— არის კი დღეს საზოგადოებაში ნიჰილიზმი?**

— რომ გითხრათ, არა-მეთქი, დამიჯერებთ? რა თქმა უნდა, არის და ამას თავისი მიზეზები აქვს, თუმცა ამ ეტაპზე მთავარია ის, რაც ვთქვი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არ უნდა აიკიდოს საზოგადოებისთვის მიუღებელი პარტიები და არ გაუხსნას მათ ხელოვნურად გზა ხელისუფლებისკენ. ამას ცუდი შედეგი მოაქვს. ჯერ ერთი, „ქართული ოცნების“ მიმართ უნდობლობა ჩნდება და არჩევნებზეც ნაკლებად მიდის ხალხი. მეორე — რაც ყველაზე ცუდია, ეს ყველაფერი ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს. ჩემი აზრით, ეს რისკი და მსხვერპლი იმად არ ღირს, რომ სადღაც ვილაცებმა შეგვაქონ, თავზე ხელი გადაგვისვან და ტაში დაგვიკრან, დედა, რა კარგ დემოკრატიას აშენებთო...

**«ქართულმა ოცნებამ» არ უნდა აიკიდოს საზოგადოებისთვის მიუღებელი პარტიები და მათ ხელოვნურად არ უნდა გაუხსნას გზა ხელისუფლებისკენ**

**«რა დოკუმენტიც უნდა გამოაქვეყნონ, რა დასკვნაც და გადაწყვეტილებაც უნდა გამოიტანონ, ვერავინ დამარწმუნებს, რომ მერაბიშვილის ადგილი ციხეში არ არის. ის არის ერთ-ერთი კრიმინალი. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ჩემი თვალით ვნახე 7 ნოემბერიც, 6 და 26 მაისიც»**

**«კოალიცია იყო ის გაერთიანება, რომელმაც შანსი მისცა ბევრ უშანსოდ დარჩენილ პარტიას და, რომ არა «ქართული ოცნება», ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ. მაგრამ ახლა სხვა რეალობაა, მიმაჩნია, რომ მომავალში «ოცნებამ» მარტომ უნდა იყაროს კენჭი და არ უნდა მისცეს შანსი იმ სუბიექტებს, რომელთა მიმართაც საზოგადოების განწყობა აშკარად ნეგატიურია»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გია მაისაშვილი 2009 წლის ე.წ. საკნების მასობრივი საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ლიდერი იყო და 6 მაისს პოლიციის სამმართველოსთან „მი-შა, მი-შას“ ძახილითა და ვანოს ბრძანებით მას შუბლში 10 მეტრიდან დამიზნებით ესროლეს რეზინის ტყვია... და რაც ახლა გიას სჭირს, სწორედ იმ ტყვიის ბრალია.**

# ვანოს ბრძანებით ნასროლი ტყვიით...

**გასულ კვირას, გავბედე და, ჩემი მეგობარი გია მაისაშვილი მოვინახულე. დიახ, გავბედე, რადგან მიმძიმდა ამ ულამაზეს ქართველ ვაჟკაცთან შეხვედრა — რა უნდა მეთქვა, რით მენუგეშებინა სიკვდილთან მებრძოლი ჯეელი კაცი?!**



გია მაისაშვილი ქართულ პოლიტიკაში 2003 წლის გაზაფხულზე, სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობისას, მოვიდა და „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში საქართველოში უკვე აღარ იმყოფებოდა.

თუ — რატომ, ამაზე ქვემოთ.

იმხანად გაზეთ „რეზონანსში“ ვმუშაობდი და სააკაშვილთან, როგორც მისი მხარდამჭერი, ისე ვიყავი დაახლოებული, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო გაზეთს „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ (რომელიც მილიონიანი (!) ტირაჟით დაიბეჭდა), პრაქტიკულად, მე ვაკეთებდი, თუ დამიჯერებთ, სრულიად უანგაროდ — მაწევს ეს ცოდვა, მაგრამ რა ვქნა, იმხანად სოროსის შესახებ არაფერი ვიცოდი, თანაც გულწრფელად მჯეროდა ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებისა, ოღონდ შევარდნაძე მოგვეშორებინა და...

ჰოდა, სწორედ იმ გაზეთისთვის გიასთან ინტერვიუს ჩასაწერად ზემო ვეძისში ამიყვანა საკუთარი მანქანით მაშინ ჯერ კიდევ „პროსტო ვანომ“ და მომავალში — ქვეყნის ხერხემალმა, ქართველთა ჯალათმა **ვანო მერაბიშვილმა;** იმ ვანომ, რომლის გათავისუფლება გვიბრძანა სტრასბურგის (წაიკითხე, აშშ) სასამართლომ...

სალამ-ქალამის შემდგომ გაირკვა, რომ მე და გია ვერელები ვიყავით და ორივეს ერთი, 51-ე სკოლა გვქონდა დამთავრებული. ჰოდა, გიზო ნიშნიანიძისა არ იყოს, ორ თბილისელს (მით უმეტეს, ორ ვერელს — დ. მ.) ერთმანეთის გასაცნობად მესამე კაცი არ სჭირდება და მე და გია ერთი ნახვით დავმეგობრდით...

**სწორედ მაშინ შევიტყვე გია მაისაშვილის დისიდენტური წარსული, ისიც, რომ ამერიკელი ცოლი ჰყავდა, მაგრამ გიას 2 წლის გოგონამ ქართულიც მშვენივრად იცოდა და ილია ჭავჭავაძის ცნობილ ლექსს ასე ტიტინებდა: „აყვავებულა მთები, აყვავებულა მდელო, მამულო საყვარელო, შენც აყვავდი ლაა“...**

სწორედ ამ სათაურით „შენც აყვავდი ლაა“ გამოქვეყნდა იმ ანტიშევარდნაძისტულ გაზეთში გიასთან ვრცელი ინტერვიუ...

მერე ისე მოხდა, რომ იმ ზაფხულს მოვიწამლე და 4 თვე „წერილი მიმქონდა“ ბაბუაჩემთან. გაზეთი უჩემოდ გამოვიდა, „ვარდების რევოლუციაც“ უჩემოდ მოხდა და გიაც სადღაც გაუჩინარდა...

მოგვიანებით მივხვდი, სინამდვილეში რა სატანისტებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში შიზოფრენიკი სააკაშვილის ნაცების სახით და გიას მოულოდნელად გაუჩინარების მიზეზიც მაშინ შევიტყვე, როდესაც საქართველოში დაბრუნდა და ურთიერთობა განვაახლეთ.

„ვარდების რევოლუციის“ წინარე საარჩევნო კამპანიის პერიოდში გია მაისაშვილს გაუკეთებია ბიზნესპროექტი, რომლის მიხედვითაც ე.წ. 31-ე ქარხნის ბაზაზე უნდა შექმნილიყო „ბოინგების“ მომსახურების ცენტრი, რომელიც ერთადერთი იქნებოდა მთელ პოსტსაბჭოეთში.

**31-ე ქარხნის მფლობელი კი იყო პანტიკო თორდია, რომელიც შევარდნაძის გუნდის წევრად განიხილებოდა და სააკაშვილს გიასგან მოუთხოვია, — პანტიკოს არაფერი გაუკეთო, ეგ შევარდნაძის კაციაო. გიას უპასუხია, — მე ამას პანტიკოს კი არა, საქართველოს ვუკეთებ! იმ ავადმყოფმა, — საჯაროდ „დაგარტყამ“, ბრიფინგზე ვიტყვი, რომ შენც შევარდნაძის კაცი ხარო. მოკლედ, ისეთი გაწევ-გამოწევა დაწყებულა საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში, რომ ლამის ხელის გარტყმამდე მისულა საქმე.**

ჰოდა, აბა, გიას რას შეჰბედავდა კურდღელი მიშა სააკაშვილი და ისეთი ბნედა დამართნია, პირზე აქაფებულ დუჟს **მაია ნადირაძე** წმენდდა თურმე...

აი, ამიტომ წავედი უხმაუროდ, რადგან მეც შევარდნაძის ხელისუფლების დამთავრება მინდოდა და ხელი არ შევუშალე, რა ვიცოდი, რომ შევარდნაძე, ამ სადისტებთან შედარებით, ანგელოზი ყოფილაო...

**მერე იყო 2009 წლის ე.წ. საკნების მასობრივი პროტესტი, გია მაისაშვილი ამ საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ლიდერი იყო და 6 მაისს პოლიციის სამმართველოსთან მი-შა, მი-შას ძახილითა და ვანოს ბრძანებით გია მაისაშვილს შუბლში 10 მეტრიდან დამიზნებით ესროლეს რეზინის ტყვია... და რაც ახლა მას სჭირს, სწორედ იმ ტყვიის ბრალია.**

და, აი, მივადექით ორი გვამის მძებნელ ჯალათს:

რამდენიმე დღის წინათ ვანო მერაბიშვილი სტრასბურგის სასამართლომ პოლიტპატიმრად გამოგვიცხადა, რითაც დასავლეთმა (წაიკითხე — აშშ) კიდევ ერთხელ ჩაგვაფურთხა სულში ქართველებს.

არადა, სწორედ მიშა და ვანო არიან მთავარი შემოქმედნი იმ 9-წლიანი ფაშისტურ-სადისტური კოშმარისა, როდესაც ჩვენსავე სისხლსა და ცრემლში გვაბანავებდნენ, ბახჩოსედრაკები გვაუპატიურებდნენ და ა.შ. მათ მიერ ჩადენილ სხვა მრავალ დანაშაულს გია მაისაშვილის მკვლელობის მცდელობაც უნდა დავუმატოთ და პოლიტპატიმარ ვანოს გვერდით უნდა მივუსვათ ბნედიანი სააკაშვილიც.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჯალათი ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრად აღიარება კი მართლაც სულში ჩაფურთხებაა ქართველი ხალხისთვის. **ორი გვამის მძებნელმა ვანომ მისი ბრძანებით ნასროლი ტყვიით გია მაისაშვილის სიკვდილის პირამდე მიყვანისთვის დიდი ხნით უნდა ხეხოს ციხის „ნარები“, მაგრამ საქმეც ის არის, რომ სტრასბურგის სასამართლომ, როგორც, საერთოდ სჩვევია დასავლეთს, ამ შემთხვევაშიც ორმაგი სტანდარტი გამოიყენა. არ გაითვალისწინა სისხლისმ-** ▶

# 25 წელია, ველოდებით ევროპას, როდის აგვიშენებს ქვეყანას და სულ უკან-უკან მივდივართ

**2016 წლის 22 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყების 75-ე წლისთავზე, ქალაქ გორში სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა გაიმართება დევიზით: „დედასამშობლო გვიხმობს“. გვესაუბრებიან „სოციალისტური საქართველოს“ დამფუძნებლები საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინელის“ თავმჯდომარე გრიგოლ ონიანი და პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.**

**გრიგოლ ონიანი, საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინელის“ თავმჯდომარე:**

— საქართველო თავისი არსებობის განმავლობაში დამოუკიდებელი იშვიათად ყოფილა. ერეკლე მეფეს თავზე სპარსული ქუდი ეხურა...

მე-16 საუკუნიდან ვეხვეწებოდით ერთმორწმუნე რუსეთს, რომ მისი მფარველობის ქვეშ მივეღეთ, მაგრამ ორი საუკუნის განმავლობაში უარს გვეუბნებოდა. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ საქართველოს ადგილმდებარეობა არც იცოდა. **საქართველო დაყოფილი იყო შვიდ სამთავროდ, რუსეთმა ისინი ცალ-ცალკე, ეტაპობრივად შეიფარა; ჩოლოქამდე მოსული თურქები აჭარიდან გაყარა, ახალციხიდან კი ფაშა გააგდო, მანგლისამდე მოსული მტერიც უკან გაატრიალა... საქართველო ერთიანი გახდა.**

1921 წელს, მაისში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მოსკოვის ცენტრში დაშალეს მაუდ-კამბოლის ფაბრიკა, 60 ვაგონი დატვირთეს და თავისი 220 მქსოველით ქუთაისისკენ აღებინეს გეზი. წლის ბოლოსთვის ქუთაისში მაუდ-კამბოლის ფაბრიკა ამოქმედდა, რომელმაც 1990 წლამდე იმუშავა. პირველი ელექტროსადგურიც 1921 წელს აშენდა საქართველოში. იმხანად თბილისში 120 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო 1930 წელს კი მოსახლეობის რაოდენობა 500 ათასამდე გაიზარდა. მას შემდეგ საქართველო სულ წინ მიდიოდა. დაშრა კოლხეთის ჭაობი და ბაღნარად იქცა.

**25 წელია, ველოდებით ევროპას, როდის აგვიშენებს ქვეყანას, მაგრამ სულ უკან-უკან მივდივართ. როდესაც გალატაკებულ საქართველოში კომუნისტები შემოვიდნენ, 25 წელიწადში ავშენდით და ფაშიზმიც დავამარცხეთ, მთელი ევროპა გადავარჩინეთ. ახლა 25 წელიწადი აღარ არის საჭირო, თუ რუსეთის ბაზარი გაიხსნება, 5 წელიწადში ქვეყანა აყვავდება.**

ბელარუსს არაფერი დაუნგრევია, ყველაფერი შეინარჩუნა, რაც საბჭოთა პერიოდში ჰქონდა, და დღეს ბრწყინვალე ქვეყანაა. აშენებული ქვეყანა რომ არ დაგვენგრია, საქართველოც გადარჩებოდა.

**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე:**

— საქართველოში ბევრი საუბრობს, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს, ეს ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო სლოგანად აქცია. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.




„ოცნების“ გაგებით, სამართლიანობის აღდგენა ნიშნავდა სააკაშვილის მიერ წართმეული ფულის უკან დაბრუნებას, მაგრამ არავინ სვამდა კითხვას — საიდან ჰქონდა ფული და ქონება მას, ვისაც ის წაართვეს. ეს არაა სამართლიანობის აღდგენა, თუმცა არც ეს მომხდარა. **სამართლიანობა აღდგება მაშინ, როდესაც ქართველ ხალხს დაუბრუნდება ის სოციალისტური მონაპოვარი, რომელიც წაართვეს, დაუბრუნდება სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე აგებული სისტემა, რომელიც წაართვეს.**

**გლეხს წაართვეს, სარჩო-საბადებელი, ხოლო მუშას – ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც ჯართის სახით გაუყიდეს. ქართველი მათხოვრად აქციეს არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ მსოფლიოში.**

საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა კავშირის დროს 6 მილიონს აღწევდა. 25 წლის განმავლობაში კი თითქმის განახევრდა. დავკარგეთ ორი ავტონომიური ერთეული, ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა, დაიკარგა ყველანაირი პოტენციალი, განვიცადეთ სულიერი და მორალური დეგრადაცია, დაანგრიეს და გააჩანაგეს ყველა შემოქმედებითი კავშირი — კინო, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა; მოშალეს სამეცნიერო კერები — უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია; ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. **ერთ დროს კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით აყვავებულ რესპუბლიკას განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს და იაფი ნედლეულისა და მუშახელის ბაზად აქციეს.**

25 წელიწადია, ხალხს ატყუებენ. ამ სიცრუისა და თაღლითობის შედეგი აშკარაა. ადამიანებს ჰქონდათ სოციალური დაცვის ▶

„ქართველმა ქალებმა ივაჟკაცეს — წავიდნენ ევროპასა და ამერიკაში; წავიდნენ მომვლელებად, მოსამსახურეებად და, არა მხოლოდ თავიანთი და ახლობელთა ოჯახები, საქართველო იხსნეს შიმშილისგან. და, თუ ჩემი ქვეყანა ისევ არსებობს და ვითარდება, სწორედ 1990-იან წლებში დაწყებული ემიგრაციის, ძირითადად, ქართველი ქალების დამსახურებაა“.

შორია ბუჩხისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მელი ვანოს მსხვერპლის, გია მაისაშვილის, სავალალო მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ცოლი ჰყავს და პროამერიკელია, რადგან მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“, ანუ აშშ-ის ინტერესების წინააღმდეგ გამოდიოდა, მის ჯალათს, ვანო მერაბიშვილს, კი ხელი დააფარა და პოლიტპატიმრად აღიარა — ის ხომ ამერიკელების ძაღლისშვილია?!**

რაც შეეხება გია მაისაშვილზე მოქილიკე პოლიტიკოსებს, — **ცაში დაფრინავსო, რით სჯობიან ცაში მფრინავ იდეალისტებს მუცელზე მხოხავი, მხოლოდ საკუთარ სტომაქზე მზრუნველი ნაძირალები?!**

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი გია მაისაშვილი იმას შესთხოვს უფალს, სამშობლოსთვის დაუხარჯავი არ წამიყვანო, არ მინდა, საფლავში ჩავიტანო ჩემი ცოდნა, ქვეყანას მამსახურეო!

**მივმართავ პირადად ბიძინა ივანიშვილს: რობი უილიამსმა უკანალი რომ დაგვახურა, მაგაში მილიონებს იხდით და... ვანო მერაბიშვილის ბრძანებით შუბლში ნასროლი რეზინის ტყვიისგან მიღებული დაზიანებების შედეგად სასიკვდილოდ განწირული გია მაისაშვილის დასახმარებლად ბანკში ანგარიშია გახსნილი — იქნებ კაპიკ-კაპიკ საჭირო თანხა შეგროვდეს! — ეს ისე, ცნობისთვის, რადგან კოაბიტაციით გართულმა შეიძლება არც იცოდით ამის შესახებ...**

**დავით მხეიძე**

◀ ისეთი პაკეტი, რომლის მსგავსი მსოფლიოში არსად ყოფილა. არსად, არც ერთ სახელმწიფოში სოციალიზმზე უკეთესი რამ ჯერ არ მოუგონიათ. **არც ერთ ერს არ ღირსებია ის, რაც ჩვენ საბჭოთა კავშირის დროს გვქონდა.** უფასო იყო ჯანდაცვა, განათლება, პრაქტიკულად უფასო იყო კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა... ხუთსულიანი ოჯახი 3 მანეთს იხდიდა გათბობით, ცხელი წყლითა და ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის. ხალხმა ეს ყველაფერი უნდა დაიბრუნოს. ქვეყანამ ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს.

**ბიძინა ივანიშვილი ამბობს, საქართველოში ნატოს რაკეტებს განვათავსებთ, რომლებიც დამიზნებული იქნება რუსეთის სტრატეგიული ობიექტებისკენ, მაგრამ დავარწმუნებთ რუსებს, რომ ეს მტრობა არ არისო. ეს უდიდესი სისულელეა, ჩვენ რუსეთს ვერ მოვატყუებთ, ამით მხოლოდ თავს ვიტყუებთ და საკუთარ ქვეყანას ვანგრევთ.** დროა, უარი ვთქვათ ამ სიბინძურეზე და დავდგეთ სამშობლოს სადარაჯოზე. დედასამშობლო გვიხმობს, გვეძახის, გვეხვეწება!

ჩაიწერა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# «ევროპელები ფრთიანი ანგელოზები ჰგონია ბევრს. ვინ ვაჭრობდა ქვეყნებში შესასვლელი ვიზებით, რომლებსაც ჩვენი ქალები პროცენტიანი სესხით ყიდულობდნენ?»

**საქართველოდან ყოველდღიურად უფრო მეტი ნიჭიერი ქართველი მიდის საზღვარგარეთ უკეთესი მომავლის საძებნელად. 56 წლის სოლომონ ნერგაძე, პროფესიით ბიოფიზიკოსი, მოლეკულური ბიოლოგიის ასისტენტ-პროფესორია. ამჟამად ცხოვრობს იტალიის ქალაქ პავიაში. მუშაობს პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტში. კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულება უჯრედში მიმდინარე ფუნდამენტური პროცესების შესწავლაა. კითხულობს ლექციებს მოლეკულურ ბიოლოგიაში და პრაქტიკუმი მიჰყავს მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიაში.**



**«ქართველი ერი ტოტალური ტყუილის სინდრომითაა დაავადებული»**

**— ბატონო სოლომონ, ბევრი ნიჭიერი ქართველი თავის შესაძლებლობებს სხვა ქვეყანას ახმარს, მათ შორის თქვენც ხართ. რატომ წახვედით საქართველოდან?**

— 1990-იან წლებში **ედუარდ შევარდნაძემ** ადამიანები აიძულა, ქვეყნიდან გადახვეწილიყვნენ და მეც მათ შორის ვიყავი. წავედი იმიტომ, რომ ოჯახი შიმშილისგან გადამერჩინა, მეკეთებინა საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს. ხელახლა რომ დავიწყო ცხოვრება, ზუსტად იმავე გზას ავირჩევდი. 1990-იან წლებში რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭმა საქართველოში კარგი საქმის კეთება დავიწყეთ — „ჰემოდეზის“ გამოშვება. ჩვენ გარდა, კიდევ იყო მეორე ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომელიც ანალოგიურ საქმეს აკეთებდა. დღევანდელი გადასახედიდან, სიამაყის განცდას იწვევს ჩვენი იმჟამინდელი წამოწყება. უცხოური და ვადაგასული 4-დოლარიანი წამლის ნაცვლად, ჩვენ ანალოგიურ გადასასხმელ საშუალებას ნახევარზე ნაკლებ ფასად ვთავაზობდით. ამას, ალბათ, წაიკითხავენ ჩემი მეგობრები — ჩვენ ერთად დავიწყეთ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე... ლამის შეგვჭამეს იმჟამინდელი მთავრობის გაფუჭებულმა წარმომადგენლებმა. იმ ადამიანებმა ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ცხოვრება დაუმახინჯეს. მრავალი შემმოწმებელი — ელგაყვანილობის, სანიტარული, სახანძრო... და ვინ მოთვლის, კიდევ რისი არა, მუშაობდნენ, მაგრამ საქმე არავის აინტერესებდა, ყველა ფულს ითხოვდა. ასეთი იყო სისტემა და ხელისუფლების ნება. ვერ გავუძელით და შევწყვიტეთ წარმოება. დიდი სიყვარულით მივესალმები ყველას, ვისთან ერთადაც ეს კარგი საქმე წამოვიწყეთ. მიყვარხართ, ბიჭებო, მეამაყებით! ჩვენ ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ დავმარცხდით მდაბიო სულისა და სინდისგარეცხილ ორფეხებთან. დავმარცხდით მხოლოდ იმიტომ, რომ...ჩემი სახელმწიფო მათ უჭერდა მხარს, ჩვენ კი მარტონი ვიყავით.

**— რა ხდება იტალიაში, როგორია მანდ ცხოვრება, როგორი ხელისუფლება ჰყავთ, როგორი ხალხი არიან და რას ამბობენ ქართველებზე?**

— ამ ქვეყანას კარგიც აქვს და ცუდიც, ისევე, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს მსოფლიოში. ღირსეულად ცხოვრება არსად არ არის მარტივი. ნოდარ დუმბაძის მაგალითს მოვიშველიებ, მეველე, რომ აედევნა და უთხრა: „შუბლის ძარღვი თუ გაწყდა, ბაბუ, მერე ადვილია, ცხოვრებაო“. **უშრომლად, ოფლის გარეშე, არაფერი გამოდის.** აქ ხალხი მუშაობს საკმაოდ ბევრს. შიმშილით სიკვდილი არავის ემუქრება. უმუშევრებს სახელმწიფო არ ტოვებს ბედის ანაბარა. განსაკუთრებით სამხრეთ იტალიელებთან ვპოულობ ბევრ საერთოს. იგრძნობა სამხრეთული ტემპერამენტი. სხვათა შორის, მილანის ქართულ-იტალიური საზოგადოების — „სამშობლო გულით სატარებელი“ პრეზიდენტი, ქალბატონი **ნუნუ გელაძე** კარგად განაგრძობს მისი წინამორბედისა და აღნიშნული საზოგადოების სულისჩამდგმელის, აწ განსვენებული **ნინო ყაუხჩიშვილის** დაწყებულ საქმეს. ის აერთიანებს საქართველოზე შეყვარებულ იტალიელებს, რომლებიც საკმაოდ კარგად იცნობენ საქართველოს. რამდენიმე წლის წინათ მილანის უნივერსიტეტის პროფესორებმა, სხვა უნივერსიტეტის მკვლევარებთან ერთად, ხმამაღლა განაცხადეს, რომ ყურძნისა და ღვინის სამშობლო საქართველოაო. ვეხუმრე ერთ-ერთს, დოქტორ **ენრიკო სალას,** — ეგ გვითხარით ქართველებს და კიდევ უფრო მაღლა ავწევთ ცხვირს-მეთქი. მან კი მიპასუხა: არა მხოლოდ ყურძნის, არამედ, დიდი ეჭვი გვაქვს, საქართველო ზეთისხილის სამშობლოცააო. **1990-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა კაცებმა ჩვენი უპირველესი მოვალეობის შესრულების უნარი დავკარგეთ, ქართველმა ქალებმა ივაჟკაცეს.** რატომ ვერ შეასრულეს კაცებმა თავისი ფუნქცია, სხვა საკითხია. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქვეყანას დაემუქრა შიმშილის საფრთხე, როცა ამერიკისა და ევროპის ნაჩუქარი ფულით თურქეთიდან ხალხის დასაპურებელი ხორბალი უნდა შემოგვეტანა, ქვეყანაში კი კორუფცია მძვინვარებდა. ერთეულები შემორჩნენ სინდისის, ნამუსისა და ღირსების მქონე ადამიანები. **ქართველმა ქალებმა ივაჟკაცეს — წავიდნენ ევროპასა და ამერიკაში; წავიდნენ მომვლელებად, მოსამსახურეებად და, არა მხოლოდ თავიანთი და ახლობელთა ოჯახები, საქართველო იხსნეს შიმშილისგან.** და, თუ ჩემი ქვეყანა ისევ არსებობს და ვითარდება, სწორედ 1990-იან წლებში დაწყებული ემიგრაციის, ძირითადად, ქართველი ქალების დამსახურებაა. ძალიან მინდა, ქართულ ემიგრაციას, ყველა დროის ემიგრაციას, ძეგლი დავუდგათ. **ევროპელები ფრთიანი ანგელოზები ჰგონია ბევრს, მაგრამ გაიხსენეთ, ვინ ვაჭრობდა ქვეყნებში შესასვლელი ვიზებით, რომლებსაც ჩვენი ქალები პროცენტიანი სესხით ყიდულობდნენ?**

**— საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდია. როგორია თქვენი თვალსაზრისი დღევანდელ ხელისუფლებაზე?**

— ხსნასავით ველოდები ოქტომბრის ჩავლას. ხვალ დილით რომ გავიღვიძო და კალენდარზე ნოემბრის პირველი იყოს, ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვიქნები. ოთხი თვის სიცოცხლეს ასე ადვილად იმეტებსო, — არ დამცინოთ. ძალიან ბევრ უხამსობას ვხედავ. **ქართველი ერი ტოტალური ტყუილის სინდრომითაა დაავადებული.** არც ერთი მთავრობა, არც ერთი ხელისუფლება არ მყვარებია და არ გამომიხატავს აღფრთოვანება სახალხოდ. პრესას გადახედეთ, — სიყვარულს უხსნიდნენ ადრეც და სიყვარულს უხსნიან ახლაც. ხელისუფლება და მთავრობა როგორ შეიძლება გიყვარდეს?! კრიტიკის გარეშე მთავრობა ვერ იმუშავებს. თუ ომბუდსმენმა არ იცის, როგორ ეპყრობიან მაღაზიებისა და სუპერმარკეტების თანამშრომლებს, როგორ ილახება მათი უფლებები, მაშინ დაწეროს განცხადება, რომ ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს და წავიდეს.

**— როგორი დამოკიდებულება აქვთ იტალიელებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ და თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— ქართველები ერთნაირსქესიანთა ქორწინების ნაცვლად ხშირად იყენებენ ტერმინს „ერთსქესიანთა ქორწინება“. ეს უვიცობისა და გაუნათლებლობის ბრალია. ამიტომ მაქვს აგრესია ამ ტერმინის მიმართ. ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებას უარყოფითად ვუყურებ. **ოჯახი წმინდაა, საკრალური.** როგორც მრავალი ჩემი თანამემამულე, მეც ჩვეულებრივ, ნორმალურ ოჯახში გავიზარდე. ჩემთვის ოჯახი იყო ყველაფერზე წინ. **ოჯახი, უპირველესად, სიყვარულს ნიშნავს — ასე გამზარდეს. ოჯახი უნდა დავიცვათ სიბინძურისგან. მიმაჩნია, რომ ამ თემაზე წამდაუწუმ საუბრით დადებით თუ უარყოფით კონტექსტში ლგბტ-თა რეკლამირებას ვეწევით.** ინვალიდთა უფლებების შელახვის გამო ვინმე იღებს ხმას, ხმაურობს საინფორმაციო საშუალებები? კანადაში მითხრა ერთმა მეგობარმა, — ქუჩაში ინვალიდების რაოდენობით ფასდება ქვეყნისა და იქ მცხოვრები ხალხის ჰუმანურობის დონეო. რატომ არ ვთხოვთ მთავრობას, დაიწყოს ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა? **ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაშვება-არდაშვებაზე გაცილებით მეტს ვლაპარაკობთ (არიქა, ევროპამ არ დაგვიწუნოს მოქცევაო), ვიდრე შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების პრობლემებზე. რატომ არ კეთდება ინვალიდებისთვის ტროტუარებზე ასასვლელ-ჩასასვლელი?** რატომ არ აქვთ ავტობუსებს სპეციალური მოწყობილობები ინვალიდებისთვის? ეს არავის აინტერესებს ჩემს ქვეყანაში. სამაგიეროდ, ბევრს ვლაპარაკობთ ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონება-არდაკანონებაზე.

**«ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაშვება-არდაშვებაზე გაცილებით მეტს ვლაპარაკობთ (არიქა, ევროპამ არ დაგვიწუნოს მოქცევაო), ვიდრე შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების პრობლემებზე»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენ, ევროსკეპტიკოსები, კვლავ და კვლავ ვიმეორებთ, რომ „ევროპული ინტეგრაცია“ საქართველოს არჩევანი კი არ არის, მაგ ამბავში არადანის როლშიც კი არავინ გვამყოფებს. და ამას ამტკიცებს განვლილი 30-წლიანი „ევროოპტიმიზმის“ ეპოქა!**

# ევროკავშირი, ნატო და საქართველო — არჩევანი, არადანი თუ «მუშტი-სილა»?

**ეს ნახევრადირონიული სათაური, თავდაპირველად, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ საგაზეთო წერილის წაკითხვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ იგი ნამდვილად არ არის იმაზე უცნაური, ვიდრე თვითონ ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობის ამბავი.**

მართალია, უკვე ათეული წლებია, გვიჩიჩინებენ, ევროკავშირი საქართველოს არჩევანიაო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერავინ აგვიხსნა, თუკი ეს ჩვენი არჩევანია და, თუკი მათი „კარიც ღიაა“, მაშინ რატომ ვერ მივიღეთ ის, რაც „ჩვენია“?!

უკვე დიდი ხანია, ეს საკითხი ირონიულ თემად იქცა და აღარც ღირდა მასზე ყურადღების გამახვილება, რომ არა ერთი გარემოება — ჩვენმა „ბრძენმა“ თანამემამულეებმა ქართულ სინამდვილეში დაამკვიდრეს ახალი სასაცილო ტერმინი — **„ევროსკეპტიკოსები“.**

როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს და როგორ ადამიანებს უნდა აღნიშნავდეს, ნეტავ, სიტყვა „ევროსკეპტიკოსები“?

სოციალურ ქსელებში გამართული კამათებისა თუ „ძალიან ბრძენი“ სახელმწიფო მოხელეების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, **ევროსკეპტიკოსები ის ხალხია, რომელიც, უკვე ათეული წლებია, ამბობს, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ალიანსში საქართველოს გაწევრება მხოლოდ სატყუარაა, ამერიკამ რუსეთი ჩვენს ხარჯზე რომ გააღიზიანოს და „მუდმივი პრობლემის“ რეჟიმში ამყოფოს, თორემ სინამდვილეში, არც ევროკავშირსა და არც ნატოში არავინ არასოდეს მიგვიღებსო.**

აი, სწორედ ასეთ ადამიანებს უწოდებენ პატივცემული „ძაანევროპელი“ ქართველები ევროსკეპტიკოსებს.

ვერ გეტყვით, რამდენი ათწლეული უნდა გავიდეს, რომ ქართველმა ხალხმა საბოლოოდ გააცნობიეროს: ასეთი ადამიანები, **ევროსკეპტიკოსები** კი არა, სინამდვილეში **ევრორეალისტები** ვართ. თუმცა ხალხს მართლაც რას ვერჩით, ხალხმა ყველაფერი შესანიშნავად იცის და ფაქტია, საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი, უკვე დიდი ხანია, მიხვდა კიდეც ამას. **უბრალოდ, ის ადამიანები, რომლებიც სწორედ ამერიკის „ჯიბეში სხედან“ და ამერიკიდან იღებენ ძალიან სერიოზულ დაფინანსებას, ყოველ კვირა ახალ-ახალ მიზეზებს იგონებენ, რათა გაამართლონ და რამენაირად ახსნან საქართველოს ევროსტრუქტურებსა თუ ნატოში გაწევრების განუსაზღვრელი ვადით გადადება.**

ამ მხრივ საყურადღებოა ბოლო პერიოდში თვითონ ამ სტრუქტურების ოფიციალური წარმომადგენლების ფერისცვალება. აქამდე უამრავი წელიწადი, ასე ვთქვათ, იმედით გვკვებავდნენ — არიქა, უახლოეს სამიტზე გარანტირებული გაქვთ ნატოს წევრობაო; შემდეგ — წევრობაზე თავი შეიკავეთ და **მაპი** მიიღეთო, მერე **ასპირანტი ქვეყნის** სტატუსს მოგცემთო, მერე წევრობას და მაპს არა, მაგრამ „რაღაცას“ — ნამდვილადო...

როგორც ჩანს, უკვე მართლაც თვალშისაცემია ქართველი ხალხის გაღიზიანება ამ უსასრულო დაპირებების გამო და, **ჯეიმს აპატურაის** თამადობით, სხვებმაც შეცვალეს ტაქტიკა — უკვე პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ვერაფერსაც ვერ მივიღებთ და ფუჭი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, ოღონდ... მაინც არ უნდა შევწყვიტოთ ნატოსა და ევროკავშირისკენ სწრაფვა...

**„ჩვენ არ ვაპირებთ, ფუჭი იმედი მივცეთ ქართველ ხალხს და იმედგაცრუება ვაგემოთ, ამიტომ პირდაპირ ვიტყვით, რომ უახლოეს სამიტზე საქართველო მაპს ვერ მიიღებს, რათა არ ჰქონდეთ ტყუილი მოლოდინი, თუმცა ვაფიქსირებთ საქართველოსადმი სრულ მხარდაჭერას და მოვუწოდებთ საქართველოს, განაგრძოს სწრაფვა ევროპული და ატლანტიკური სტრუქტურებისაკენ“,** — აი, დაახლოებით ეს ტექსტი წარმოთქვა სხვადასხვა მაღალგანვითარებული ქვეყნის რამდენიმე ლიდერმა და მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო სტრუქტურების რამდენიმე წარმომადგენელმა საქართველოს შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზებით შეიძლება ორი დასკვნა გავაკეთოთ: **ან ევროპა და ამერიკა გვეკაიფება, ან ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს სიტყვა „არჩევანი“. მეტიც, მთელი ამ „ბალაგანის“ დალაგებისა და გაანალიზების შედეგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსთვის ევროპა და ჩრდილოატლანტიკა, არჩევანი კი არა, არადანიც აღარ არის!**

ჩვენ უკვე ისე მძიმედ და უაზროდ დავუპირისპირდით რუსეთს, რომ ევროატლანტიკური გზა და საქართველოს შესაძლო გადახრა ევროატლანტიკური სტრუქტურტებისკენ, რუსულ ბოსტანში დადგმულ ყველაზე უნიჭო „საფრთხობელადაც“ აღარ გამოგვადგება.

პირდაპირ ვთქვათ: ჩვენ უკვე დავკარგეთ შანსი იმისა, რომ „რუსეთს ვევაჭროთ“!

ჩვენ ველარ „დავაშინებთ“ რუსებს, რომ, თუკი ჩვენს ამა და ამ კონკრეტულ ინტერსესს არ გაითვალისწინებენ, ნატოს სამხედრო ბაზებისთვის ტერიტორიას შევთავაზებთ, ან რამე ამდაგვარით. **საქართველომ უკვე გადადგა საბედისწერო ნაბიჯი „მეგობარი“ ამერიკელების საამებლად და რუსეთს აღაფერი დაუტოვა დასაკარგი საქართველოსთან ურთიერთობაში.**

რუსეთმა, მიუხედავად იმისა, ოკუპანტს დავუძახებთ მას თუ ბაბაიას, უკვე მიიღო ის, რაც სურდა და, თუ ვინმეს სჯერა, რომ რომელიმე რუს გენერალს 2008 წელს მართლა სურდა თბილისის აღება და **დავით ბაქრაძის** ან **ჯორჯ ბუშისა** შეეშინდა, ეს უკვე ამ „ევროოპტიმისტის“ პრიმიტიული აზროვნების პრობლემაა და არა რეალური ფაქტი.



**ან ევროპა და ამერიკა გვეკაიფება, ან ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს სიტყვა «არჩევანი». მეტიც, მთელი ამ «ბალაგანის» დალაგებისა და გაანალიზების შედეგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსთვის ევროპა და ჩრდილოატლანტიკა, არჩევანი კი არა, არადანიც აღარ არის!**

სამაგიეროდ, არც რეალური ფაქტები გვაძლევს დამშვიდების საშუალებას. მაგალითად, ის, რომ ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი **ბიძინა ივანიშვილი** უსუსურად ცდილობს რუსეთთან ერთ დროს არსებული „საფრთხობელის პოლიტიკა“ ახლა „სამშვიდობო პოლიტიკად“ გარდაქმნას და დაჟინებით უმეორებს ვლადიმერ პუტინს, რომ „ნატოს მიახლოება მის საზღვრებთან სულაც არ არის საშიშროება რუსეთისათვის“.

ეს აბსურდული და სასაცილო სისულელე ქართველმა მილიარდერმა ბეჭდური მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზეც გაიმეორა. ჟურნალისტმა მას პირდაპირ ჰკითხა: **„ბატონო ბიძინა, თქვენ 4 წლის წინათ თქვით, რომ დაარწმუნებდით ვლადიმერ პუტინს იმაში, რომ ნატოს მიახლოება რუსეთის საზღვრებთან სულაც არ წარმოადგენს საშიშროებას ამ ქვეყნისთვის. როგორც ჩანს, ეს ვერ შეძელით. ხომ არ ფიქრობთ, შეცვალოთ საუბრის ტონი რუსეთთან?“**

ბევრს შეიძლება გაუკვირდა, მაგრამ მე, პირადად, და, ალბათ, იმ ადამიანებსაც, რომლებმაც უკვე ვიცით ივანიშვილის ჯიუტ-ამპარტავნული ფსიქოლოგია, სულაც არ გაგვკვირვებია, რომ ივანიშვილმა ჩვეული მძიმე სიჯიუტით გაიმეორა: **„დიახ, ვერ შევძელით, მაგრამ ჩვენ დაჟინებით გავაგრძელებთ ამ პოლიტიკას, ჩვენ გავაგრძელებთ მცდელობებს, რომ რუსეთი დავარწმუნოთ ამაში და დავარწმუნებთ კიდეც“.**

ნეტავ, რატომ სჯერა ივანიშვილს ასე ძალუმად ამ სისულელის?

თუმცა **განა ცოტა სისულელე ვიცით, რომლისაც ივანიშვილს სჯერა და ცდილობს, ხალხიც დააჯეროს?!**

განსხვავება ერთადერთია: **ივანიშვილის ეს სისულელეები დაყოფილია საშინაო და საგარეო სისულელეებად.**

მაგალითად, **საშინაო სისულელეა ის, რომ თურმე ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, მოსახლეობა „რუსთავი 2“-ს უყურებს და მის მიერ გავრცელებული სიცრუის გამო ჰგონიათ, რომ საქმე ცუდად გვაქვს.**

ძალიან **დიდი საშინაო სისულელეა ისიც, რომ თურმე „ოცნების“ მთავრობის მიერ დაწინაურებული ყოფილი ნაცები, რეალურად და სულით კი არ არიან ცუდები, არამედ ისინი „რეჟიმის მსხვერპლნი“ და „სიტუაციის მძევლები“ იყვნენ, ხოლო მათი „გამპრავებელი“ ჟურნალისტები — დაჩაგრული და შეცდომაში შეყვანილი მამა აბრამის ბატკნები, რომლებიც ახლა „ოცნების“ სამინისტროების დეპარტამენტების უფროსობასაც კი იმსახურებენ...**

ასეთ საშინაო სისულელეებს რომ არ იჯერებს ხალხი და „ოცნების“ რეიტინგი რომ კატასტროფულად დაეცა, ივანიშვილი ჩვეული უაზრო სიჯიუტით ხსნის: **„ხალხს არ აქვს სწორი ანალიზის უნარი, ხალხმა უნდა შეძლოს და გააკეთოს სწორი ანალიზი და ყველაფერს სწორად დაინახავს“...**

კარგი, ჯანდაბას, ჩვენი „შინაური გარჩევები“, მაგრამ, აი, საგარეო სისულელეებმა კი მართლა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქვეყანას. უკვე მიაყენა კიდეც.

რა ვქნათ, იმისი მტკიცებაც ხომ არ დავიწყოთ, პუტინს იმიტომ არ სჯერა, რომ რუსეთის საზღვრებთან მიახლოებული ნატო საფრთხეს არ წარმოადგენს მისი ქვეყნისთვის, რომ სწორი ანალიზის უნარი არ აქვს?!

**საქართველოს სამთავრობო დელეგაცია იქნებ მივადგეთ კრემლს და „ბიძინური“ სიჯიუტით დავუწყოთ მტკიცება: გააკეთეთ სწორი ანალიზი, ბატონო ვლადიმერ, და ნუ უყურებთ „რუსთავი 2“-ს, რომელიც ლამის არის ნატოს ყოველ ნაბიჯს აღმოსავლეთ ევროპისკენ „რუსეთის დაქცევად, ჩამოშლად, განადგურების დასაწყისად“ ასაღებს?!**

იქნებ არ აქვს სწორი ანალიზის უნარი კრემლის სამხედრო ანალიტიკოსების საოცრად მოქნილ და ძლიერ ჯგუფს, რომელსაც, შესაძლოა, ზუსტად იმდენჯერ აქვს შესწავლილი, რა წარმოდაგენს რუსეთისთვის პოტენციურ საფრთხეს და რა — არა, რამდენ მილიონ დოლარადაც არის შეფასებული ბიძინა ივანიშვილის ქონება?!

ანუ, რას ვაკეთებთ 2016 წლის არჩევნების შემდეგ? **საქართველოს საგარეო პოლიტიკა იქნება ის, რომ რაღაცნაირად დაარწმუნოს პუტინი სრულ აბსურდში, სისულელესა და წმინდა წყლის ნონსენსში, რომ „ნატოს მიახლოება რუსეთის საზღვრებთან სულაც არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისთვის“?**

**გასაგებია, რომ ბატონ ბიძინას „ქართველი ხალხის გურუდ“ მიაჩნია თავი და „ყველაზე ჭკვიანის“ როლს ირგებს ქვეყნის შიგნით, მაგრამ საგარეო ვექტორებზე ასეთი როლის თამაში ტრაგიკომედიაში არ გადაიზრდება ვითომ?**

ყოველ შემთხვევაში, **ჩვენ, ევროსკეპტიკოსები, კვლავ და კვლავ ვიმეორებთ, რომ ევროპული ინტეგრაცია საქართველოს არჩევანი კი არ არის, მაგ ამბავში „არადანის“ როლშიც კი არავინ გვამყოფებს. და ამას ამტკიცებს განვლილი 30-წლიანი „ევროოპტიმიზმის“ ეპოქა!**

ნამდვილად არ ვიცი კიდევ რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ მავანთ საბოლოოდ დაუცხრეთ უკვე ასე ყბისმოსაქცევ თემად ქცეული ეს **„ევროოპტიმიზმი“...**

მახსენდება, როდესაც ბიჭები უბანში რაიმეს სათამაშოდ ვიყოფოდით, ყველაზე სულელსა და ფიზიკურად მოუქნელს არც არჩევანი ირჩევდა ხოლმე და არც არადანი. საბოლოოდ, ამ საწყალს, რომელიც არავის არაფერში სჭირდებოდა, „მუშტი-სილობას“ შესთავაზებდნენ ხოლმე... ანუ მოილაპარაკებდნენ, რომ ერთი მხარე იყო „მუშტი“, მეორე „სილა“ და ზურგით შებრუნებულ „საწყალს“ მაღლა შემართული შეკრული მუჭიდან და გაშლილი ხელისგულიდან ერთ-ერთი უნდა ჩამოეწია. რომელსაც ჩამოწევდა, იმ გუნდს მიეკუთვნებოდა — უნდოდა თუ არა, მაინც! ხოლო ჯგუფი, როლმელსაც ეს „საწყალი“ ერგო, ყველაფერს აკეთებდა, რათა როგორმე თავიდან მოეშორებინა ეს ზარალის მომტანი, „შემოტენილი“ წევრი...

აი, აქ კი მართლაც გვმართებს სწორი ანალიზის გაკეთება, თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, საქართველო საბოლოოდ და შეუქცევადად აღმოჩნდეს ასეთ მდგომარეობაში.

**დიახ, მარგველაშვილი და ბოკერია დახურულ კარს მიღმა ნარდს თამაშობდნენ „მაზიანზე“. ამას ადასტურებს კამერაში სუსტად შემომავალი ხმები. კერძოდ, ისინი ერთმანეთს „მარგველა“-თი და „ბოკერა“-თი მიმართავენ, დავი-დაუზასე მოსულაო, თანხმდებიან და კამათელს იღებენ.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარგველამ ბოკერასთან ოინი წააგო




**გასულ კვირას საქართველოს პრეზიდენტმა ჩვენს მოსახლეობას დიდი სიურპრიზი მოუწყო — დახურულ კარს მიღმა შეხვდა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ იდეოლოგსა და „ქართველ გებელსად“ წოდებულ გიგა ბოკერიას.**

ექსპერტები თავდაპირველად ვარაუდობდნენ, როგორც ჩანს, გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხალხისთვის მიცემული დანაპირების ასრულება მოინდომა და იმიტომ დაიბარა გიგა ბოკერია „დახურულ კარს მიღმა“, რომ იქ მაგრად ცემოს, წიხლქვეშ გაიგდოს და ნაცებთან კოაბიტაცია დაასრულოსო.

მაგრამ, **როდესაც გიგა ბოკერია პრეზიდენტის სასახლიდან ცოცხალი და საღ-სალამათი გამოვიდა, ექსპერტებიც და ჟურნალისტებიც დაეჭვდნენ — აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს და ეს კაცი, როგორც ჩანს, სულაც არ აპირებს არჩევნების წინ მოცემული დაპირების, კოაბიტაციის დამთავრების, შესრულებასო.**

აი, აქ დაისვა კიდეც ბრძნული კითხვა, რომელიც, გამჭრიახი ქართველი ჟურნალისტებისა და ექსპერტების გარდა, აზრადაც არავის მოუვიდოდა: მაშ, რას აკეთებდნენ პრეზიდენტი და ბოკერია დახურულ კარს მიღმა?

ასეთი კითხვის მოსმენისთანავე ჩვენი ძალიან მაგარი კორესპონდენტი იმწამს დატრიალდა და ყველაფერი იღონა, რათა ამ კითხვისთვის პასუხი გაეცა. რაც მთავარია, მან ჩართო თავისი ანალიტიკური აზროვნება და მიიღო კიდეც შედეგი.

კერძოდ, ჩვენმა ძალიან გონებამახვილმა კორესპონდენტმა ყურადღება მიაქცია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტი მარგველაშვილი რალაცნაირად გულთბილად ალაპარაკდა ვანო მერაბიშვილზე. მარგველაშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა მერაბიშვილის საქმის უფრო კარგად გადახედვა.

**აბა, რას უნდა მოჰყოლოდა ეს, თუ არა იმ საიდუმლოებით მოცულ ამბავს, რომელიც მოხდა მარგველაშვილსა და ბოკერიას შორის დახურულ კარს მიღმა?!**

აი, ამას ჩაუღრმავდა ჩვენი ღრმად ჩაფიქრებული კორესპონდენტი და ბოლოს იმდენი ქნა, რომ იმ ოთახში არსებული სათვალთვალო კამერის ჩანაწერიც კი მოიპოვა, რომელშიც მარგველაშვილი-ბოკერიას შეხვედრა გაიმართა.

**ვიდეოჩანაწერში ნათლად ჩანს ორი სკამი, ერთი პატარა მაგიდა, რომელსაც პრეზიდენტი და ბოკერია უსხედან და, რაც მთავარი და სენსაციურია, მაგიდაზე გაშლილი ნარდი!**

**დიახ, მარგველაშვილი და ბოკერია დახურულ კარს მიღმა ნარდს თამაშობდნენ „მაზიანზე“. ამას ადასტურებს კამერაში სუსტად შემომავალი ხმები. კერძოდ, ისინი ერთმანეთს „მარგველა“-თი და „ბოკერა“-თი მიმართავენ, დავი-დაუზასე მოსულაო, თანხმდებიან და კამათელს იღებენ.**

„თუ მარსი მოგიგე, ორივეს, თუ არადა, მარტო ვანოს!“ — შეახსენა ბოკერამ მარგველას და პირველი შაშ-იაქე გააგორა.

აქ კი დავეჭვდით: ნეტავ, ვინ „ორივეზე“ არის საუბარი ან ვანოს რას უპირებენ? მაგრამ ჩანაწერის გაგრძელებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა...

მოკლედ, სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბოკერამ მარგველას მეორე ქვა მოუკლა და „დავი“-ო ეგზალტირებულმა შესძახა, დახურულ კარს მიღმა ჟურნალისტების ჩოჩქოლი მოისმა და მარგველა იძულებული შეიქნა, კარი ოდნავ, ღრიჭოდ შეეღო. ვიდრე პრეზიდენტი ჟურნალისტებს ამშვიდებდა, — არ ინერვიულოთ, კოაბიტაცია მალე დასრულდებაო, შიგნით გიგა ბოკერია მოუთმენლად ცმუკავდა და მარგველას უხურებდა, — დროზე მოდი, კაცო, გააგორე თუ არადა, მარსია და ორივეზე ხელი მოაწერეო!

აი, სწორედ აქ **ბოკერამ ამოიღო ორი ფურცელი და კამერის ჩანაწერში კადრის მოახლოებით ნათლად გამოჩნდა, რომ ერთი — ვანო მერაბიშვილის, ხოლო მეორე გიგი უგულავას შეწყალების აქტი იყო.**

საბოლოოდ, მინდა, ქართველი ხალხი დავამშვიდო, რომ ჩვენ გმირი პრეზიდენტი გვყავს! იგი არ შეუშინდა გიგა ბოკერიას მუქარას, გულადად ეკვეთა მარსისთვის განწირულ ნარდის პარტიას, მედგრად შემოაბრუნა იგი და მხოლოდ იოინი წააგო!

ასე რომ, **გიხაროდეს, ქართველო ერო! შენი გულადი პრეზიდენტის დამსახურებაა, რომ იგი უახლოეს მომავალში მხოლოდ ვანო მერაბიშვილს შეიწყალებს და სხვას — არავის...**

**მასე აბარავა**

# როდის გამოვა მზე და ვანო?

**გასულ კვირაში სტრასბურგმა ვანო მერაბიშვილი დაჩაგრულად გამოაცხადა და ეს ამბავი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გალესილი დანის გამომეტყველებით ამცნო ერსა და ბერს.**

როგორც უმაღლესი სასამართლო ინსტანციიდან ირკვევა, მერაბიშვილი ციხიდან იმ მომენტში გაიყვანეს, როდესაც ქვეყანაზე ფიქრით გადაღლილს ცოტა ხნით ჩასძინებოდა, თუმცა ხერხემალს ჩათვლემა არ აცალეს და კაცს, რომელიც სიარულისას კრძალვით იყურებოდა ძირს, ემანდ რამეს ფეხი არ დავაბიჯო და უფლებები არ შევულახოო, უდიერად მოეპყრნენ.

ამ ამბავმა მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა. ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ამერიკის ელჩ **იან კელისთვის** სიხარულისგან წნევას აუწევია და მთელი დღე ძმრიან ტაშტში ჩაყოფილი ფეხებით უყურებია „კურიერისთვის“. როგორც სანდო წყარო ამბობს, კაცს ძლივს დავურეგულირეთ წნევა და კიდევ ეს უნდოდაო?!

**ბარაკ ობამას** სიხარულისგან პულტი უსვრია და ახალთახალი პლაზმური ტელევიზორი უნებურად დაუმტვრევია.

**ანგელა მერკელს** ტრადიციული ფალარათი დამართნია. როგორც უკვე იცით, გერმანიის კანცლერი გადაჭარბებული ემოციების დროს მსგავს სიტუაციაში ვარდება და რამდენიმე საათი საპირფარეშოდან ვერ გამოდის.

**გიგა ბოკერია** საჩქაროდ გავარდნილა **მარგველასთან**, — ეს საქმე უნდა გამიხერხო, ეს კაცი გამომაყვანინო და მერე ჩვენ მოგხედავთო.

მარგველას უთქვამს, ჩემო გიგა, იცი, როგორ პატივს გცემ და უარს არაფერზე გეუბნები, მაგრამ ცოტა ხანს მოვიცადოთ და „ვსიო ბუდეტ ხარაშოო“.

ბოკერიაც დაიმედებული წასულა შინ.

გახარებულ **გიორგი კანდელაკს** დაურეკავს კონგრესმენ **რასელისთვის**, ჩვენი ვანო გამართლდაო, და იმას უკითხავს, ეგ ვინლაა ან შენ ვინ ხარო. კანდელაკს უთქვამს, მე ვარ, კაცო, წარბა გიოო, აი ის, მაშინ ტექსტი რომ გამოვატანე შალვასო.

აა, გამახსენდა. ჰო, არის რამე საქმეო? — უკითხავს რასელს. კანდელაკს უპასუხია, კი არის, შალვა წერს ახალ ტექსტს და საღამოს „ფეისბუქში“ ან „სკაიპში“ ჩაგიგდებთო.

**მიხეილ სააკაშვილს** უთქვამს, დაფაცურდით ახლა, ბაჩოსა და გიგიზეც რამე გავახერხოთ, რა უყვართ იმ მოსამართლეებს, გაარკვიეთ და იჩალიჩეთო.

მერაბიშვილის ამბის მოსმენისთანავე **ნიკა გვარამია** „რუსთავი 2“-ის საეთეროში შევარდნილა და გამშვებისთვის ბნედა დაუცია, რა დროს სერიალია, გათიშეთ, ვანოს ათავისუფლებენო, და სასწრაფოდ „კურიერი“ გაუშვიათ ეთერში. ვინაიდან დრო არ ითმენდა და საინფორმაციოს წამყვანებს მშვიდი ძილით ეძინათ, წამყვანად დასვეს **შალვა ნათელაშვილი**, რომელიც, მთელი დღის ტვინის ბურღვით გადაღლილი, იქვე, კუთხეში მიყუჟულიყო.

„ასეთი სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ და, ეთერში კი არა, ამ წუთში დავიხრჩობ თავს კუს ტბაზე, ოღონდ რამეში წაგადგეთო“, — უთქვამს გახარებულ შალვას.

ევროპისა და ამერიკისგან განსხვავებით, არც ისე სახარბიელო მდგომარეობა ყოფილა ჩრდილოეთში.

**ვლადიმერ პუტინს** სწორედ იმ დროს ჩაურთავს „კურიერი“, როცა ვანოს ამბავს გადმოსცემდნენ.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის პირადი მოსამსახურე, ზინა, ჩვენს წყაროსთან საუბარში ამბობს, „ის 1 საათის განმავლობაში გაყინული სახით უყურებდა ტელევიზორს, ბოლოს რაღაც ბოთლი გამოიღო კარადიდან, პირთან მიიტანა, ვიგრძენი, რომ არაყი არ იყო. კიდევ კარგი, დროულად ვეცი და გამოვგლიჯე ბოთლი, რომელშიც მჟავა იყო, და მის დალევას აპირებდა, როგორც ჩანს, მერაბიშვილის ამბავმა შეაშფოთა“.

დიდი ზეიმი ყოფილა **კოღუაშვილებში** — „ქართული ოცნების“ ცნობილ კოლოს ამ ამბის გაგონებაზე ბზუილი ერთიორად გაუძლიერებია.

როგორც სინოპტიკოსთა გაერთიანებამ განაცხადა, ბოლო პერიოდში დამდგარი არამდგრადი ამინდი და ღრუბლიანი ცაც იმის ნიშანია, რომ ბუნება მერაბიშვილის გათავისუფლებამდე გაღიმებას არ აპირებს და მზე მხოლოდ მაშინ გამოანათებს, როცა ვანო თავისუფლების ზღურბლზე გადმოაბიჯებს.

**გიგლა ტიტინა**

**მერაბიშვილის ამბის მოსმენისთანავე ნიკა გვარამია «რუსთავი 2»-ის საეთეროში შევარდნილა და გამშვებისთვის ბნედა დაუცია, — რა დროს სერიალია, გათიშეთ, ვანოს ათავისუფლებენო, და სასწრაფოდ «კურიერი» გაუშვიათ ეთერში. ვინაიდან დრო არ ითმენდა და საინფორმაციოს წამყვანებს მშვიდი ძილით ეძინათ, წამყვანად დასვეს შალვა ნათელაშვილი, რომელიც, მთელი დღის ტვინის ბურღვით გადაღლილი, იქვე, კუთხეში მიყუჟულიყო**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მერაბიშვილი არის ყველაზე დიდი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილთან ერთად და დღეს საუბარი იმაზე, უნდა იჯდეს თუ არა ეს კრიმინალი ციხეში, პროვოკაციული რიტორიკაა; მეტიც, ეს არის საზოგადოების აბუჩად აგდება“.**

# აპირებს თუ არა მარგველაშვილი ვანო მერაბიშვილის შეწყალებას?



## ევროსასამართლო — ობიექტური მართლმსაჯულება თუ «ნაცმოძრაობის» დაქირავებული ლობისტები?

**რამდენიმე დღის წინათ ევროსასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დიდი ვაი-ვიში მოჰყვა. ნაცებს რომ ჰკითხოთ, ამ დასკვნამ „რუხ ოლიგარქს“ დემოკრატიის ნიღაბი ჩამოხსნა და გააშიშვლა, ქოცები კი საპირისპიროს ამტკიცებენ — დასავლეთმა დემოკრატია შეგვიქო და სულ მალე ევროკავშირის კარს შევლეწავთო.**

**...ხალხს ყველაზე მეტად, ალბათ, ის აღიზიანებს, რომ მერაბიშვილის მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები ჯერ კიდევ განხილვის საგანია, რომ ასობით და ათეულათასობით მოქალაქის გამაუბედურებელ კრიმინალზე დღემდე მსჯელობენ — არის თუ არა კანონიერი პატიმარი, ანუ დამნაშავე. თუმცა ნაცებსაც და ქოცებსაც ხალხის აზრი, რბილად რომ ვთქვათ, ცალ ფეხზე ჰკიდიათ, მათთვის გადამწყვეტი მაინც თეთრი სახლიდან მიღებული ფინანსური და პოლიტიკური დივიდენდებია, რადგან გზას წარმატებისა და ძალაუფლებისკენ, როგორც წესი, ეს დივიდენდები ხსნის (და არა საზოგადოების განწყობა).**

**რა წერია რეალურად ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში, არის თუ არა იგი ობიექტური და, საერთოდ, უნდა იყოს თუ არა დღეს საქართველოში საკითხავი მერაბიშვილის პატიმრობის კანონიერება თუ უკანონობა?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ უფლებადამცველებსა და იმ მოქალაქეებს დაუკავშირდა, რომლებიც სააკაშვილ-მერაბიშვილის უმკაცრესმა რეპრესიებმა უშუალოდ დააზარალა.**



### «ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება წერტილი დაუსვას მარგველაშვილის კარიერას»

**ლალი აფციაური, ადვოკატი, უფლებადამცველი:**

— მოკლედ გეტყვით. სტრასბურგის სასამართლოს არ გამოაქვს არც გამამართლებელი და არც ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ამა თუ იმ მსჯავრდებულის პოლიტპატიმრად აღიარებას. სტრასბურგს ერთადერთი, რაც შეუძლია დაადგინოს, არის ამა თუ იმ მუხლის დარღვევის ფაქტი, მორჩა. სხვა რამ მის კომპეტენციაში არ შედის და, რა განცხადებებიც კეთდება ამ გადაწყვეტილებაზე, არის წმინდა წყლის პოლიტიკური დემაგოგია. მოგეხსენებათ, ნაციონალები ამის დოსტატები არიან და, რაც გვესმის, ალბათ, არ უნდა გვიკვირდეს...

**— კონკრეტული მუხლების დარღვევაზე თუ წერია რამე იმ გადაწყვეტილებაში?**

— არაფერი სერიოზული. საუბარია რაღაც უმნიშვნელო დარღვევებზე. **ასეთი დარღვევები სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უამრავი იყო, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, სტრასბურგს ასე სწრაფად მოეხდინოს რეაგირება.** ჩემი აზრით, აქ ისევ ნაციონალების ხელი ურევია, ანუ, როგორც ჩანს, მათ გამოიყენეს ის კავშირები, რომლებიც აქვთ დასავლეთში სხვადასხვა გავლენიან პოლიტიკურ წრესთან და სასამართლოს მიაღებინეს მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება. საზოგადოდ, **სტრასბურგის სასამართლოს ობიექტურობაზე დადებითი წარმოდგენა არასოდეს მქონია იმიტომ, რომ თავის დროზე უამრავი საქმე, რომლებშიც უამრავი დარღვევა იყო, უკან გამოყარეს პანტაპუნტით.**

**— თუ ამხელა გავლენა აქვთ ნაციონალებს სტრასბურგის სასამართლოზე, მომავალში, ალბათ, უფრო მწვავე და მკაფიო გადაწყვეტილებებსაც უნდა ველოდოთ მერაბიშვილის, უგულავას, კეზერაშვილისა და სხვათა საქმეებზე. რას იტყვით?**

— ჩემთვის სტრასბურგი ჭეშმარიტება არ არის და, რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს მერაბიშვილის, უგულავას თუ სხვა რომელიმე ნაციონალის საქმეზე, მას არ დავეთანხმები, როგორც წყალშეუვალ სიმართლეს. მით უფრო, რომ, კიდევ ვიმეორებ, სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ გარემოცვას დღეს ჰყავს სერიოზული მხარდამჭერები ევროპისა თუ ამერიკის საკმაოდ გავლენიან წრეებში.

რაც შეეხება უშუალოდ მერაბიშვილს, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ისმის კულუარული საუბრები, რომ ის პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** თავისი საკონსტიტუციო ვადის ფარგლებში შეიძლება შეიწყალოს. ცხადია, მარგველაშვილს აქვს ამის კანონიერი უფლება და შესაძლებლობა, მაგრამ, თუკი ის მართლა აპირებს ან მომავალში დააპირებს ამ ნაბიჯის გადადგმას, ერთი რამ უნდა იცოდეს: ეს გადაწყვეტილება მის პოლიტიკურ კარიერაში ყოველთვის დარჩება დიდ კითხვის ნიშნად, მეტიც, ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება წერტილი დაუსვას მარგველაშვილის კარიერას...



### «ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრად შერაცხვა და მისი ციხიდან გამოშვება იქნება ბოლო წვეთი და ამას ხალხი არავის აპატიებს»

**ია მეტრეველი, 2004 წლის 23 ნოემბერს დიდუბის პანთეონთან პოლიციის მიერ მოკლული უდანაშაულო მოქალაქის — ბუტა რობაქიძის დედა:**

— დავიწყოთ იმით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთი დიდი სიცრუის მანქანა, რომელიც არ ჩერდება და მუშაობს 24-საათიან რეჟიმში. როგორ მუშაობს და კონკრეტულად რა დეზინფორმაციით წამლავს საზოგადოებას, ცნობილია. ასე რომ, რა თქმა უნდა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზეც ავრცელებენ სიცრუეს. მეტიც, **გადაწყვეტილების ტექსტიც კი არასწორად თარგმნეს და ისე წარმოაჩინეს, თითქოს ევროსასამართლო მერაბიშვილს უკანონო პატიმრად მიიჩნევს.** არადა, მსგავსი რამ იქ არ წერია. მინიშნებაც კი არ არის, რომ მერაბიშვილი უკანონო პატიმარია ან პოლიტიკური ნიშნით დაკავებული. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ამ თემაზე დღეს არ უნდა ვსაუბრობდეთ, **ეს არის საზოგადოების შეურაცხყოფა, რომ კაცზე, რომელიც გაიძახოდა, ორი გვამი მჭირდებაო (და მიიღო კიდეც), დღეს ვიღაცები მსჯელობენ, არის თუ არა კანონიერი პატიმარი.** რა თქმა უნდა, მერაბიშვილი ციხეში უნდა იჯდეს, რა თქმა უნდა, ის არის კრიმინალი. ამას ვერანაირი პროპაგანდითა და დეზინფორმაციით ვერ გადაფარავენ, ამას ვერანაირი დადგენილებითა და გადაწყვეტილებით ვერ დაავიწყებენ საზოგადოებას...

**— თუმცა სასამართლო ხელისუფლებაზე გარკვეულ გავლენას, ალბათ, იქონიებს ევროსასამართლოს პოზიცია. მსგავსი გადაწყვეტილებების შემდეგ ჩვენი მოსამართლეები, შესაძლოა, დასავლეთის ერთგვარი ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ.**

— ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ოცნება, რომ სასამართლო ჰყავდეთ გამოჭერილი და თვითონ უკარნახონ, რომელ საქმეზე რა გადაწყვეტილება მიიღონ. ამაზეა გათვლილი ის ძალისხმევაც, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად წარმოაჩინონ. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრად შერაცხვა და მისი ციხიდან გამოშვება იქნება ბოლო წვეთი და ამას ხალხი არავის აპატიებს. ღმერთმა ნუ ქნას, ხელისუფლებამ ასეთი რამ გონებაში გაივლოს, თორემ მერე ვერანაირი დაპირებებითა და ძალისხმევით ვერ შეაჩერებს საზოგადოებას...

**— პრეზიდენტ მარგველაშვილს აქვს მერაბიშვილის შეწყალების უფლება, მაინც რა შეიძლება მოხდეს, თუ კი პრეზიდენტი ამ კონსტიტუციურ უფლებას გამოიყენებს?**

— პრეზიდენტიც, სახელმწიფოც და კონსტიტუციაც ემსახურება ხალხს და ხალხის კეთილდღეობას. რაც შეეხება შეწყალებას, თუ მარგველაშვილი ამას გააკეთებს, მისთვის იქნება ცუდი. საზოგადოება არ დაუშვებს, რომ კრიმინალი მერაბიშვილი ციხიდან გამოვიდეს და მით უფრო პოლიტპატიმრად გამოცხადდეს. ამის ნებისმიერი მცდელობა იქნება პრეზიდენტის პოლიტიკური აღსასრული და, თუკი მას საღი აზროვნების უნარი აქვს, ამას უნდა ხვდებოდეს.

აქვე მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო **გიგა ბოკერიას** სტუმრობას ავლაბრის რეზიდენციაში. ჩემი აზრით, მარგველაშვილის იმიჯისთვის ესეც ერთ-ერთი სერიოზული ლაქაა და მომავალში მას ძალიან გაუჭირდება საზოგადოებისთვის იმის ახსნა, რატომ აქვს ასეთი ახლო ურთიერთობის სურვილი დანაშაულებრივი პარტიის ხელმძღვანელებთან. არ ვიცი, რატომ რისკავს, მაგრამ, თუ ჰგონია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ რაიმე პერსპექტივა აქვს და სამომავლოდ საქმეს იწყობს, დიდ შეცდომას უშვებს. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, მკვდარია და მას ვერავინ და ვერაფერი გააცოცხლებს. ასევე მოკვდება პოლიტიკურად ყველა ის სუბიექტი, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს დადგებიან და მის ინტერესებს გაიზიარებენ.



### «რომელმა ევროპელმა მოსამართლემ იცის ქართველ ხალხზე უკეთ, რა უბედურებები დაატრიალა მერაბიშვილმა თავის მბრძანებელ სააკაშვილთან ერთად?!»

**ჯამბულ გამცემლიძე, 2008 წლის 8 მაისს თბილისში საპატრულო პოლიციის მიერ მოკლული უდანაშაულო მოქალაქის — გიორგი გამცემლიძის მამა:**

— მერაბიშვილი არის ყველაზე დიდი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილთან ერთად და დღეს საუბარი იმაზე, უნდა იჯდეს თუ არა ეს კრიმინალი ციხეში, პროვოკაციული რიტორიკაა. მეტიც, ეს არის საზოგადოების აბუჩად აგდება და, ალბათ, ამით ცდილობენ ხალხის გაღიზიანებას. სხვა ახსნას ვერ ვხედავ, როგორ შეიძლება დღეს იმაზე მსჯელობა და შეკითხვების დასმა, არის თუ არა მერაბიშვილი დამნაშავე, ის არის ერის წინაშე დამნაშავე, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მოღალატე, დამაქცევარი.

**— ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?**

— არ მაინტერესებს ეს გადაწყვეტილება, რა უნდა გადამიწყვიტოს ევროპამ ან ამერიკამ და, ვინც გინდა, სხვამ! ან **რომელმა ევროპელმა მოსამართლემ იცის ქართველ ხალხზე უკეთ, რა ხდებოდა აქ ცხრა წლის განმავლობაში და რა უბედურებები დაატრიალა მერაბიშვილმა თავის მბრძანებელ სააკაშვილთან ერთად?!**

**— რა მოხდება, თუ პრეზიდენტი შეიწყალებს მერაბიშვილს? კულუარებში ამაზე ბევრს საუბრობენ.**

— ეს იქნება გაცილებით უფრო დიდი და მძიმე დანაშაული ხალხის წინაშე, ვიდრე ნაციონალების მიერ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი ყველა უკანონობა ერთად აღებული. სიმართლე გითხრათ, ამის წარმოდგენაც არ მინდა, **არ ვიცი, რა დამემართება, ჩემი შვილის მკვლელი რომ გამოუშვან.**

რაც შეეხება მარგველაშვილს, დიდი რეიტინგითა და საზოგადოების კეთილგანწყობით ისედაც არ გამოირჩევა და, თუ მერაბიშვილს შეიწყალებს, ჩათვალეთ, ისეთივე პოლიტიკური გვამი გახდება, როგორიც სააკაშვილია, თუმცა სააკაშვილს ამერიკაში მაინც ჰყავს მფარველები და, ბოლოს და ბოლოს, იქ გაიქცევა, ამას რა ეშველება, არ ვიცი...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ქაღალდს არ შეშრობოდა, რომ მარგველაშვილის პრესსპიკერი გამოხტა და რიხით განაცხადა, პრეზიდენტი მიიჩნევს, მერაბიშვილის მიმართ რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენებმა პასუხი უნდა აგონო. ამის შემდეგ პლასტელინა პრეზიდენტმა სულით ნაცი (და თანაც — მამალი) ვანო მაჭავარიანი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ გაამწესა... მოკლედ, ხე ნაყოფით იცნობაო, ნათქვამია. რაც დრო გადის, სულ უფრო აშკარაა, ვისი „გორისაც“ ხართ, ბატონო პრეზიდენტო...**

**ექსპერტებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სარაკეტო სისტემა „იარსზე", რადგან ამ სისტემის თითოეული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა აღჭურვილია თერმობირთვული მუხტის შემცველი ინდივიდუალური დამიზნების რამდენიმე ბლოკით.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელებმა რუსეთის არმიის 11 ყველაზე მრისხანე იარაღი დაასახელეს

## ჩამონათვალში მოხვდა სამხედრო-საზღვაო ხომალდები და თვითმფრინავები, ტანკები, ვერტმფრენები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, აგრეთვე, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები

**ამერიკულმა ინტერნეტპორტალმა Business Insider-მა რუსეთის ფედერაციის არმიის „ყველაზე მრისხანე სამხედრო მანქანების" სია შეადგინა. გამოცემა წერს, რომ სწორედ ამ სიაში ჩამოთვლილი იარაღები იწვევს ყველაზე დიდ შეშფოთებას დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროში.**

„2012 წლის შემდეგ, — წერს Business Insider-ი, — რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, შედეგად არმია დაიყო „უფრო კომპაქტურ" და „უფრო დინამიკურ" ბრიგადებად".

ამერიკული ინტერნეტპორტალის მიერ შედგენილ სიაში მოხვდა სამხედრო-საზღვაო ხომალდები და თვითმფრინავები, ტანკები, ვერტმფრენები, აგრეთვე, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები.

* სიაში პირველია საჰაერო ბალიშებიანი მცირე ხომალდი **„ბორა",** რომლითაც შეიარაღებულია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყირიმის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარაკეტო კატერების 41-ე ბრიგადა. ეს მცირე სამხედრო-საზღვაო საშუალება აღჭურვილია 8 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „მოსკიტითა" და 20 საზენიტო რაკეტა „ოსა-ემ"-ით.

*** საზენიტო სარაკეტო სისტემა „პანცირ- C1"-ს** ამერიკელები პირველად არ აღნიშნავენ. „პანცირ-C1" აღჭურვილია „მიწა-ჰაერის" კლასის 12 მართული რაკეტით, აგრეთვე, 30 მმ კალიბრის 2 ავტომატური ქვემეხით.

* ინტერნეტპორტალის მიერ შედგენილ ჩამონათვალში მოხვდა სტელს-ტექნოლოგიებით დამზადებული წყალქვეშა ნავი **„ნოვოროსიისკი",** რომელსაც თავისი უხმაურო დიზელ-ელექტრული ძალოვანი დანადგარის გამო „უჩინარი" შეარქვეს.

* ამერიკელებმა სიაში შეიყვანეს **„ბორეის"** კლასის სუბმარინა, რომელიც აღჭურვილია ბალისტიკური რაკეტებით — „ბულავა".

* სიაში მეხუთეა მსოფლიოში ყველაზე დიდი ბომბდამშენი **„TY-160",** რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში დააპროექტეს სსრკ-ში.

* მრავალმიზნიანი მძიმე ბომბდამშენი „მიგ-35" მხოლოდ ახლა გადის ტესტირებას, მაგრამ ამერიკელმა ექსპერტებმა ეს საჰაერო აპარატიც შეიყვანეს სიაში და აღნიშნეს მისი მაღალი ეფექტიანობა საჰაერო ბრძოლებში და დიდი სიზუსტის დარტყმების განხორციელებისას.

*Business Insider-ის ექსპერტებმა სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სარაკეტო სისტემა **„იარსზე",** რადგან ამ სისტემის თითოეული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა აღჭურვილია თერმობირთვული მუხტის შემცველი ინდივიდუალური დამიზნების რამდენიმე ბლოკით.

* ამერიკელთა ქება დაიმსახურა ტანკმა **„T-90"**-მა, რომელიც აღჭურვილია გლუვლულიანი ქვემეხითა და დისტანციური დამიზნების საზენიტო ტყვიამფრქვევით.

* სიაში, აგრეთვე, მოხვდა ვერტმფრენი **„მი-28",** რომელსაც „ღამის მონადირე" შეარქვეს.

* ამერიკელი ექსპერტების სიაში შემდეგია რუსული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საზენიტო-სარაკეტო სისტემები — **„C-300"** და **„C-400".**

* ექსპერტების თვალთახედვის არეში მოხვდა, აგრეთვე, რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **„ბუკ-ემ"**-ი.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" უკვე წერდა ამერიკელი ექსპერტების მიერ ჩამოთვლილ ბევრ იარაღზე, ახლა კი მკითხველის ყურადღებას სამხედრო-საზღვაო ხომალდ „ბორასა" და პერსპექტიული თვითმფრინავის — „მიგ-35"-ის ტექნიკურ მახასიათებლებზე შევაჩერებთ.





### «ბორას» ტექნიკური მახასიათებლები:

ეს არის საჰაერო ბალიშებიანი მცირე სარაკეტო ხომალდი, რომელშიც გამოყენებულია ჰიდროდინამიკური პლატფორმა — აეროსტატისტიკურ საჰაერო დატვირთვის მქონე კატამარანი. ექსპლუატაციაშია 1997 წლიდან.

* **ეკიპაჟი** — 68 კაცი
* **წყალწყვა** — 1050 ტ
* **სიგრძე** — 65,5 მ
* **სიგანე** — 17,2 მ
* **ძრავა** — 2 აირტურბინული 36 ათასი ცხ. ძ სიმძლავრით და 2 დიზელის — 20 ათასი ცხ.ძ. სიმძლავრით
* **სიჩქარე** — 55 კვანძი (101,9 კმ/სთ)
* **ცურვის სიშორე** — დაახლოებით 1500 კმ (45 კვანძი), ეკონომიური სვლით (12 კვანძი) — დაახლოებით 4500 კმ
* **შეიარაღება:**

საარტილერიო დანადგარები: AK-176 და AK-630 (6-ლულიანი) ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები მოწყობილობა „მოსკიტი" (8 რაკეტით) და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ოსა-ემ" (20 რაკეტით).

### «მიგ-35»-ის ტექნიკური მახასიათებლები:

ეს არის მეხუთე თაობის მრავალფუნქციური ავიაგამანადგურებელი, რომლის 30 ეგზემპლარს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 2018 წელს მიიღებს. ამჟამად მიმდინარეობს ტესტირება და 2016 წლის ბოლომდე დაიწყება პირველი „მიგ-35"-ის ექსპლუატაცია.

* **სიგრძე** — 17,30 მ
* **ფრთების განშლა** — 12 მ
* **მასა** — 11 ათასი კმ (ცარიელი) საბრძოლო მასალებითა და საწვავით — 23500 კგ
* **მაქსიმალური სიჩქარე** — 2400 კმ/სთ
* **ფასი** — დაახლოებით 45 მლნ დოლარი
* **მოქმედების რადიუსი** — 1000 კმ
* **ფრენის მაქსიმალური სიმაღლე** — 17500 მ

* **შეიარაღება:**

30 მმ-იანი ქვემეხი; „ჰაერი-ჰაერის" კლასის რაკეტები, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, საავიაციო ჭურვები და ბომბები.

**მრავალმიზნიანი მძიმე ბომბდამშენი «მიგ-35» მხოლოდ ახლა გადის ტესტირებას, მაგრამ ამერიკელმა ექსპერტებმა ეს საჰაერო აპარატიც შეიყვანეს სიაში და აღნიშნეს მისი მაღალი ეფექტიანობა საჰაერო ბრძოლებსა და დიდი სიზუსტის დარტყმების განხორციელებისას**

### «ლეგენდარული იარაღი»

# «სტალინის ორგანი»

რეაქტიული არტილერიის საბჭოთა დანადგარს — „კატიუშას" (БМ-13), რომელმაც დიდ სამამულო ომში გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა, რეაქტიული ჭურვების გასროლისას მისთვის დამახასიათებელი ბგერების გამო, მესამე რაიხის ჯარისკაცები „სტალინის ორგანს" ეძახდნენ.

„კატიუშას" პირველი ეგზემპლარი 1941 წლის 27 ივნისს დაამზადეს. გამოყენებული იყო დიდ სამამულო და ავღანეთის ომებში. ფართოდ იყენებდნენ ჩინელებიც კორეის ომის პერიოდში, ექსპლუატაციიდან კი 1980 წელს მოიხსნა.

**ეკიპაჟი (გათვლა) — 5-7 კაცი. „კატიუშას" გასროლილი ჭურვები 8,4 კმ-ის მანძილზე აღწევდა მიზანს.**





მოამზადა ნიკა კორინთელმა

## ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბირმინჰემის სკოლა ალენს კროფტი პირველი დაწყებითი სკოლაა, რომელმაც განაცხადა გენდერულად ნეიტრალური ფორმის ტარების დაწესების შესახებ. ახალი წესის მიხედვით, ბიჭებს შეუძლიათ ჩაიცვან ნაცრისფერი ან შავი ქვედა კაბა ან სარაფანი, გოგონებს კი — ასეთივე ფერების შარვალი.

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ორი ბიჭის «ქორწილი», როგორც სწავლების ნაწილი

**ბელგიის ქალაქ გენტის დაწყებით სკოლაში, ტოლერანტობასა და ლგბტ-კულტურასთან მოსწავლეების ზიარების მიზნით, ორი ბიჭის იმპროვიზებული „ქორწინება“ გაიმართა. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და მშობლები.**



ერთ-ერთი ბავშვის, ოტოს, დედისთვის ეს „საინტერესო გამოცდილება“ იყო. მისი თქმით, „ამ ამბავს ბავშვები გაიხსენებენ, როცა გაიზრდებიან, და გადაწყვეტენ დაქორწინებას, როგორც მამაკაცი ან ქალი“. ბავშვების მასწავლებელმა კი განაცხადა, რომ „ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ფიქტიურ კავშირს საერთო არაფერი აქვს ჰომოსექსუალიზმთან. ბიჭები, უბრალოდ, სწავლობენ საზოგადოების სოციალურ წყობას“.

ოთხი ქალაქი: სოდომი, გომორა, ადმა და სევოიმი ციდან წამოსული ცეცხლით განადგურდა. ბიბლიის მიხედვით, ღმერთის მრისხანება ამ ქალაქების მცხოვრებთა საზიზღარმა უზნეობამ გამოიწვია.







## ამერიკელი მოსწავლეები სატანიზმის საფუძვლებს გაეცნობიან

**ფლორიდის შტატის ორინჯის ოლქის სასწავლო დაწესებულებებში ნება დართეს, გაავრცელონ ყველანაირი რელიგიური მასალა — ბიბლიით დაწყებული, ათეისტური ლიტერატურით დასრულებული.**

სატანის ტაძრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, რადგან სხვა ეკლესიებს სასწავლო დაწესებულებებში პროპაგანდისტული მასალების შეტანის ნება დართეს, თვითონაც ანალოგიურად მოიქცევიან და სკოლებში სატანისტურ ბროშურებს დაარიგებენ.

ბავშვებისთვის განკუთვნილი გასაფერადებელი წიგნის მთავარი პერსონაჟები არიან ანაბელი და დემიანი, რომლებიც მკითხველს სატანური სექტის რიტუალებზე უყვებიან. ასეთი ბროშურის სკოლებში შეტანა შესაძლებელი შეიქნა 2016 წლის თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც ფლორიდის შტატის მოსამართლემ ყველა რელიგიის მიმდევრებსა და ათეისტებს სასკოლო დაწესებულებებში ლიტერატურის გავრცელების ნება დართო.







## ბრიტანეთის 80 სკოლაში ბიჭებს კაბის ჩაცმის უფლება მისცეს

**ბრიტანეთის დაახლოებით 80 სკოლაში (მათ შორის 40 დაწყებითში) მოსწავლეებს ნება დართეს, თუკი ამის სურვილი ექნებათ, ატარონ ე.წ. გენდერულად ნეიტრალური ფორმა: ბიჭებმა — ქვედა კაბა, გოგონებმა — შარვალი, — იუწყება გამოცემა Sunday Times-ი.**

ეს სიახლე არის ნაწილი მთავრობის მიერ დაფინანსებული კამპანიისა, რომელიც არ ხმაურდება და რომლის მიზანიც არის იმ ბავშვებისადმი ყურადღების მიპყრობა, რომლებიც დარწმუნებულნი არ არიან, რომელ გენდერულ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამია, რომ ბირმინჰემის სკოლა **ალენს კროფტი** პირველი დაწყებითი სკოლაა, რომელმაც განაცხადა გენდერულად ნეიტრალური ფორმის ტარების დაწესების შესახებ. ახალი წესის მიხედვით, ბიჭებს შეუძლიათ ჩაიცვან ნაცრისფერი ან შავი ქვედა კაბა ან სარაფანი, გოგონებს კი ასეთივე ფერების შარვალი.





## მილიონი დოლარი პირდაპირ ეთერში სექსისთვის

**აშშ-ში დაიწყო ახალი სატელევიზიო პროექტი, რომლის მონაწილეებსაც შეასწავლიან, როგორ უნდა შეასრულონ როლები პორნოფილმებში.** შოუს პირობების მიხედვით, გამარჯვებული პირდაპირ ეთერში სექსისთვის მიიღებს 1 მლნ დოლარს. ამ პრიზზე პრეტენზიას აცხადებს 8 ახალგაზრდა მამაკაცი და 8 ქალი, მათგან აქამდე არც ერთი არ მონაწილეობდა პორნოფილმის გადაღებაში. ამერიკული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შოუს მონაწილეებს პორნოფილმში როლის შესრულების ოსტატობას პროფესიონალი მეურვეები შეასწავლიან.

**„საფრანგეთში არავინ იტყვის, რომ პედოფილი მღვდლების კრიტიკა კათოლიკური ეკლესიისთვის დალის დასმაა. გვქეჯნის სინდისი დასავლეთის „ცივილიზაციური მისიის“ წარსულის გამო, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს, იმავე საზომით მივუდგეთ ყოფილი კოლონიებიდან გამოსულებს. ცდილობენ, ჩვენთან არ ილაპარაკონ „ისლამისტ ტერორისტებზე“, თითქოს ისლამს არავითარი კავშირი არ აქვს ამ ექსტრემისტებთან. ოფიციანტ ქალზე თავდასხმას განიხილავენ, როგორც „ცალკეულ შემთხვევას“, რადგან თავს არიდებენ ზედმეტ განზოგადებას. მოკლედ, ეშინიათ.“**

ო, დრონი, ო, ზნეობანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ იპყრობენ ისლამისტები ევროპას

**ფრანგულ „ფიგაროვოქსში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომლის თარგმანსაც დღეს გთავაზობთ, ლაპარაკია ევროსაზოგადოებისთვის მაჰმადიანური წესების თავზე მოხვევის ტენდენციის გაძლიერებაზე. ჟერალდინა სმიტი ავტორია წიგნისა „ჟან-პიერ ტემბოს ქუჩა“, რომელშიც იგი მოგვითხრობს, თუ როგორ იკიდებს ფეხს ფრანგული ქალაქის ერთ კვარტალში ისლამის რელიგიური კანონები.**




**— ნიცაში ოფიციანტ ქალს სილა გააწნეს იმის გამო, რომ რამადანის დროს ალკოჰოლურ სასმელებს სთავაზობდა კაფეში მისულ კლიენტებს. ეს იყო ისლამური ცხოვრების წესის დანერგვის მცდელობის ერთი კერძო შემთხვევა, გამონაკლისი თუ ტენდენციის ნიშანი?**

— ჟან-პიერ ტემბოს ქუჩის მაგალითზე შევეცადე, გადმომეცა რადიკალი მუსლიმების მზარდი გავლენა ფრანგების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. **ისლამის მიერ დადგენილი ნორმები ყოველდღიურად სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ერთი შეხედვით, მკვეთრი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ატმოსფერო სრულად შეიცვალა. ქალებს ალმაცერად დაუწყეს ცქერა „უხამსი“ ტანსაცმლის გამო, მაგალითად, მკლავგაშიშვლებულები თუ გამოდიან ქუჩაში. ახალგაზრდობას დაუსრულებლად მოუწოდებენ, იაროს მეჩეთში, შევიდეს მუსლიმურ ჯგუფებში, განივრცოს რწმენა. ერთ მშვენიერ დღეს ფუნთუშების გამყიდველმა ჯერ კაცებისთვის დაიწყო საქონლის გაყიდვა, შემდეგ — ქალებისთვის...**

**— ამით მამაკაცის ქალზე უფროსობას გაუსვა ხაზი?..**

— წესად დაიდგინა ის, რასაც ისლამი ქადაგებს. ეს ერთი მაგალითი. შემდეგ: გააუქმეს სასკოლო ექსკურსიები, რადგან მუსლიმი მშობლების უმრავლესობას არ სურდა, რომ მათ გოგონებს ბიჭებთან ერთად ემგზავრათ. ასეთმა ცვლილებებმა ყველაზე უფრო დააზარალა რაიონის ხელმოკლე მოსახლეობა, რომელსაც არ ჰქონდა იმის სახსარი, შვილებთან ერთად გამგზავრებულიყვნენ შვებულების დღეებში... უწინ ეს რაიონი უბრალო, მაგრამ კეთილგანწყობილი ხალხით იყო სავსე, ნებისმიერი რწმენის ადამიანები ერთმანეთთან გადაულახავი წინაღობების გარეშე ურთიერთობდნენ. მაგრამ ეს რაიონი თანდათან გადაიქცა ერთადერთი ჯგუფის ბურჯად, რომელმაც საყოველთაო აუცილებლობად დაადგინა დაუწერელი, სამაგიეროდ რეალურად არსებული ფუნდამენტალისტური კანონი.

**— რამადანი განსაკუთრებული პერიოდია?**

— არ ვიცი, ამჟამად რას წარმოადგენს, მაგრამ, როცა ჟან-პიერ ტემბოს ქუჩაზე ვცხოვრობდი, მაშინ მომწონდა. კურონის მეტროსთან, ტროტუარზე, ჩვეულებრივად ასკეტი მუსლიმების მაღაზიების წინ იდგა სტელაჟები, რომლებიც სავსე იყო ნამცხვრებით, ხილით... დღის ბოლოს აქ იკრიბებოდნენ ადამიანები, რომლებიც ყიდულობდნენ საკვებს, რათა გვიან ღამემდე ეზეიმათ. იგრძნობოდა რაღაც აღგზნება, დაძაბულობა, რომელიც ფიზიკური გაჭირვების გამოცდით იყო გამოწვეული, მაგრამ, ამასთანავე — სიამაყეც იმის გამო, რომ ადამიანმა გაუძლო გარკვეულ სირთულეებს და უფრო დამკვიდრდა მუსლიმი თემის რიგებში. ამაში ვხედავდი ზომიერი ისლამის სახეს, რომელიც ცდილობდა თვითდამკვიდრებას და არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა სხვისთვის რაიმეს აკრძალვის.

მოგვიანებით, როცა წიგნის წერას შევუდექი, შევიტყვე, რომ სწორედ ამ პერიოდში ყველაზე უფრო თავგადაკლული აქტივისტები ცდილობდნენ, თავიანთი თემის წევრებისთვის თავს მოეხვიათ მაქსიმალისტური მოთხოვნების ერთგულება.

**— ნიცაში მომხდარი ინციდენტის მსგავსი შემთხვევები გვაბნევს — თითქოს არ გვსურს, დავიჯეროთ, რომ ხდება რაღაც ანტისაზოგადოებრივი. რა არის მიზეზი ასეთი შეგნებული სიბეცის?**

— დაბნეულობა ჩნდება მაშინ, როცა სინამდვილე კარიკატურას ემსგავსება. ჩემი წიგნის პირველ ვარიანტში გადმოცემული მქონდა ერთი სკაბრეზული ისტორია, რომლის ამოღება გადავწყვიტე მხოლოდ იმიტომ, რომ დამეცვა ქალი, რომელმაც ეს ამბავი მომითხრო.

**იმამმა ფუნდამენტალისტმა, ოჯახის მამამ, ლეოპარდის საცვალი აჩუქა თავისი შვილის მასწავლებელ ქალს. ამ ისტორიამ ნათლად დამანახვა, თუ როგორი თვალთმაქცობა შეიძლება იმალებოდეს სათნოების ნიღაბს მიღმა. მაშინ თავი შევიკავე ამ ამბის გასაჯაროებისგან, მაგრამ, ეტყობა, ასეთი სინდისიერების გამოჩენამ ჩემ შემთხვევაშიც და საერთოდაც ცუდი სამსახური გაგვიწია ყველას. საფრანგეთში არავინ იტყვის, რომ პედოფილი მღვდლების კრიტიკა კათოლიკური ეკლესიისთვის დალის დასმაა. გვქეჯნის სინდისი დასავლეთის „ცივილიზაციური მისიის“ წარსულის გამო, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს, იმავე საზომით მივუდგეთ ყოფილი კოლონიებიდან გამოსულებს. ცდილობენ, ჩვენთან არ ილაპარაკონ „ისლამისტ ტერორისტებზე“, თითქოს ისლამს არავითარი კავშირი არ აქვს ამ ექსტრემისტებთან.** ოფიციანტ ქალზე თავდასხმას განიხილავენ, როგორც „ცალკეულ შემთხვევას“, რადგან თავს არიდებენ ზედმეტ განზოგადებას. მოკლედ, ეშინიათ. შიში საფუძვლიანია, მაგრამ შეიძლება კი ამ შემთხვევაში თვითცენზურის დაწესება?! რას ვუპასუხებდით, მაგალითად, იმ კაცს, რომელიც ამბობდა, რომ კოლონიალიზმი მხოლოდ ცალკეული ადამიანების ბრალი იყო?

**— რა როლს თამაშობს ამ სიტუაციაში 1980-იან წლებში დაწყებული ანტირასისტული მიმდინარეობა?**

— უშუალო და აქტიურ როლს: იცავს თავის „მეგობარ“ არაბებსა და შავკანიანებს, მხარს უჭერს ისტორიულად დაჩაგრულ იმიგრანტებსა და მუსლიმებს, რომლებსაც პატივი უნდა ვცეთ. მათთან ნებისმიერი დაპირისპირება რასიზმად არის მიმართული. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1989 წელს აიათოლა ხომეინიმ საჯაროდ დაწყევლა მწერალი



**სალმან რუშდი** და მისთვის სიცოცხლის მოსწრაფებისკენ მოგვიწოდა, პოზიცია ორად გაიყო. ისლამის შეურაცხყოფით რუშმი ცხოვრება თვითონ გაირთულაო, მაგრამ „შარლი ებდოზე“ ტერორისტული თავდასხმის შემდეგ ამ პოზიციის დაცვა პარიზში გართულდა. და მაინც შეიმჩნევა სხვათა გამამართლებელი და საკუთარი თავის დამადანაშაულებელი ტენდენცია.

**— ჩვენ შემთხვევაში თავს დაესხნენ ქალს. ხომ არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ფემინიზმს ეშინია, ღიად შეეხოს ისლამისა და ქალის პრობლემას?**

— ფემინისტებს ერთიანი პოზიცია არ აქვთ. ეს ჩანს თუნდაც ჰიჯაბისადმი დამოკიდებულებაში. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ აკრძალვა ნიშნავს კულტურული „მოდელის“ თავსმოხვევას და თავისუფალი არჩევის შეზღუდვას მათთვის, ვინც რელიგიური რწმენის ერთგულების ნიშნად ატარებს ჰიჯაბს. სხვები კი მიიჩნევენ, რომ, თუ მას (ჰიჯაბს) არ აკრძალავენ, ეს შეიძლება იყოს იმის დემონსტრაცია, რომ ქალები ბრმად ემორჩილებიან მამაკაცთა ნებას. პირადად მე მაღიზიანებს ჰიჯაბიანი ან ჩადრიანი ქალების დანახვა. ამასთანავე, მიჩნდება შეკითხვა, უმჯობესი ხომ არ იქნება, თავი დავანებოთ აკრძალვას და წამებულის გვირგვინით მათ შემკობას? მით უფრო, რომ სასურველი შედეგის საყოველთაოდ მიღება შეუძლებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ყველას შეუძლია ჩაიცვას ისე, როგორც სურს, მაგრამ არავითარი „უფლება კულტურული განსხვავებულობისა“ არ ნიშნავს, რომ გოგონებს ავუკრძალოთ ფიზკულტურის გაკვეთილებზე დასწრება და სასკოლო ექსკურსიებში მონაწილეობა, შემდეგ კი — იძულებით გავათხოვოთ.**

**— ოფიციანტი ქალი მუსლიმია? ეს ნიშნავს, რომ მუსლიმები თავად არიან ფანატიკოსების პირველი მსხვერპლნი?**

— ერთი რომელიმე კრიტერიუმით იმის განსაზღვრა, ვინ ზარალდება ყველაზე მეტად ისლამისტების შემოტევისგან, ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ მუსლიმები მათი სასურველი მიზანია. წიგნში მე ვყვები ჩემი შვილის ერთ-ერთი თანაკლასელის, ტუნისელი დედის ამბავს. **დედამ შვილი კათოლიკურ სკოლაში გაამწესა, რათა ცუდი გარემოცვისგან დაეცვა და ბიჭსაც უკეთესი განათლება მიეღო. ასეც მოხდა, მაგრამ ფუნდამენტალისტი იმამი შინ ეწვია და განუცხადა, რომ წინააღმდეგია, მისმა შვილმა კათოლიკურ სკოლაში იაროს. ქალი იძულებული შეიქნა, ბავშვი სკოლიდან გამოეყვანა, რითაც მისი მომავალი სათუო გახადა.**

ასეთი და ამაზე უარესი მაგალითები საკმარისზე მეტია. ყველაფერმა ამან შემაძულა ჩემი რაიონი.

**— ამჟამად თქვენ აშშ-ში ცხოვრობთ. როგორ აღიქვამენ ამერიკელები ისლამისადმი დაძაბულ დამოკიდებულებას საფრანგეთში?**

— ერთიანი პოზიცია არ არის, მაგრამ სქემატურად შეიძლება ვთქვათ, რომ ამერიკაში ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისია ჩამოყალიბებული.

პირველი — უმეტესად **უბრალო ადამიანები 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ისლამში კარგს ვერაფერს ხედავენ და პრაქტიკულად არ ინტერესდებიან მუსლიმთა ბედით საფრანგეთში. მათთვის ნებისმიერი მაჰმადიანი პოტენციური ტერორისტია...**

მეორენი — უმთავრესად ამერიკული ელიტის წარმომადგენლები დიდი ეჭვით უყურებენ საფრანგეთის ტრადიციაში არსებულ ნორმატიულ უნივერსალიზმს. **მუსლიმები საფრანგეთში კოლექტიური ცრურწმენის მსხვერპლად წარმოდგებიან. აქედან ჩნდება ნოტაციების კითხვისა და გაკვეთილების ჩატარებისადმი მიდრეკილება, მაგრამ აშშ-ში მუსლიმთა რაოდენობა 3 მილიონს არ აჭარბებს, ანუ მოსახლეობის ერთი პროცენტია.** 1920-იანი წლების თავისებური ინვერსია ყალიბდება, როცა მთელ საფრანგეთში 5000-მდე შავკანიანი ცხოვრობდა, პარიზში კი „ნეგროფილია“ იყო მოდური. მაშინ საფრანგეთის ელიტა ყოველმხრივ აკრიტიკებდა „ამერიკულ რასიზმს“.

«ისლამის მიერ დადგენილი ნორმები ყოველდღიურად სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ერთი შეხედვით, მკვეთრი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ატმოსფერო სრულად შეიცვალა. ქალებს ალმაცერად დაუწყეს ცქერა «უხამსი» ტანსაცმლის გამო, მაგალითად, მკლავგაშიშვლებულები თუ გამოდიან ქუჩაში. ახალგაზრდობას დაუსრულებლად მოუწოდებენ, იაროს მეჩეთში, შევიდეს მუსლიმურ ჯგუფებში, განივრცოს რწმენა. ერთ მშვენიერ დღეს ფუნთუშების გამყიდველმა ჯერ კაცებისთვის დაიწყო საქონლის გაყიდვა, შემდეგ — ქალებისთვის»...

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ბევრი უსიამოვნება გადავიტანე, სამუშაოს არ მაძლევდნენ და, ოჯახი რომ გადამერჩინა, იძულებული შევიქენი, გამეყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ ჩემი მეგობრების, რომლებთანაც ვმუშაობდი 1925-30-იან წლებში, დროული გაფრთხილების წყალობით შევძელი ირკუტსკიდან მოსკოვში გაქცევა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასე გადავურჩი დაპატიმრებას. იმხანად ბევრი გაურბოდა ჩემთან ურთიერთობას, დანახვისას სწრაფად გადადიოდნენ ქუჩის მეორე მხარეს".

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «სიმართლისთვის მზად ვარ, დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22 (251)

### ნაწილი II

**სტალინისა და მარშალ გოლოვანოვის ურთიერთობაში, რომელიც მარშალს აღწერილი აქვს ბიბლიურ იშვიათობად ქცეულ წიგნში, სარკის ანარეკლივით ჩანს სტალინის ბუნება, ხასიათი და თვისებები დანახული და აღწერილია ზუსტად, ყოლველგვარი შელამაზებისა და დამახინჯების გარეშე.**

საგაზეთო ფორმატი არ იძლევა საშუალებას, მთლიანად გადმოგცეთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი, მაგრამ მოკლედ მოგითხრობთ შეხვედრებზე, რომლებზეც წყდებოდა ქვეყნის, ხალხისა და ომის ბედი. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ მარშალი გოლოვანოვი სულ სტალინის კაბინეტში იჯდა და იქიდან მართავდა თავის საავიაციო შენაერთებს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო, მაგრამ, როდესაც მათი შეხვედრების მომენტებს ერთმანეთის მიყოლებით გადმოგცემთ, შეიძლება მკითხველი შეცდეს, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს. ამასთანავე, შეიძლება ყველა ამონარიდი სიტყვასიტყვით არ მქონდეს ციტირებული, მაგრამ გარწმუნებთ, მონათხრობი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებზეა აგებული.

„საჰაერო გზა, რომელიც ჩვენ გავიარეთ ორივე მიმართულებით, აღსავსე იყო მთელი რიგი მოულოდნელობებითა და ფათერაკებით. ავდარი ურთულეს პირობებს გვიქმნიდა, მაგრამ ყველა წინააღმდეგობა დაძლეული იქნა. მოსკოვში დავბრუნდით. გადაქანცულმა, როგორც იქნა, სახლამდე მივაღწიე და ოჯახთან შეხვედრით გავიხარე", — იგონებს გოლოვანოვი.

მფრინავმა მეუღლისაგან შეიტყო, რომ მას რამდენიმეჯერ დაურეკეს მალენკოვის (იმჟამად ცეკას მდივანი) სახელით და იკითხეს მისი ამბავი, თანაც დატოვეს ტელეფონის ნომერი, — გამოჩენისთანავე დარეკოსო.

„მართალი უნდა ვთქვა, იმ მომემტში მეც არ ვიცოდი, ვინ მეძებდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ, ეს ის ხალხია, რომელიც მორიგ გაფრენას აპირებს რომელიღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტზე-მეთქი", — წერს გოლოვანოვი.

ამ ფიქრებში იყო გართული, მეუღლემ ტელეფონის ზარს რომ უპასუხა:

— ახლავე, ეს წუთია, სახლში შემოვიდა.

გოლოვანოვი ტელეფონთან მივიდა.

— ამხანაგო გოლოვანოვ! მე ცეკას მდივნის, მალენკოვის, თანაშემწე გაწუხებთ, სუხანოვი. მას სურს, დაგელაპარაკოთ, რისთვისაც სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეთ.

— როგორ მოგაგნოთ? — შეეკითხა გოლოვანოვი.

— რაც შეიძლება მალე დანაყრდით, მანქანას კი გამოგიგზავნით და ის მოგიყვანთ ჩვენთან.

— კარგი, — უპასუხა მფრინავმა და სუფრას მიუჯდა.

სამთავრობო მანქანამ გოლოვანოვი ცენტრალურ კომიტეტში მიიყვანა. სუხანოვმა გოლოვანოვი მალენკოვს წარუდგინა. მალენკოვი უკვე ჩაცმული იყო და მომზადება არ დასჭირვებია. მან სტუმარს სთხოვა, გაჰყოლოდა. მალე მანქანაში ისხდნენ და მიჰქროდნენ წითელ მოედანზე. ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. მანქანა ორსართულიანი სახლის სადარბაზოსთან გაჩერდა. სწრაფად გადმოვიდნენ და მეორე სართულზე ავიდნენ.

„მალენკოვი გაუჩინარდა, ხოლო ჩემკენ დაბალ-დაბალი თავგადაპარსული კაცი გამოემართა.

— თქვენ გოლოვანოვი ხართ, არა?

— დიახ, — ვუპასუხე.

მიბრძანა, ოთახში შევსულიყავი, იქიდან კი კაბინეტზე მიმითითა:

— შებრძანდით!

ამ შენობაში არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიცოდი, ვის უნდა შევხვედროდი, — იგონებს გოლოვანოვი.

„როგორც კი ოთახში შევედი, ადამიანებს, ნაცნობ სახეებს წავაწყდი, რომლებიც სურათებზე, კინოფილმებსა და მავზოლეუმის ტრიბუნაზე მინახავს. სტალინი ჩემკენ წამოვიდა, ხელი გამომიწოდა და ღიმილით მომესალმა.

— გავეცანი თქვენს მოხსენებით ბარათს, ძალიან საინტერესო და აუცილებელია ის, რაზეც გიფიქრიათ და რის გაკეთებასაც აპირებთ. ამ დავალების შემსრულებლის შესაფერის კანდიდატად თქვენ მიმაჩნიხართ".

გოლოვანოვი ფიქრობდა, რომ წერილს რეაგირება აუცილებლად მოჰყვებოდა, მაგრამ ყველაფერი ასე ელვისებურად თუ მოხდებოიდა,

ვერ წარმოედგენა.

„— რას იტყვით, ამხანაგო გოლოვანოვ?

მე სათქმელი არაფერი მქონდა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა უნდა გამეკეთებინა ამ შემთხვევაში, როგორ უნდა მობმოდა თავი ამ უზარმაზარ საქმეს.

**სტალინი არ ჩქარობდა, მან დინჯად გაიარ-გამოიარა წითელ ხალიჩაზე და ჩიბუხი გააბოლა. მერე მომიახლოვდა, ჩემ წინ გაჩერდა, თვალებში ღიმილით ჩამხედა და მშვიდად მითხრა:**

— ჩვენ, ამხანაგო გოლოვანოვ, არ გვყავს 100-150-თვითმფრინავიანი შენაერთები. ჩვენთან არის პოლკი, დივიზია, კორპუსი და არმია. ასეთია ჩვენი სამხედრო დანაყოფების სახელწოდებები. ახალი სახელწოდებებისა და დასახელებების გამოგონება, ვფიქრობ, საჭირო არ უნდა იყოს.

— როგორ გადავწყვიტოთ საკითხი? — მიმართა სტალინმა იქ მყოფ მარშლებს, მინისტრებსა პოლიტბიუროს წევრებს.

არ ვიცი ვინ, მაგრამ ვიღაცამ წარმოთქვა, რომ შექმნილიყო შესაბამისი არმია, სხვამ კორპუსის ჩამოყალიბების იდეა წამოაყენა. სტალინი გულისყურით უსმენდა ყველა გამომსვლელს.

— თქვენ ამაყი კაცი ხართ, ამხანაგო გოლოვანოვ? — მომმართა სტალინმა.

— თავს არავის დავაჩაგვრინებ, — ვუპასუხე მე.

— ამიტომ არ გეუბნებით. საუბარია არმიასა და კორპუსზე. ჩემი აზრით, პირველ შემთხვევაში ახალშექმნილი ერთეული არ უნდა გადავტვირთოთ „პარტიანკებისა" და სხვადასხვა საგნის მომარაგებით. იქ უნდა გვყავდეს ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ დროსა და ამინდში შეასრულებენ ურთულეს დავალებებს. ისინი არ უნდა შევიყვანოთ რომელიმე კორპუსის, დივიზიის ან არმიის დაქვემდებარებაში. უმჯობესია, დავიწყოთ პოლკიდან, რომელსაც ექნება სწრაფი ზრდის პერსპექტივა, გამომდინარე თავისი მოქმედებებიდან. Рპოლკი უნდა დაექვემდებაროს ცენტრს (აქ, რა თქმა უნდა, თავისი თავი იგულისხმა).

სიამოვნებით ვუსმენდი სტალინს და ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ამ აზრის სტალინზე უკეთ ჩამოყალიბება".

ბელადმა კიდევ ერთხელ გადახედა გოლოვანოვს და, დაინახა რა კმაყოფილება მის სახეზე, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— პოლკი უნდა დაკომპლექტდეს საუკეთესო სპეციალისტებით, რათა ექვსი თვის შემდეგ შეძლოს დივიზიად გარდაქმნა, ერთი წლის შემდეგ მისგან ჩამოყალიბდეს კორპუსი, ხოლო ორი წლის შემდეგ — არმია".

სტალინი მიუახლოვდა გოლოვანოვს და ღიმილით მიმართა:

— თქვენ თანახმა ხართ ყოველივე ამაზე?

— სრულიად, ამხანაგო სტალინ!

— აი უკვე შევთანხმდით, — ღიმილით წარმოთქვა სტალინმა და კვლავ მომმართა:

— დამთავრდა თქვენი კაზაკური თავისუფლება, დაანებეთ თავი ფრენას და მიხედეთ საორგანიზაციო საქმეს. სასწრაფოდ მოგვეცით თქვენი წინადადებები. მალე გამოგიძახებთ. ნახვამდის.

გარეთ გამოვედი. კრემლის კურანტებმა რვაჯერ ჩამოჰკრეს, სამი საათი გავიდა, რაც მოსკოვში ჩამოვფრინდი, მხოლოდ სამი სააათი და ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. უნებურად მომაგონდა ყველაფერი — ჩემი ცხოვრების ბედნიერი, წარმატებული პერიოდიც და მშიერი მგელივით საშიში დაუნდობელი ვითარებაც, რომელიც განადგურებით გვემუქრებოდა მეც და ჩემს ოჯახსაც.

თვალწინ მედგა წარსულის ეპიზოდებიც და კრემლში ახლახან მიღებული შთაბეჭდილებებიც. ვცდილობდი, გავრკვეულიყავი ჩემს გრძნობებში სტალინისადმი.

**იმ მომენტში ჩემთვის ის იყო ფოლადისგან ჩამოსხმული უსულგულო ადამიანი, რომელიც არაფერზე დაიხევდა უკან ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პოლიტიკის გასატარებლად.** მე, ცხადია, ყოველთვის მახარებდა იმის გათვითცნობიერება, რომ ჩემი ქვეყანა მალე დაეწეოდა და გაუსწრებდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოებაში და ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ. მომაგონდა ჩემი ერთადერთი და, რომელიც შვილებით მარტოდმარტო დარჩა მძიმე მატერიალურ პირობებში, რადგან მისი ქმარი დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტერი".



ავიაციის მარშალი გოლოვანოვი შტურვალთან

**«გარეთ გამოვედი. კრემლის კურანტებმა რვაჯერ ჩამოჰკრეს, სამი საათი გავიდა, რაც მოსკოვში ჩამოვფრინდი, მხოლოდ სამი სააათი და ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა! უნებურად მომაგონდა ყველაფერი — ჩემი ცხოვრების ბედნიერი, წარმატებული პერიოდიც და მშიერი მგელივით საშიში დაუნდობელი ვითარებაც, რომელიც განადგურებით გვემუქრებოდა მეც და ჩემს ოჯახსაც«»**

მთელი სიცოცხლე ერთგულად ვემსახურებოდი ჩემს ქვეყანას. 1919 წელს ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, ბრძოლებში რომ ვმონაწილეობდი;Оოციან წლებში ვმუშაობდი კომკავშირის ნიჟეგოროდის საქალაქო კომიტეტში, ვიბრძოდი კონტრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ. ვიყავი განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებში, შემდეგ — ძერჟინსკის სახელობის ცნობილ დივიზიაში, ვიბრძოდი ბასმაჩების წინააღმდეგ შუა აზიაში. ოცდაათიან წლებში გულმოდგინედ ვსწავლობდი ფრენას, შემდეგ ვმუშაობდი მოსკოვის სახელმწიფო სამხედრო ფლოტის სამმართველოში, ვსწავლობდი ბატაისკის უმაღლეს საფრენოსნო სკოლაში, ვასრულებდი სახელმწიფო დავალებებს ყარაყუმში.

**შემდეგ დამნიშნეს ირკუტსკში, სახელმწიფო სამხედრო ფლოტის სამმართველოს უფროსად, საქმეს კარგად ვუძღვებოდი და ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მიმავლინეს საფრანგეთში ბრმად დაფრენის სისტემის გასაცნობად, ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი და დავიწყე ამ მნიშვნელოვანი საქმის პრაქტიკაში დანერგვა.**

იდგა 1937 წელი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მეც კი დამადანაშაულეს „ხალხის მტრებთან" ურთიერთობაში. მალე გამომიძახეს პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის ბიუ- ▶

„სტალინის საუბარმა დამარწმუნა, რომ მასთან სრულიად მოუმზადებელი მივედი. მე პოლკს ვაკომპლექტებდი ცალმხრივად და სტალინთან საუბრისას გაირკვა, რომ საერთოდ ვერ ვერკვეოდი პოლკის ჩამოყალიბების საკითხებში. სტალინი, რა თქმა უნდა, ამას მიხვდა. ის ნელ-ნელა მიმოდიოდა წითელ ხალიჩაზე და ჩიბუხის ბოლში აზუსტებდა, ჩემში რომელი მხარე სჭარბობდა — დადებითი თუ ის, რომელიც ახლა დაინახა“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა ჩემი უბედურების მიზეზი, ცხადია, მხოლოდ სტალინი მეგონა... ახლა კი შევხვდი ადამიანს, რომელიც სულაც არ შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენას, პირიქით — მივხვდი, რომ მასთან შეიძლება ლაპარაკი, მას აინტერესებს შენი აზრი. გეხმარება, გამოხვიდე ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდან, გკარნახობს აზრს, რომელიც ვერ ჩამოგიყალიბებია. ყველაზე მეტად გამაოცა ავიაციის საკითხების ცოდნამ, მივხვდი იმასაც, რომ ფიქრობდა ფაშისტურ გერმანიასთან მოსალოდნელ ომზე. ეს ყველაფერი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო“**

◀როზე და ჩამომართვეს პარტიული ბილეთი. იძულებული შევიქენი, მეჩივლა პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში.

სანამ პასუხს ველოდებოდი, ბევრი უსიამოვნება გადავიტანე, სამუშაოს არ მაძლევდნენ და, ოჯახი რომ გადამერჩინა, იძულებული შევიქენი, გამეყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ ჩემი მეგობრების, რომლებთანაც ვმუშაობდი 1925-30-იან წლებში, დროული გაფრთხილების წყალობით შევძელი ირკუტსკიდან მოსკოვში გამოქცევა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასე გადავურჩი დაპატიმრებას. იმხანად ბევრი გაურბოდა ჩემთან ურთიერთობას, დანახვისას სწრაფად გადადიოდნენ ქუჩის მეორე მხარეს.

ბოლოს და ბოლოს, დამნიშნეს მძიმე ხომალდების 27-ე რაზმში, რომელიც მოსკოვში იყო განლაგებული, მაგრამ ემორჩილებოდა სახელმწიფო სამხედრო-საჰაერო ფლოტის ოქტიუბინსკის სამმართველოს, რომლის უფროსად დაინიშნა ჩემი ყოფილი მოადგილე აღმოსავლეთ ციმბირის სამმართველოში — **რულკოვი**, ის ჩემთან ერთად მუშაობდა წლების განმავლობაში და ვიფიქრე, რადგან კარგად მიცნობდა, ჩემი წამება დამთავრდებოდა, მაგრამ მოვტყუვდი — ჩემმა მეთაურმა ვასილ ივანეს ძე რულკოვმა (სხვათა შორის, უპარტიო ამხანაგმა), მითხრა, რომ მე, პირველი კლასის პილოტი, მასთან რაზმში დამნიშნეს მეორე პილოტად. როცა რულკოვს მიზეზი უკითხავს, აუხსნეს, შეიძლება საზღვარგარეთ გაფრინდესო. მეთაურმა ეს, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა და, რადგან კარგად მიცნობდა, ყველაფერი მიამბო.

არ დამავიწყდება რაზმის მფრინავებისა და ტექნიკური პერსონალის მორალური მხარდაჭერა, რომელიც იმხანად ძალიან მჭირდებოდა. გადიოდა დრო და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შეკითხვა გაგზავნილი ირკუტსკში, უპასუხოდ რჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, მოვიდა პასუხი, რომელშიც აღნიშნული იყო: პარტიიდან იმიტომ გაგრიცხეთ, რომ თქვენი უყურადღებობით მდინარე ლენაზე რომელიღაც აეროპორტის უფროსი ლოთობდა, გაფლანგა ფული და გაიქცაო. ამასთანავე, როგორც გაირკვა, ცენტრალურ კომიტეტში ინახებოდა მასალა, შეთანხმებული პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტთან, ლენინის ორდენით ჩემი დაჯილდოების თაობაზე.

ყველა დოკუმენტი, რა თქმა უნდა, დამიბრუნეს, ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ირკუტსკის საოლქო კომიტეტს მიუთითეს კომუნისტების ბედისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამო.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე უარი ვთქვი და ისევ რიგით მფრინავად დავიწყე მუშაობა. ეს პროფესია, ჩემი აზრით, ხელოვნება, ყოველთვის მხიბლავდა და, სადაც უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის დავფრინავდი. ყველა ადამიანს თავისი გატაცება აქვს.



ალექსანდრე გოლოვანოვი ახალგაზრდობაში

საკმაოდ სწრაფად დავიკავე ღირსეული ადგილი წამყვან მფრინავთა შორის, დავფრინავდი იმ პერიოდისთვის დიდი სამგზავრო მანქანებით, შემდეგ იყო ხალხინ-გოლი, მერე — ფინეთის ომი და ბოლოს — აეროფლოტის შეფ-მფრინავობა.

**ყველა ჩემი უბედურების მიზეზი, ცხადია, მხოლოდ სტალინი მეგონა... ახლა კი შევხვდი ადამიანს, რომელიც სულაც არ შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენას, პირიქით — მივხვდი, რომ მასთან შეიძლება ლაპარაკი, მას აინტერესებს შენი აზრი. გეხმარება, გამოხვიდე ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდან, გკარნახობს აზრს, რომელიც ვერ ჩამოგიყალიბებია. ყველაზე მეტად გამაოცა ავიაციის საკითხების ცოდნამ, მივხვდი იმასაც, რომ ფიქრობდა ფაშისტურ გერმანიასთან მოსალოდნელ ომზე. ეს ყველაფერი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო.**

ამ ფიქრებში გართული ჩემი ბინის კართან აღმოვჩნდი. ჩვენს ცხოვრებაში ყოველგვარ გაუგებრობებს შეჩვეული ჩემი მეუღლე შეშფოთებული შემომყურებდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა. ჩუმად გავიხადე და ოთახში შევედი. მეუღლე შემომყვა.

— მითხარი, რა მოხდა?

— სტალინთან ვიყავი, — ვთქვი ჩუმად.

— რა? — მეუღლემ თავში იტაცა ხელი.

ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, ვუთხარი, რომ ჩემი მუშაობით კმაყოფილნი არიან, რომ სურთ, გამიწვიონ ჯარში, რომ მეყოფა თავისუფალი კაზაკივით ცხოვრება და ახლა სერიოზული საქმეების დროა. ჩემმა მეუღლემ აღარ იცოდა, ეცინა თუ ეტირა. ბოლოს გამოთქვა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, საიდან შეიძლებოდა სტალინს სცოდნოდა, ვიღაც გოლოვანოვის შესახებო, მაგრამ მე არაფერი წამომცდენია, გარდა იმისა, რომ თვითონაც გაოცებული ვიყავი სტალინთან ჩემი გამოძახებით. ეს ჭეშმარიტება იყო.

ჩემი მეუღლე, როგორც ქალებს სჩვევიათ, დიდხანს მსჯელობდა ყველა დადებით და უარყოფით მხარეებზე და ბოლოს მივიდა დასკვნამდე, რომ დროა, დავამთავრო მფრინავის მოუსვენარი ცხოვრება და დავიწყო უფრო სერიოზული საქმეები. მისი გადაწყვეტილებით მეც კმაყოფილი დავრჩი და ჩვენი ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩადგა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მეუღლემ მკითხა:

— კი, მაგრამ, შენი ეკიპაჟი? — იფიქრე მასზე?“

ცოლი-ქმარი მთელი ღამე საუბრობდა იმაზე, როგორ ელვისებურად შეიცვალა მათი ცხოვრება და როგორ თავგანწირვით უნდა ემსახურონ სამშობლოსა და პირადად სტალინს.

მეორე დილით დაიწყო განსაკუთრებული მნიშვნელობის 212-ე პოლკის ჩამოყალიბებისა და დაკომპლექტების მეტად რთული სამუშაოები. საჭირო იყო, არა მხოლოდ პოლკის ჩამოყალიბება, არამედ საფუძვლის მომზადება ისეთი პოლკისთვის, რომელსაც მალე სტატუსი უნდა შეცვლოდა და დივიზიად გადაკეთებულიყო. გოლოვანოვი ამისათვის თითქმის მზად იყო და გაბედულად შეუდგა საქმეს.

მეორე დღის ბოლოს გოლოვანოვი კრემლში გამოიძახეს.

„— აბა, რა მოიფიქრე? — ჰკითხა სტალინმა მისალმების შემდეგ“. გოლოვანოვმა მოკლედ აუხსნა, რა დაგეგმა, რა პრინციპებით აპირებდა პოლკის დაკომპლექტებას. სტალინს მოახსენა, რომ პოლკი უნდა დაკომპლექტდეს სამოქალაქო ავიაციის მფრინავებისგან, რადგან მათ უკეთ

იციან ბრმა ფრენის ტექნიკურ-პრაქტიკული ჩვევები, ხოლო, თუ ახალი კადრების აღზრდას დავიწყებთ ბრმა ფრენებისთვის, ძალიან დიდ დროს დაგვაკარგვინებს და თქვენს დავალებას ვერ შევასრულებთო.

— არ არის ცუდი აზრი, მაგრამ მიპასუხეთ, ვინ უნდა გაიყვანოს თვითმფრინავი იმ მიმართულებაზე, რომლიდანაც ობიექტებს ბომბებს დაუშენს. სამოქალაქო ავიაციაში ასეთი კადრები არ გყავთ. ვინ იქნება რადისტი? — არც ეს გყავთ. ამაზე რას მეტყვით? — მკითხა სტალინმა.

— თავზარი დამეცა. მივხვდი, რომ საქმე მქონდა ადამიანთან, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა საფრენოსნო საქმეში და იცოდა, რასაც ამბობდა.

—კარგი, — განაგრძო სტალინმა, — მფრინავი, რა თქმა უნდა, ძირითადი, მთავარი ფიგურაა ეკიპაჟის, მაგრამ მხოლოდ მას არ შეუძლია იფრინოს შორეული მიზნის მისაღწევად, ამისთვის მას სჭირდება თანაშემწე. თქვენთან, სამოქალაქო ავიაციაში, მოიერიშე მფრინავები არიან? — არა. არც ესენი გყავთ. ამაზე რას იტყვით, ამხანაგო გოლოვანოვ, შეიძლება თუ არა მხოლოდ სამოქალაქო ავიაციით დავაკომპლექტოდ შორსმოქმედი ავიაპოლკი?

სტალინის საუბარმა დამარწმუნა, რომ, მასთან სრულიად მოუმზადებელი მივედი. მე პოლკს ვაკომპლექტებდი ცალმხრივად და სტალინთან საუბრისას გაირკვა, რომ საერთოდ ვერ ვერკვევოდი პოლკის ჩამოყალიბების საკითხებში. სტალინი, რა თქმა უნდა, ამას მიხვდა. ის ნელ-ნელა მიმოდიოდა წითელ ხალიჩაზე და ჩიბუხის ბოლში აზუსტებდა, ჩემში რომელი მხარე სჭარბობდა — დადებითი თუ ის, რომელიც ახლა დაინახა“.

ბოლოს სტალინი მიუახლოვდა გოლოვანოვს, შინაურულად გაუღიმა და თვალიც კი ჩაუკრა. როგორც ჩანს, მასპინძელმა იგრძნო სტუმრის უხერხულობა და ამით სრულიად მოიშალა ზღვარი საავიაციო საქმის უნიკალური ცოდნის პატრონსა და უბრალო მფრინავის ურთიერთობაში. სტრესის მოსახსნელად სტალინმა ვითომ მისთვის გაურკვეველ საკითხებზე დაუსვა გოლოვანოვს შეკითხვები.

„— გასაგებია, ამხანაგო სტალინ, — უთხრა გოლოვანოვმა, მე მოუმზადებელი აღმოვჩნდი ამ შემთხვევაში, მაგრამ შევეცდები, გამოვასწორო. ამხანაგო სტალინ, ხომ არ აჯობებს, შტურმანები და რადისტები ავიყვანოთ სამხედრო-საჰაერო ძალებიდან, ხოლო მფრინავები — სამოქალაქო ავიაციიდან?

— თუ ესკადრილიასა და შტაბსაც დავაკომპლექტებთ სამხედროებით, გაცილებით უკეთესი იქნება, — ღიმილით მომმართა სტალინმა. მოადგილედაც სამხედრო დაინიშნეთ. თქვენ, ამხანაგო გოლოვანოვ, ძალიან ახლოს უნდა მიხვიდეთ და მყარი მდგომარეობა გქონდეთ შორეულ ფრენებზე, რომლებშიც უნდა ჩადოთ მთელი თქვენი ცოდნა და ენერგია, წვრილმანი საქმე კი აკეთონ თქვენმა მოადგილეებმა და თანაშემწეებმა. მე ამას გირჩევთ.

ყოველივე ეს სტალინმა იქვე, ჩემთან საუბარში ჩამოაყალიბა თუ უფრო ადრე ჰქონდა ნაფიქრი და ჩამოყალიბებული, დღესაც ვერ მივმხვდარვარ.

— ესე იგი, გამოდის, რომ მოვილაპარაკეთ, არა? — გაიღიმა სტალინმა.

— მოვილაპარაკეთ, ამხანაგო სტალინ, — შევეცადე, სახეზე სერიოზულობა გამომეხატა და ღიმილით არ მეპასუხა მისი ღიმილისთვის.

— აი ეს კარგია! ახლა კი გამოვიძახოთ სამხედრო-საჰაერო და სამოქალაქო ავიაციის ფლოტის სარდლები და მათთან შევათანხმოთ ჩვენი გეგმები.

სტალინმა თითი ღილაკს დააჭირა და კაბინეტში პოსკრებიშევი შემოვიდა.

— სთხოვეთ მოლოკოვსა და რიჩაგოვს, მოვიდნენ!

**გაგრძელება იქნება**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც ნატო განაგრძობს პროვოკაციულ ქმედებებს და რუსეთის საზღვრებთან აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს, ვაშინგტონი კვლავინდებურად უარყოფს მოსკოვის წინადადებას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობაზე.**

# მოსკოვი იძულებულია, კონტრზომები მიიღოს

**გამოცემა The Nation-მა ობამას ადმინისტრაცია დაადანაშაულა, რომ მას არ აქვს უნარი, აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების რეალური მუქარები შეაფასოს.**

იმ მომენტში, როდესაც ნატო განაგრძობს პროვოკაციულ ქმედებებს და რუსეთის საზღვრებთან აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს, ვაშინგტონი კვლავინდებურად უარყოფს მოსკოვის წინადადებას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობაზე.

ამჟამად **ვხედავთ სამხედრო დაპირისპირების ალბათობის ზრდას რუსეთის საზღვრებთან. სამხედრო „სწავლებაზე“ ნატოს ოფიციალური წარმომადგენლების ლაპარაკის მიუხედავად, ნათელია, რომ ალიანსის სამხედრო ძალები კიდევ უფრო გაძლიერდება 6-8 ივლისს დანიშნული ნატოს სამიტის შემდეგ.**

რუსეთის საზღვრებთან გააქტიურებაზე ნატოს ფიქტიური ახსნა-განმარტებების უკან არ დგას არც ფაქტები, არც ლოგიკა, რომლებიც გაამართლებდა დასავლეთის სამხედრო ძალების ასეთ უპრეცედენტო და პროვოკაციულ გაძლიერებას.

**ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ემზადება ბალტიისპირეთის სამი პატარა რესპუბლიკისა და პოლონეთის ხელში ჩასაგდებად სამხედრო ინტერვენციის გზით, აგრეთვე, განზრახული აქვს ევროკავშირის დანგრევა.**

პირიქით, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პუტინს სჭირდება აყვავებული და სტაბილური ევროკავშირი, აგრეთვე, უსაფრთხოების გარანტია რუსეთის საზღვრებზე — ბალტიისპირეთიდან უკრაინამდე. The Pew Rosearch Center-ის მიერ ახლახან ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა მესამედი რუსეთს „სერიოზულ საფრთხედ“ განიხილავს. ეს აიხსნება იმით, რომ ნატოს ქვეყნების ელიტები თავიანთი პოლიტიკის გასამართლებლად მასშტაბურ სადეზინფორმაციო კამპანიას ეწევიან, ანუ დაკავებული არიან იმით, რითაც აშშ — რუსეთის დადანაშაულებით ყველაფერში.

**ცნობილი ბრიტანელი ანალიტიკოსის — რიჩარდ საკვის აზრით, რუსეთის მხრიდან ნებისმიერი მუქარის წარმოქმნა განპირობებულია აშშ-ისა და ნატოს მოქმედებებით, რადგან მოსკოვი იძულებულია, კონტრზომები მიიღოს და გააძლიეროს თავისი სამხედრო ძალები საზღვრებთან.**

ამ ფონზე სამწუხაროა, რომ ხელიდან არის გაშვებული საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთ-აშშ-ის თანამშრომლობის შესაძლებლობები, იქნება ეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა სირიასა და ერაყში თუ ტერაქტები რუსეთისა და ამერიკის ტერიტორიებზე. მოსკოვმა არაერთხელ განაცხადა ანტიტერორისტული ალიანსის შექმნაზე, მაგრამ ვაშინგტონი ყოველთვის უარყოფდა ამ ინიციატივას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ძალა და გამოცდილება დაუგროვდა ამ მზარდი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.



**რუსეთის მხრიდან ნებისმიერი მუქარის წარმოქმნა განპირობებულია აშშ-ისა და ნატოს მოქმედებებით, რადგან მოსკოვი იძულებულია, კონტრზომები მიიღოს და გააძლიეროს თავისი სამხედრო ძალები საზღვრებთან**

ისიც გასახსენებელია, როგორ გააფრთხილეს რუსეთის სპეცსამსახურებმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და გამოძიების ფედერალური ბიურო ძმებ **ცარნაევებზე**, რომლებმაც სამი წლის წინათ ბოსტონის მარათონის მიმდინარეობისას აფეთქება განახორციელეს, მაგრამ ამ გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქციეს ახალი ცივის ომის გამო, რომელიც ორ ქვეყანას შორის ძალას იკრებდა.

ამ მართლაც ეგსისტენციური (და არა პუტინის რუსეთის) საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთთან თანამშრომლობაზე უარი ობამას ადმინისტრაციის ყველაზე ალმაშფოთებელი ჩავარდნა და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების უგულებელყოფაა, მაგრამ ამაზე ამერიკული პრესა კვლავინდებურად დუმს, კონგრესი კი ახალი ანტირუსული საკანონმდებლო ინიციატივების მისაღებად და მოსკოვთან დასაპირისპირებლად ხარჯების მოსამატებლად ემზადება.

**The Nation**

# ორგანიზაცია «ექიმები საზღვრებს გარეშე» — უარი ევროკავშირის დახმარებას!




**ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრებს გარეშე“ ლტოლვილების რეადმისიის (უკან მიღების — რედ.) შესახებ ევროკავშირსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა ევროკავშირიდან ფინანსური დახმარების მიღებაზე.**

„ექიმები საზღვრებს გარეშე“ აცხადებს, რომ აღარ მიიღებს ფინანსურ დახმარებას ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნებისგან.

**„ჩვენ უარვყოფთ ჰუმანიტარული დახმარების ინსტრუმენტად გადაქცევას საზღვრის გასაკონტროლებლად და არ შეგვიძლია მივიღოთ ფული იმ მთავრობებისგან, რომლებიც ამ დახმარებას ჰუმანიტარული ნორმების დასარღვევად იყენებენ. ჩვენ არ დავიწყებთ დახმარების ძებნას ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებში მანამდე, სანამ ისინი არ გაამახვილებენ ყურადღებას ადამიანის მიღებასა და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე“,** — ნათქვამია ორგანიზაციის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ორგანიზაციის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ლტოლვილთა ნაკადის შეჩერების პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოებას აწვდიან ჰუმანიტარული გადაწყვეტილებების სახით, მხოლოდ აძლიერებს უბედური ადამიანების ტანჯვას, ჰუმანიტარული არაფერია იმაში, რომ ადამიანების ტანჯვა სანაპიროების იქით გადაიტანო და მიჩქმალო. ევროკავშირსა და თურქეთს შორის ლტოლვილების რეადმისიით შეთანხმებაში არაფერია ჰუმანიტარული და ეს არ შეიძლება ნორმად იქცეს. ევროპის მცდელობას მიგრაციაზე კონტროლის დაწესების შესახებ დომინოს ეფექტი აქვს, რომლის შედეგად სირიამდე ჩაიკეტა საზღვრები“.

**Deutsche Welle**

**«ჰუმანიტარული არაფერია იმაში, რომ ადამიანების ტანჯვა სანაპიროების იქით გადაიტანო და მიჩქმალო. ევროკავშირსა და თურქეთს შორის ლტოლვილების რეადმისიით შეთანხმებაში არაფერია ჰუმანიტარული და ეს არ შეიძლება ნორმად იქცეს. ევროპის მცდელობას მიგრაციაზე კონტროლის დაწესების შესახებ დომინოს ეფექტი აქვს, რომლის შედეგად სირიამდე ჩაიკეტა საზღვრები»**

# ევროკავშირის სასამართლომ არალეგალი მიგრანტების ციხეში ჩასმა აკრძალა




**ევროკავშირის სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპის სახელმწიფოების ხელისუფლებამ ციხეში არ უნდა ჩასვან მიგრანტები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქვეყანაში უკანონოდ შევიდნენ, — იუწყება „ბი-ბი-სი“. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ არალეგალი მიგრანტები, დაპატიმრების ნაცვლად, სამშობლოში უნდა დააბრუნონ.**

„დირექტივა დაბრუნების შესახებ უფლებას არ იძლევა, ციხეში გამოამწყვდიონ ადამიანი, რომელიც არ არის ევროკავშირის მოქალაქე და მანამდე არ გაუძევებიათ ქვეყნიდან მხოლოდ იმის გამო, რომ ის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ შევიდა შენგენის ზონიდან. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუკი მიგრანტი დააკავეს, როცა ის შენგენის ზონას ტოვებდა“, — ნათქვამია ლუქსემბურგში მდებარე ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეეხება **დიდ ბრიტანეთსა** და **ირლანდიას,** რომლებიც არ შედიან შენგენის ზონაში, აგრეთვე, **დანიას,** რომელმაც მოიპოვა უფლება, არ შეასრულოს ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ეს გადაწყვეტილება ევროკავშირის სასამართლომ აფრიკელი მიგრანტი ქალის გამო მიიღო, რომელიც საფრანგეთის პოლიციამ ბელგიის მოქალაქის ყალბი დოკუმენტების ქონის გამო დააკავა ლა-მანშის გვირაბთან, შემდეგ კი ციხეში ჩასვა ქვეყანაში არალეგალურად შესვლის ბრალდებით.

აფრიკელმა სელიმა აფუმმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ევროკავშირის დირექტივის საფუძველზე, რომელიც არალეგალურ მიგრანტს 30 დღეს აძლევს ქვეყნის ნებაყოფლობით დასატოვებლად. დირექტივაში ნათქვამია, რომ ქვეყნიდან გაძევება არ უნდა განხორციელდეს „გადაჭარბებული ძალის გამოყენებით“ და მიგრანტს სიცოცხლის საფრთხე არ უნდა დაემუქროს.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ აფუმის სარჩელი გაუგზავნა ევროკავშირის სასამართლოს, რომელიც ევროკავშირის უზენაესი სასამართლო ორგანოა.

**„ბი-ბი-სი“**

**«დირექტივა დაბრუნების შესახებ უფლებას არ იძლევა, ციხეში გამოამწყვდიონ ადამიანი, რომელიც არ არის ევროკავშირის მოქალაქე»**

**„დასავლელი და განსაკუთრებით ამერიკელი ხელმძღვანელები, ჯიუტად ამბობენ უარს მოსკოვისთვის სულ მცირე გავლენის სფეროს ან მისი საზღვრების გასწვრივ უსაფრთხოების ზონის დათმობაზე. მათ შორის დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ რუსეთი აგრესიული ექსპანსიონისტური ქვეყანაა, მაგრამ ეს თვალსაზრისი არგუმენტირებული არ არის“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ახალი ცივი ომის შედეგებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ დასავლეთს დაეკისრება»

## «დასავლელი ლიდერები ვერ ხვდებიან, რომ რუსეთის საზღვრებთან ნატოს სამხედრო ძალების გაძლიერებამ შეიძლება სამწუხარო შედეგები გამოიწვიოს»

**„მოსკოვის ინტერესების იგნორირებამ მისი უსაფრთხოების ზონებში შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ რუსეთთან ძალიან ცივი ურთიერთობა გადაიზარდოს სრულმასშტაბიან მეორე ცივ ომში, შედეგებზე კი პასუხისმგებლობა მხოლოდ დასავლეთს დაეკისრება“, — მიაჩნია გამოცემა National Interest-ის ექსპერტ ტედ გალენ კარპენტერს.**

ნატოს გადაწყვეტილება, დამატებითი ძალები შეიყვანოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და პოლონეთში, მორიგი მტკიცებულებაა იმისა, რომ დასავლელი ხელმძღვანელები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოქმედებაზე მოსკოვის რეაქციას. კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, გამოცემა The National Interest-ის რედაქტორის — **ტედ გალენ კარპენტერის** აზრით, დასავლელმა ლიდერებმა სასწრაფოდ უნდა შეცვალონ თავიანთი თვალსაზრისი, სანამ რუსეთთან ცივი ურთიერთობა მეორე ცივ ომში არ გადაზრდილა. ხოლო პირველი ცივი ომისგან განსხვავებით, როდესაც კონფრონტაციაზე პასუხისმგებლობის დიდი წილი მოსკოვს ეკისრებოდა, ამჯერად დამნაშავენი იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები.

„დასავლელი და, განსაკუთრებით, ამერიკელი ხელმძღვანელები ჯიუტად ამბობენ უარს მოსკოვისთვის, სულ მცირე, გავლენის სფეროს ან მისი საზღვრების გასწვრივ უსაფრთხოების ზონის დათმობაზე. მათ შორის დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ რუსეთი აგრესიული ექსპანსიონისტური ქვეყანაა, მაგრამ ეს თვალსაზრისი არგუმენტირებული არ არის. ცივი ომის პერიოდში მოსკოვს მოქმედებისკენ უბიძგებდა გლობალური იდეოლოგია, ამჟამინდელ რუსეთში კი ასეთი რამ არ არსებობს. ამასთანავე, საბჭოთა კავშირი აქტიურად ცდილობდა თავისი იდეოლოგიის გავრცელებას პლანეტის შორეულ კუთხეებში, დღევანდელი რუსეთის ყურადღება კი კონცენტრირებულია მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაზე, ცენტრალურ აზიასა და შავ ზღვაზე.

**მოსკოვის ზოგიერთი ქმედება, მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის დახმარების გაწევა, ყირიმის მიერთება და დონბასის სახალხო ლაშქრის დახმარება, უხეში და სასტიკიც ჩანს, მაგრამ განა ეს მანევრები უფრო უხეში და სასტიკი იყო, ვიდრე ნატოს დახმარებით კოსოვოს ძალისმიერი მეთოდებით მოწყვეტა სერბეთისგან, ან ალიანსის წევრის — თურქეთის მოქმედება, რომელმაც ჩრდილოეთი კვიპროსი ქვეყნის ძირითად ნაწილს მოსწყვიტა? ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ რუსეთს უფრო სერიოზული საფუძველი აქვს ისეთი მოქმედებისთვის, რომლებიც, უწინარესად, გამოწვეულია მისი უსაფრთხოების დაცვით.**

ამერიკელებმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ: როდის და რა მიზეზებით მოექცა აშშ-ის უსაფრთხოების სასიცოცხლო ინტერესების სფეროში ბედი ისეთი ქვეყნებისა, როგორიც არის საქართველო, უკრაინა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები?

საქმე ის არის, რომ დღეს უსაფრთხოება ისეთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია, მზად ვართ, წავიდეთ კონფრონტაციის რისკზე და თვით სრულმასშტაბიან ომზე რუსეთთან. და, რადგან მოსკოვს აქვს უზარმაზარი ბირთვული არსენალი, ასეთი მოქმედებები სრული სიგიჟეა.



**«მოსკოვის ზოგიერთი ქმედება, მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის დახმარების გაწევა, ყირიმის მიერთება და დონბასის სახალხო ლაშქრის დახმარება, უხეში და სასტიკიც ჩანს, მაგრამ განა ეს მანევრები უფრო უხეში და სასტიკი იყო, ვიდრე ნატოს დახმარებით კოსოვოს ძალისმიერი მეთოდებით მოწყვეტა სერბეთისგან, ან ალიანსის წევრის — თურქეთის მოქმედება, რომელმაც ჩრდილოეთი კვიპროსი ქვეყნის ძირითად ნაწილს მოსწყვიტა? ამის შემდეგ გასაგები ხდება, რომ რუსეთს უფრო სერიოზული საფუძველი აქვს ისეთი მოქმედებისთვის, რომლებიც, უწინარესად, გამოწვეულია მისი უსაფრთხოების დაცვით»**

გონიერი დიდი სახელმწიფოები პატივისცემით ეპყრობიან სხვა დიდი სახელმწიფოების უსაფრთხოების ზონებსა და გავლენის სფეროებს.

თუ ალიანსი, მაგალითად, ჩინეთის ხელმძღვანელობით კარიბის ზღვის აუზში ან სამხრეთ ამერიკაში თავისი წევრის დასახმარებლად სამხედრო ძალებს განალაგებს, აშშ და ნატო ამ მოქმედებას განსაკუთრებული ხიფათის შემცველად ჩათვლიდნენ, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ ბალტიისპირეთსა და შავ ზღვაზე ნატოს მოქმედებაზე რუსეთის რეაქცია სხვანაირი უნდა იყოს. ამჟამინდელი პოლიტიკური კურსი დაზღვეული არ არის ტრაგიკული ინციდენტებისგან, რომლებიც შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოხდეს“, — ასკვნის ტედ გალენ კარპეტერი.

# ევროკავშირის ლიდერები Brexit-ის პერსპექტივას შეურიგდნენ

## «ალბათობა იმისა, რომ ყველაფერი უფრო ცუდად დასრულდება, ვიდრე კარგად, ძალიან დიდია»



**ევროპელი ლიდერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირისთვის სასარგებლო იქნება, — იუწყება The Daily Telegraph-ი.**

ბრიტანული გაზეთის კორესპონდენტები ესაუბრნენ ევროკავშირის მაღალჩინოსან დიპლომატებს, რომელთა განცხადებების თანახმად, ევროკავშირის ლიდერები შეურიგდნენ „ბრექსიტის“ (ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან) პერსპექტივას და ლონდონთან დათმობაზე აღარ წავლენ. ევროპელი მაღალჩინოსნების აზრით, ევროკავშირი უფრო ძლიერი გახდება, თუკი მისი ყველაზე ჭირვეული წევრი, 23 ივნისს დაგეგმილი რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, ევროკავშირის რიგებს დატოვებს.

გაზეთს მოჰყავს ევროპელი მაღალჩინოსანი დიპლომატის სიტყვები, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. **„რეფერენდუმი უკვე ჩატარდა დანიაში, ოქტომბერში გაიმართება — იტალიაში. ეს ყველაფერი ეგზისტენციური კრიზისებითაა გამოწვეული და საკვანძო საკითხებს ეხება. ამაში სიახლე არაფერია,** — ამბობს დიპლომატი, — **ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და ბრიტანეთი დარჩება ევროკავშირის შემადგენლობაში, მაგრამ ჩვენ ცუდსაც ველოდებით. ალბათობა იმისა, რომ ყველაფერი უფრო ცუდად დასრულდება, ვიდრე კარგად, ძალიან დიდია“.**

ევროკომისიის თავმჯდომარე **ჟან-კლოდ იუნკერი** ყოველდღიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებთან, მსჯელობს „ბრექსიტის“ სავარაუდო შედეგებზე.

გამოცემის წყარო ამბობს, რომ „ბრექსიტის“ შემთხვევაში ევროკავშირი თავის რიგებში ახალ წევრებს მიიღებს. „ევროკავშირი შექმნის თავის ახალ იდენტურობას და თანამშრომლობის გაღრმავებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სავალუტო კავშირი და თავდაცვა, წინ ივლის. ბრიუსელში ბევრს მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ ჭირვეული მოთამაშე ზღურბლს მიღმა აღმოჩნდება. ევროპისთვის ბრიტანეთის წევრობა 50%-ით სასარგებლოა, 50%-ით კი — მავნე“, — ამბობს ევროკავშირის მაღალჩინოსანი, რომლის ვინაობასაც ბრიტანული გამოცემა არ ასაჯაროებს.

THE DAILY TELEGRAPH

# შვეიცარიამ ევროკავშირში შესვლა გადაიფიქრა

**შვეიცარიის პარლამენტის ზედა პალატამ კენჭი უყარა ევროკავშირში გაწევრების შესახებ ჯერ კიდევ 1992 წელს შეტანილი განაცხადის გამოწვევას.**

შვეიცარიის კანტონების საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა განაცხადის გამოწვევას. ევროკავშირში შვეიცარიის გაწევრების წინააღმდეგ ხმა მისცა 27 დეპუტატმა, 13 — წინააღმდეგი იყო. ამით ზედა პალატამ დაამტკიცა გადაწყვეტილება, რომელიც შვეიცარიის ეროვნულმა საბჭომ მიიღო.

გადაწყვეტილებას სიმბოლური ხასიათი აქვს, რადგან ევროკავშირში გაწევრების შესახებ განაცხადმა ძალა დაკარგა რეფერენდუმის შემდეგ, რომლის შედეგების მიხედვით შვეიცარიის მოქალაქეების უმრავლესობამ უარი თქვა თავისი ქვეყნის შესვლაზე ევროზონაში.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკვადორში ცსს-ს ძირგამომთხრელი ოპერაციების მხილება, უშუალო შემსრულებელთა მსხვილი პლანით ჩვენება ტელეეკრანზე, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის კატასტროფული შედეგების ანალიზი მიუთითებს, რომ ეკვადორის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და უსაფრთხოების სამსახურმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს.**

# აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვოს რეზიდენტი, მეტსახელად SWAT-ი და სხვები

**ეკვადორის პარლამენტს ამშვენებს ცნობილი ეკვადორელი მხატვრის — ოსვალდო გუაიასამინის ფრესკა „სამშობლოს ხატება“. მასზე გამოსახულია კბილებდაკრეჭილი ჩაფხუტიანი თავის ქალაც აბრევიატურით — CIA (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო). ფრესკის გახსნისას, 1988 წლის აგვისტოში, გუაიასამინმა განმარტა, რომ ამ თავის ქალით გამოსახა არა მხოლოდ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან მომდინარე, არამედ ეკვადორისკენ მიმართული ყველა საფრთხე. და „ცსს თავის ქალა“, უკვე თითქმის სამი ათეული წელიწადია, ბოროტი ღიმილით უმზერს დეპუტატებს.**




ოსვალდო გუაიასამინის ფრესკაზე „სამშობლოს ხატება“, რომელიც ეკვადორის პარლამენტს ამშვენებს, გამოსახულია ჩაფხუტიანი თავის ქალა წარწერით CIA — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო



ეკვადორის პრეზიდენტი რაფაელ კორეა

ეკვადორში ამერიკული სპეცსამსახურების საქმიანობაზე ბევრი რამ არის ცნობილი. ამერიკელი **ფილიპ ეიჯი** წიგნში „ცსს-ს კულისებს მიღმა“ წერს: **„სამი წლის განმავლობაში ეკვადორში ორი ხელისუფლება დავამხეთ. ჩვენ მოვაწყვეთ სამხედრო გადატრიალება 1962-ში, კიდევ ერთი — 1963 წელს... დროის ნებისმიერ მომენტში ეკვადორში ჩვენი აგენტები იყვნენ, სულ ცოტა, ერთი ვიცეპრეზიდენტი, პარლამენტის ორივე პალატის ხელმძღვანელები, რამდენიმე მინისტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. ჩვენ ვატარებდით მასშტაბურ პროპაგანდისტულ ოპერაციებს. მაგალითად, ერთ-ერთი წამყვანი ეკვადორელი ჟურნალისტი გუსტავო სალგადო ჩვენთვის მუშაობდა და თავისი ხელმოწერით აქვეყნებდა ჩვენს მასალებს. ჩვენი ამოცანა იყო ქვეყანაში შიშისა და ისტერიის შექმნა** (თუ გავიხსენებთ ბოლო წლებში ქართველ ხალხზე გამარჯვებული მედიასაშუალებების გადაცემებს, ნათლად დავინახავთ მსგავს ხელწერას, — რედ.)“. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კვალი ათობით ეპიზოდში ჩანს, როდესაც ეკვადორში თავიდან იცილებდნენ აშშ-ისთვის სახიფათო პოლიტიკოსებს. 1981 წლის მაისში ლოხაში, ეკვადორის მთიან ნაწილში, კატასტროფა განიცადა თვითმფრინავმა, რომლითაც პრეზიდენტი **ხაიმე როლდოსი** მგზავრობდა. აშშ-ის პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი** ეკვადორისადმი მტრულად იყო განწყობილი: როლდოსი რეიგანის ინაუგურაციაზე მიიწვიეს, მაგრამ მან უარი განაცხადა დასწრებაზე, ამასთანავე, ეკვადორის პრეზიდენტი მეგობრობდა ნიკარაგუელ სანდინისტებთან და კუბის მთავრობის წარმომადგენლებთან; სოლიდარობას უცხადებდა სალვადორის რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრონტს, რომელიც სამხედრო დიქტატურას უპირისპირდებოდა. როლდოსს განზრახული ჰქონდა ეკვადორის სანავთობე დარგის რეორგანიზაცია, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ტრანსნაციონალური სანავთობე კორპორაციების ინტერესებს. როლდოსის მიმართ ბევრი პრეტენზია გაჩნდა და... მოიცილეს.

ხელისუფლების სათავეში **რაფაელ კორეას** მოსვლის შემდეგ ცსს-მ გააააქტიურა მუშაობა ეკვადორში. ცოტა ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში ლაფაელ კორეამ მოყვა, მისი მთავრობის მუშაობის პირველვე დღეებში როგორ მოითხოვა მასთან შეხვედრა ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა, რომელიც წარუდგა, როგორც „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალური წარმომადგენელი“ ეკვადორში, და ხაზი გაუსვა, რომ მოქმედებს აშშ-ის ელჩისგან დამოუკიდებლად. როგორც კორეამ შენიშნა, იმხანად „ამერიკელებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ შეეძლოთ ჩვენი მთავრობის დამორჩილება“.

ქვეყანაში ამერიკული სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობის მამხილებელი განცხადებების საბაბი კორეასთვის იყო ცსს-ს აგენტის, მეტსახელად **SWAT**-ის საქმე. 1984-2007 წლებში ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ცსს-ს არალეგალურ რეზიდენტად მოქმედებდა ვინმე **ლეილა ჰადად პერესი,** წარმოშობით ლიბანელი. საფარველად, თავდაპირველად, იყენებდა სილამაზის სალონს, შემდეგ — ხალიჩების მაღაზიას. მისი ნამდვილი სახელია **სანია ელიას საიტოუმ ელ მაიეკი.** ქალი თავდაპირველად რიგით აგენტად მუშაობდა, შემდეგ არალეგალური რეზიდენტი გახდა. Swat-ის მიზანი იყო შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მაღალჩინოსანი ოფიცრების გადაბირება. მათ ინტერესს თანამშრომლობისადმი აღვივებდა დოლარებში გამოსახული ყოველთვიური „ჰონორარი“, რომელიც ბევრად სჭარბობდა ოფიციალურ ჯამაგირს, და კარიერის კიბეზე აღმასვლის გარანტიები.

**SWAT-ის ძალისხმევით ეკვადორის სპეცსამსახურებისა და შეიარაღებული ძალების საკვანძო თანამდებობებზე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ინიშნებოდნენ.**

„არალეგალური“ რეზიდენტურის მიზანი იყო წინაღობების შექმნა ეკვადორისთვის, რათა ქვეყანა არ ჩარეულიყო კონტინენტის ინტეგრაციულ პროექტებში და არ განემტკიცებინა სამოკავშირეო ურთიერთობები ვენესუელასთან. აგრეთვე, მაკომპრომეტირებელი კამპანიის განხორციელება ეკვადორისადმი მეგობრულად განწყობილი ლიდერების წინააღმდეგ. ესენი იყვნენ ვენესუელის, ბრაზილიის, არგენტინისა და ბოლივიის პრეზიდენტები — **უგო ჩავესი, ინასიო ლულა და სილვა, ნესტორ კირშნერი და ევო მორალესი.**

**SWAT-ის აგენტური ქსელი ძალისხმევას არ იშურებდა, რათა არ დაეშვა ქალაქ მანტაში აშშ-ის სამხედრო ბაზის დახურვა.** 2006 წელს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას კორეა არ მალავდა თავის გეგმებს აშშ-ის სამხედრო ბაზის მიმართ. ყველაფრის მიუხედავად, ცსს-ს შტაბ-ბინაში იმედი ჰქონდათ ლეილა ჰადად პერესის ოპერატიული შესაძლებლობების და მიაჩნდათ, რომ ის შეძლებდა პრეზიდენტზე ზემოქმედების გზების მოძებნას. ოპერაციაში ჩართული იქნა ეკვადორში მოქმედი ცსს-სა და სამხედრო დაზვერვის მთელი აგენტურული აპარატი — პოლიტიკოსები, პოლიციის მაღალჩინოსნები, სამხედროები, ჟურნალისტები, პროფკავშირელი და სტუდენტი აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ ოპერაცია ჩაფლავდა. **როგორც კორეამ განაცხადა, SWAT-ი „უხეშად მოქმედებდა“. „ცხადი იყო, რომ ეს ქალი ეკვადორში ცსს-ს ხელმძღვანელი იყო“. შედეგად, ეკვადორის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, SWAT-ი ქვეყნიდან გაეძევებინათ. 2009 წლის ივლისში კი დაიხურა აშშ-ის სამხედრო ბაზა მანტაში.**

აშშ-ის ელჩი **ტოდ ჩაპმენი** შეეცადა, უარეყო კავშირის არსებობა ცსს-სა და ეკვადორელ პოლიტიკოსებს შორის, მაგრამ პრეზიდენტმა კორეამ ირონიით ურჩია ამერიკის ელჩს, „ცოტა მეტი შეეტყო იმის შესახებ, როგორ მოქმედებენ ეს სამსახურები, თუკი მათ მოქმედებაზე არაფერი იცის“.

ჟურნალისტებთან ცოტა ხნის წინათ გამართულ შეხვედრაზე კორეამ მადლობა გადაუხადა ტელეარხ TeleSUR-ს ეკვადორში ცსს-ს ძირგამომთხრელი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენებისთვის. მისი თქმით, ეკვადორის მთავრობას ხელთ აქვს ის მონაცემები, რომლებზეც ლაპარაკია ფილმში. ემთხვევა იმ პირების მონაცემებიც, რომლებიც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობენ.

კორეამ აღნიშნა, რომ ეკვადორის ძალოვან სტრუქტურებში წესრიგის დამყარებას საფუძველი დაუდო 2008 წელს ანგოსტურაში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც ეკვადორის ტერიტორიას კოლუმბიის შეიარაღებულმა ძალებმა შეუტიეს (იმხანად კოლუმბიას ალვარო ურიბე მართავდა).

რაფაელ კორეა დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე ამოძირკვული არ არის. ზოგიერთი ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ეკვადორის ხელისუფლების წინააღმდეგ ცსს-ს შეთქმულებას სათავეში ჩაუდგება ამ ქვეყნის სპეცსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი **მარიო პასმინიო.** ის რაფაელ კორეამ სტრატეგიული ინფორმაციის დამალვაში დაადანაშაულა, რომელიც კოლუმბიის ტერიტორიიდან ეკვადორში განლაგებული კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების ბანაკზე თავდასხმას ეხებოდა. ეს თავდასხმა თავიდან ბოლომდე დაგეგმილი იყო ამერიკის ცსს-სა და სამხედრო დაზვერვის მიერ.

**ამ მხილებების შედეგად ეკვადორის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კომპრომეტირებული სტრუქტურები დაშალეს და შექმნეს დაზვერვის ნაციონალური სამდივნო, განაახლეს საკადრო შემადგენლობა და სპეციალური მოწყობილობები. ამ ყველაფერმა ეკვადორის ხელისუფლებას საშუალება მისცა, თვალყური ედევნებინა ცსს-ს მიმართ „ანგარიშვალდებული“ ორგანიზაციებისთვის, ისეთისთვის, როგორიც არის USAID-ი ან ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის — NED-ი, რომელთა მეშვეობითაც ფინანსდება მეხუთე კოლონა ეკვადორში.** შედეგად დროულად გამოავლინეს, რომ ცსს-ს ხელმძღვანელობამ ეკვადორში აგენტურული ქსელის აღსადგენად მიავლინა **კარენ ჰოლიჰანი** — ამერიკულ-გერმანული წარმოშობის ეკვადორელი ქალი. ოპერაციის ჩასატარებლად დიდძალი თანხა გამოყვეს, რათა ძირგამომთხრელ საქმიანობაში ჩაერთოთ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, პროფკავშირების, საზოგადო მოღვაწეებისა და ახალგაზრდა აქტივისტების ახალი კადრები. ჰოლიჰანის თანაშემწეთა შორის ფიგურირებს **ფერნანდო ვილიავისენსიო,** რომელიც თავის თავს ნავთობის ექსპერტს უწოდებს, მაგრამ მისი ნამდვილი საქმიანობაა ცილისმწამებლური მოსაზრებების გავრცელება პრეზიდენტ კორეაზე. ვილიავისენსიოს 18 თვით პატიმრობა მიუსაჯეს ცილისწამებისთვის, მაგრამ ქვეყნიდან გაქცევა მოასწრო და ახლა ინტერნეტში სერიებად ავრცელებს ცსს-ს მიერ მომზადებულ ინფორმაციას კორეის მთავრობის კორუფციული საქმიანობის შესახებ.

მეორე პირი, რომელთანაც ჰოლიჰანი აქტიურად თანამშრომლობს, არის **სესარ რიკაურტე,** ხელმძღვანელი კომერციული ორგანიზაციისა Fundamedios-ი, რომელიც აკვირდება „მედიის თავისუფლების საფრთხეებს“ ეკვადორში, ამ საქმეში კი ხელისუფლების კრიტიკოსებს იყენებს.

TeleSUR-ის დოკუმენტურ ფილმში ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობას“. ამ ორგანიზაციამ ბოლო ორ წელიწადში მხოლოდ NED-ისგან „მიმდინარე ხარჯებისთვის“ 265 ათასი დოლარი მიიღო. ის ეწევა ე. წ. ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელსაც ცსს-ს სპეციალისტები ამონტაჟებენ ქვეყნიდან გაქცეულთა მონათხრობისა და ყალბი საფინანსო დოკუმენტების მიხედვით.

მთავარია, ცილი დასწამო, ტალახი ესროლო, შემდეგ კი „მხილების ობიექტებმა“ თვითონ იმართლონ თავი.

ეკვადორელმა **მარიო რამოსმა**, სტრატეგიული კვლევების ანდების ცენტრის დირექტორმა, შეისწავლა რა აშშ-ის ოპერაციები ლათინური ამერიკის ქვეყნების იმ მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ ვაშინგტონის პოლიტიკური კურსის გატარებაზე, TeleSUR-ის ეთერში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ცსს „თავის ძირგამომთხრელ საქმიანობაში ითვალისწინებს თითოეული ქვეყნის სპეციფიკას და ირჩევს შესაბამის სტრატეგიას დესტაბილიზაციისა და ეკონომიკური, საინფორმაციო, ფსიქოლოგიური ომებისათვის“.

რამოსის აზრით, ძირგამომთხრელი ოპერაციების წინააღმდეგ საბრძოლველად ლათინური ამერიკის ქვეყნებმა უნდა შექმნან „თავდაცვის ინტეგრალური სტრატეგია“, რომელმაც უნდა მოიცვას დიპლომატიური, სამხედრო და საფინანსო სფეროები და ამ მიმართულებებით ითანამშრომლოს ქვეყნების დაზვერვებთან.

ეკვადორში ცსს-ს ძირგამომთხრელი ოპერაციების მხილება, უშუალო შემსრულებელთა მსხვილი პლანით ჩვენება ტელეეკრანზე, ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის კატასტროფული შედეგების ანალიზი მიუთითებს, რომ ეკვადორის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და უსაფრთხოების სამსახურმა სათანადო დასკვნები გამოიტანეს.

Fondsk.ru

„ის, რაც ახლა არ უნდა გავაკეთოთ, არის საერთაშორისო ვითარების დაძაბვა იარაღის ჟღარუნითა და სამხედრო შეტაკებებით. ვინც ფიქრობს, რომ ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრებზე ტანკების აღლუმები უსაფრთხოებას განამტკიცებს, ძალიან ცდება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვლადიმერ პუტინი: რუსეთი აუცილებლად უპასუხებს დასავლეთის ნაბიჯებს

**„რუსეთი იძულებული იქნება, უპასუხოს დასავლეთის ნაბიჯებს, მიუხედავად იმისა, რომ მას დაადანაშაულებენ აგრესიულ საქციელში. ჩვენ აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ სტრატეგიული ბალანსი“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სანკტ-პეტერბურგში გამართულ საიუბილეო, XX საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.**

„ზუსტად ვიცი, რომ იძულებული ვიქნებით, ვუპასუხოთ. ოღონდ წინასწარ ვიცი, რომ დაგვადანაშაულებენ აგრესიულ საქციელში, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ პასუხი იქნება. მაგრამ ნათელია, რომ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ უსაფრთხოება, და არა მხოლოდ ჩვენი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნება. სწორედ სტრატეგიული ბალანსი უზრუნველყოფდა გარანტირებულ მშვიდობას პლანეტაზე“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.



## შტაინმაიერმა აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს სწავლება გააკრიტიკა

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა ბალტიისპირეთში მიმდინარე საერთაშორისო სწავლება Saber Strike გააკრიტიკა და ნატოს რუსეთთან დიალოგისკენ მოუწოდა.**

**„ის, რაც ახლა არ უნდა გავაკეთოთ, არის საერთაშორისო ვითარების დაძაბვა იარაღის ჟღარუნითა და სამხედრო შეტაკებებით. ვინც ფიქრობს, რომ ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრებზე ტანკების აღლუმები უსაფრთხოებას განამტკიცებს, ძალიან ცდება. მომაკვდინებლად სახიფათოა მზერის მხოლოდ სამხედრო ასპექტზე გადატანა და ხსნის ძებნა დაშინების პოლიტიკაში. თავდაცვისთვის მზადების პარალელურად უნდა დაიწყოს მზადება დიალოგისა და თანამშრომლობისთვის“,** — განაცხადა გფრ-ის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

სწავლება Saber Strire-ს ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდლობა ატარებს. მასში 13 ქვეყნის 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

## პოლიციელმა საფრანგეთის პრეზიდენტსა და პრემიერს ხელი არ ჩამოართვა

**საფრანგეთში 13 ივნისს ტერორისტის ხელით დაღუპული პოლიციელების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის უსიამოვნო ინციდენტი მოხდა.**




პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** ხელის ჩამორთმევით ჩაუარა სამართალდამცველებს. ერთ-ერთმა პოლიციელმა კი პრეზიდენტის გამოწვდილ ხელს ყურადღება არ მიაქცია და გაუნძრევლად იდგა. ოფიცერმა ხელი არ ჩამოართვა, აგრეთვე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს — მანუელ ვალსს.

სამართალდამცველს, როგორც ჩანს, სურდა, ეჩვენებინა ხელისუფლების პირველი პირებისთვის, რომ სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი პოლიციელი ცოლ-ქმრის სასტიკ მკვლელობაზე.

შეგახსენებთ: 13 ივნისის ღამეს 25 წლის ლაროსი აბალამ მოკლა პოლიციელი, მისი ცოლი და შვილი კი მძევლად აიყვანა. ბოლოს კი ცოცხალი მხოლოდ შვილი დარჩა — ბოროტმოქმედმა სპეცდანიშნულების რაზმის იერიშის დაწყებისთანავე სიცოცხლეს გამოასალმა ქალი, რომელიც, აგრეთვე, პოლიციელი იყო.

## მიტროპოლიტი ამბროსი: «გამოფხიზლდით! საბერძნეთი იღუპება!»

**ყოველდღე აშკარა ხდება, რომ „მიგრანტები“, „ლტოლვილები“, „არალეგალები“ საბერძნეთის დამპყრობლები არიან, — ნათქვამია კალავრიტას მიტროპოლიტ ამბროსის მიმართვაში ბერძენი ხალხისადმი.**

„პოლიტიკური სისტემა მათ იღებს, უქმნის სასიკეთო პირობებს, არავინ არაფერზე წუხს... მმართველი პარტია სირიზას ერთ-ერთმა მინისტრმა აშკარა სისულელე თქვა: „მიგრანტების დახმარებით საბერძნეთის დემოგრაფიული პრობლემა გადაწყდება“.

როგორც ხედავთ, მთავრობა ქვეყნის დამპყრობლებს იცავს. გადმოსახლებულმა დამპყრობლებმა კი უკვე დაიწყეს თავიანთი დამანგრეველი საქმიანობა. ისინი ხატებს ხსნიან ტაძრების კედლებიდან და კოცონს ანთებენ გასათბობად.

პირეოსის პორტში მიტროპოლიტ სერაფიმეს მართლმადიდებლური ჯვრის ჩამოხსნაც კი მოსთხოვეს. ქალაქ კავალაში არალეგალმა მუსლიმანმა მიგრანტებმა სკოლის კედლიდან ღვთისმშობლის ხატი ჩამოხსნეს და მოითხოვეს, ეკლესიაში ზარი არ დაერეკათ.

სალონიკში მუსლიმანებმა შემდეგი შინაარსის ბროშურები დაარიგეს: **„ბერძნებო, ირწმუნეთ მუჰამედ წინასწარმეტყველის სიტყვები იმისათვის, რომ გადარჩეთ. ომმა თქვენს ქვეყანაშიც შემოაღწია.**



**სისხლი მდინარეებად წამოვა. ხელმოწერა: ალაჰის მეომრები“.**

საბერძნეთის სახელმწიფო ტელევიზიამ უკვე არაბულ ენაზე მოამზადა ახალი ამბების გამოშვება.

„გაიღვიძეთ! გამოფხილდით ლეთარგიული ძილისგან! ნახეთ, რა ხდება თქვენ გარშემო. საბერძნეთი იღუპება, ნელ-ნელა ვკვდებით. იღუპება ჩვენი მართლმადიდებლობა და ნაციონალური იდენტობა. ნუთუ უბრძოლველად დავნებდებით? დაფიქრდით!“

## ამერიკელმა მამაკაცმა ცოლი და ოთხი შვილი მოკლა და ეს შემზარავი დანაშაული ვიდეოზე გადაიღო

**ნიუ მექსიკის შტატში (აშშ) მამაკაცმა ცოლი და ოთხი ქალიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა, შემდეგ კი მიიმალა.**

ადგილობრივი პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ხუან დავიდ ვილიეგას ერნანდესმა სიცოცხლეს გამოასალმა თავისი 34 წლის ცოლი და 3, 7, 11 და 14 წლის გოგონები. ეს ყველაფერი ვიდეოზე გადაიღო, შემდეგ კი




ავტომობილში ჩაჯდა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა.

Associated Press-ი იუწყება, რომ დაღუპულთა სხეულები იპოვა ნათესავმა, რომელიც სახლში შემთხვევით მივიდა.




## აშშ-ში ზიკას ვირუსით გამოწვეული დეფექტებით სამი ბავშვი დაიბადა

**აშშ-ში სამი ბავშვი უკურნებელი ზიკას ვირუსით გამოწვეული დეფექტებით დაიბადა. ეს ვირუსი იწვევს ისეთ გადახრებს, როგორიცაა მიკროცეფალია, თავის ტვინში ჭარბი სითხე, თვალების არანორმალური ზომა და სხვ.** ამერიკელი ექიმების თქმით, ზიკას ვირუსით დაავადებულმა რამდენიმე ფეხმძიმე ქალმა მკვდარი ბავშვი შობა. მათივე ცნობით, ამჟამად ამერიკაში ზიკას ვირუსით 200 ქალია ინფიცირებული.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2008 წლის 26 აგვისტოს, როცა რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო, ნავთობის ფასი ისე სწრაფად დაეშვა მიწისკენ, როგორც თვითმფრინავი პიკირებისას. ეს ნიშნავდა, რომ მისი შესყიდვა გაძვირების იმედით არ ღირდა, უმჯობესი იყო გაყიდვა, რადგან კიდევ უფრო გაიაფება რეალური ჩანდა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-22 (330-351)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

**ნავთობის მარაგის ოდენობით მეცხრე ადგილზეა ლიბია, მეათეზე ნიგერია. ორივე ქვეყანა ფრიად სპეციფიკურია.**

**ლიბიის სოციალისტური სახალხო არაბული ჯამაჰირია** (ჯამაჰირია სახალხო მასების ხელისუფლებას ნიშნავს) არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ ზედემოკრატიულ სახელმწიფოს მაგალითად იყო წარმოდგენილი. საკმარისზე მეტი დემოკრატიით. კარგა ხნის წინათ. სრულად და საყოველთაოდ. სახელმწიფო, მთავრობა და პარტიები ოფიციალურად იყო გაუქმებული. საკანონმდებლო ორგანოდ უმაღლესი სახალხო კონგრესი ითვლებოდა. მთავრობის ფუნქციებს უმაღლესი სახალხო კომიტეტი ასრულებდა, რომელიც ბოლო პერიოდში **მუამარ კადაფიმ** გააუქმა. ქვეყნის ლიდერმა ისიც კი გამოაცხადა, რომ თითოეული ლიბიელი ნავთობის გაყიდვიდან შემოსული მოგების თავის წილს ნაღდი ფულით მიიღებდა. არც თუ ბევრს, მაგრამ სულზე ათას დოლარს აუცილებლად.

მრავალჭირგადახდილი ქვეყანაა ლიბია **1912** წლამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, **1912** წლიდან იტალიის კოლონია იყო, **1951** წლიდან დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, რომელსაც მეფე მართავდა. ნავთობის ექსპორტი **1961** წელს დაიწყო. როგორც წესი, აქედან მიღებული ფული თითქმის სრულად რჩებოდა საზღვარგარეთ, რადგან „შავ ოქროს" მოიპოვებდა „ეფექტიანი დასავლური მონოპოლიები".

**1969** წელს მოხდა რევოლუცია და ხელისუფლების სათავეში მოვიდა მუამარ კადაფი, რომელმაც დაამყარა საყოველთაო და სრული დემოკრატია ყველა სახელმწიფო ორგანოს გაუქმების გზით. ნავთობგიგანტები თავიდანვე შეავიწროვეს ნავთობის მოპოვება ლიბიის სახელმწიფო ეროვნული ნავთობკომპანიის ხელში გადავიდა.

**და აქ მოხდა ის, რაც ამ დარგში ყველგან და ყოველთვის ხდება: ნავთობდოლარების ნაკადულის დაწრეტასთან ერთად მინიმუმამდე დაეცა „ცივილიზებული სამყაროს" სიმპათია ამ ქვეყნის მიმართ. კადაფიმ ნავთობმომპოვებელი დარგის ნაციონალიზაცია გამოაცხადა, რითაც ხელი მოაწერა საკუთარ სასიკვდილო განაჩენს.**

ბოლოს და ბოლოს, ასეც მოხდა: არაბეთის გაზაფხულის ტალღაზე არნახულად შეურაცხყოფილი კადაფი საშინელი წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს მისმა ნალოლიავებმა თანამემამულეებმა.

ვისაც გნებავთ, ჰკითხეთ, რომელი სახელმწიფოებია მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ნავთობმომპოვებლები?

გიპასუხებენ, რომ ასეთებად მიიჩნევენ საუდის არაბეთს, ირანსა და ერაყს, არ დაივიწყებენ ნორვეგიასა და რუსეთს, დაასახელებენ ვენესუელასა და Qქუვეითს, ბაჰრეინსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებს, აი **ქვეყანას, რომელსაც ნავთობის მოპოვებაში მეშვიდე ადგილი უკავია (მარაგის ოდენობით მეათე), ვერ გაიხსენებენ.**

**ეს ქვეყანაა ბრიტანეთის ყოფილი კოლონია ფედერაციული რესპუბლიკა ნიგერია.** აფრიკის ყველაზე უფრო ხალხმრავალი ქვეყანა, რომელშიც 115 მილიონი ადამიანი სახლობს. ესენი არიან მაჰმადიანები, ქრისტიანები, ტრადიციული სარწმუნოების მიმდევარნი.

ქვეყნის ეთნიკური პალიტრა მრავალფეროვანია. ევროპელებმა წიგნებიდან და ფილმებიდან იციან, რომ აქ ცხოვრობენ პიგმეები, მასაები, ბუშმენები და ჰოტენტოტები. არადა, აქ არიან იბოები (ან იგბოები), იორუბები, ჰაუსები, ედოები, იბიბიოები და ა.შ. და ა.შ. ყველა ეს ეროვნება და ტომი დასახლებულია მიწაზე, რომლის წიაღში, სხვადასხვა მონაცემით, 25-დან 35 მილიარდამდე ბარელი ნავთობია ჯერ კიდევ ხელუხლებელი. **ნავთობს მოიპოვებს ნიგერიის ეროვნული ნავთობკომპანია, რომელიც აკონტროლებს და მსოფლიო გიგანტებთან ერთად წარმართავს ნავთობმოპოვების პროცესს.**

ნიგერია მყარად ზის „ნავთობის ნემსზე": „შავი ოქროს" მოპოვება ქვეყნის მშპ-ს 20 პროცენტს შეადგენს და უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსავლების 80 პროცენტს. მაგრამ სად მიდის და რაზე იხარჯება თვით ბიუჯეტი, ამის თქმა მეტად რთულია.

საქმე ის არის, რომ ნიგერიას განსაკუთრებული თავისებურება გააჩნია — 1963 წლიდან მოკლე შესვენებებით მართავენ სამხედრო დიქტატორები. ამ ქვეყნის თავისუფალი განვითარების წლების უმეტესობა სამხედრო რეჟიმების პირობებში მიმდინარეობდა. ხოლო თითოეულ „წესიერ" აფრიკელ დიქტატორს აუცილებლად სჭირდება პენსია...

**თუ, საერთოდ, აფრიკისთვის სიცოცხლე ნიშნავს წყალს, ნიგერიისთვის მთავარია ნავთობი. ნიგერიის „შავი ოქროს" ნაკადი მიედინება არა აბსტრაქტულ „მსოფლიო ბაზარზე", არამედ კონკრეტულ ქვეყნებში. მხოლოდ გარეშე მაყურებელს ეჩვენება, რომ ნავთობი მსოფლიოში სრულიად მოუწესრიგებლად იყიდება და ყველა ყველასგან ყიდულობს, სინამდვილეში მყიდველები და გამყიდველები მჭიდროდ არიან**



**ერთმანეთთან დაკავშირებულები და იშვიათად იცვლებიან.** ნიგერიაც ამ დადგენილ წესს მიჰყვება. სწორედ ეს ქვეყანა არის ნავთობის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი დასავლეთ ევროპისთვის, ხოლო აშშ-ისთვის ნედლი ნავთობის მიმწოდებელთა შორის მეხუთე ადგილი უკავია: **ნიგერიული ნავთობის 10 პროცენტი გრაფიკის ზუსტი დაცვით ამერიკაში იგზავნება.**

ნიგერია და ამერიკის შეერთებული შტატები ორი განსხვავებული ქვეყანა, დემოკრატიის განსხვავებული დონეებით. ნიგერიაში დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებს ხშირად კლავენ, ისე, როგორც ფილმებში სიცილიის მაფიის შესახებ. ჩაუქროლებს მოტოციკლისტი მდიდრულ მანქანას, ამოიღებს პისტოლეტს, ესვრის და მოკლავს ნავთობის რომელიმე მსხვილი მონოპოლიის ადგილობრივი ფილიალის დირექტორს. ნიგერიაში არიან ამბოხებულებიც, პარტიზანები. ისინი იტაცებენ ადამიანებს და ითხოვენ გამოსასყიდს. ხელისუფლება ებრძვის მათ. მაგრამ სურათი უფრო და უფრო მძიმდება. აქ ჩვეულებრივი რამ არის „სასიკვდილო განაჩენი, წამება, პოლიციელების მიერ ადამიანების დახვრეტა გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, წინასაარჩევნოდ მოკლული პოლიტიკოსები, ძალადობა ქალებზე, უფლებადამცველების და გაზეთების რედაქტორების მკვლელობა", იუწყება ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემა.

**ლიბიაში კი სიმშვიდე სუფევდა. დასავლეთის ნავთობკომპანიების ხელმძღვანელებს არ კლავდნენ. იმიტომ, რომ ისინი იქ არ იყვნენ. მაგრამ გაზეთები მიიჩნევდნენ, რომ ლიბია ტოტალიტარული ქვეყანაა, დიქტატორული, ნიგერია კი არაჩვეულებრივად კარგია, სამოთხეა აფრიკის.**

ორმაგი სტანდარტი შეფასების?

დიახაც. რეალობა კი საპირისპიროა.

სწორედ იმიტომ, რომ ერთ ქვეყანას აკონტროლებს აშშ, იქ კლავენ დასავლელ მენავთობეებს. მეორეში, ფეხქვეშ რომ არ ჰყავდათ გაგდებული, სიმშვიდეა.

ასეთია ორმაგი სტანდარტების ლოგიკა.

ვინ ვინ არის, ამის გარკვევა იოლია...

ნორმალური გამყიდველი ყოველთვის დაინტერესებულია საქონლის გაძვირებით. საღად მოაზროვნე ვაჭარი დაინტერესებული არ იქნება თავისი საქონლის ფასის შემცირებით, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მოთხოვნის გაზრდას. გონიერი კაცი მზადაა, შეამციროს მოთხოვნა, რათა გააძვიროს თავისი საქონელი. რას აკეთებდა ოპეკის წევრი ორი ქვეყანა ლიბია და ნიგერია?

„ლიბიის რევოლუციის ლიდერი მუამარ კადაფი არ გამორიცხავს, რომ ტრიპოლის შეუძლია მკვეთრად შეამციროს, ან, საერთოდ, უარი თქვას ნავთობის ექსპორტზე იმ „აუტანლად დაბალი ფასების" გამო, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე დადგინდა... კადაფიმ განაცხადა, რომ ტრიპოლის შეუძლია უარი თქვას ნავთობის გაყიდვაზე დაბალ ფასად, რომელიც ბოლო ხანს დამკვიდრდა და შეაჩეროს მისი ექსპორტი", წერდა ლიბიის იმდროინდელი პრესა.

„როგორც გაზეთი აღნიშნავს, ოპეკის წევრი ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ ნავთობის მოპოვების მორიგი, დიდი მოცულობით შემცირების საკითხზე. მაგალითად, ნიგერიამ განაცხადა, რომ არ სურს ნავთობის წარმოების შემცირება, რადგან არსებულ რთულ ვითარებაში შეიძლება შეუმცირდეს სავალუტო შემოსავალი.

ადვილი მისახვედრია, რომ **აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის (რომელიც ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს) მფლობელებს მსოფლიოს ნავთობსაბადოების დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება კი არ სურთ, არამედ ყველაფრის, გამონაკლისის გარეშე!**

სწორედ მაშინ მათი ჰეგემონია ჩვენს პლანეტაზე იქნება სრული და განუყოფელი. ნებისმიერი ზესახელმწიფოს მოშთობა იქნება შესაძლებელი, თუ გადაუკეტავ ფინანსურ ნაკადს და ნავთობის ონკანს.

სწორედ ასეთი, ჩვენი პლანეტისათვის უსაშინელესი მონოპოლიის შესაქმნელად მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა.

მაგრამ **ამერიკელ ბანკირებს ერთი დიდი პრობლემა რჩებათ გადაუწყვეტელი. დედამიწის წიაღში არის არა მხოლოდ ნავთობი, არამედ ბუნებრივი აირიც, რომელიც გეოგრაფიულ რუკაზე ისე არ არის განლაგებული, როგორც „შავი ოქრო". ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი მარაგი რუსეთის ტერიტორიის წიაღშია.**

მაშ, მოდით, ვილაპარაკოთ ბუნებრივ აირზე. დავიწყოთ შორიდან, იმ პერიოდიდან, როცა საწვავის ამ სახეობაზე, შესაძლოა, არც არავინ ფიქრობდა.

**ნავთობზე ფასს ადგენს არა მოთხოვნა, არამედ არაფრით უზრუნველყოფილი ფულადი მასა, რომელიც ფიუჩერსების ეშმაკური სისტემის მეოხებით „შავ ოქროზე" ფასს საჭირო მიმართულებით წარმართავს. ეს ფულადი მასა დღეს ჩვენს პლანეტაზე განსაზღვრავს ყველაფერს. მაგრამ იგი თავის თავს თვითონვე არ წარმოქმნის. მას ბეჭდავს ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც კერძო «კონცესიონერებს» ეკუთვნის. მაშასადამე, ამ კეთილ ბიძიებს უნდა გადავუხადოთ მადლობა ყველა დროის კრიზისის გამო**

## ბრიტანული თერმული ერთეულის, საკოლმეურნეო ვიტამინური გრადუსისა და ჯორჯ ბუშის შესახებ

მე ვიცი, რომ მყეფარი ძაღლები არ იკბინებიან, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ძაღლებმაც იციან ეს.

მაქსიმ ლიტვინოვი,
საბჭოთა კავშირის
საგარეო საქმეთა
სახალხო კომისარი

მიჰყევი შენს გზას, და დაე ილაპარაკონ ადამიანებმა, რაც სურთ.

დანტე ალიგიერი

პომიდორი შესანიშნავი ბაღეულია: სასარგებლო, გემრიელი, ლამაზი. მისგან ბევრი სასარგებლო კერ-

**აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის (რომელიც ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს) მფლობელებს მსოფლიოს ნავთობსაბადოების დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება კი არ სურთ, არამედ ყველაფრის, გამონაკლისის გარეშე! სწორედ მაშინ მათი ჰეგემონია ჩვენს პლანეტაზე იქნება სრული და განუყოფელი. ნებისმიერი ზესახელმწიფოს მოშთობა იქნება შესაძლებელი, თუ გადაუკეტავ ფინანსურ ნაკადს და ნავთობის ონკანს. სწორედ ასეთი, ჩვენი პლანეტისათვის უსაშინელესი მონოპოლიის შესაქმნელად მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მილიონობით ინდიელი დაიხოცა. ტომების უმეტესობა აღარ არსებობს. «აშშ-ის მონაცემებით, ევროპელთა მოსვლის წინ 48 შტატის მიწებზე 12 მილიონი ინდიელი ცხოვრობდა. XX საუკუნის დასაწყისისთვის 250 ათასიღა დარჩა. ინდიელთა 70 პროცენტი ლტოლვილია თავის სამშობლოში, რადგან აყრილები არიან თავიანთი მიწებიდან. აშშ-მა განახორციელა გენოციდი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. მოსპო და გაანადგურა ინდიელთა 99,6 პროცენტი»



◀ ძის, საწებლის, კეტჩუპის დამზადება შეიძლება. მსოფლიოში ტომატზე მოთხოვნა ყოველთვის არის. მისი მოყვანა ყოველმხრივ მომგებიანია. საპატიოც კი. მაგრამ იმ მომენტამდე, სანამ მისი ფასის გაკონტროლებას არ დაიწყებს საბაზრო მაფია. წარმატებული შრომის სიხარული, რომელიც მატერიალიზებულია მწიფე პომიდორში, უცებვე დახარჯული ძალის არაადეკვატური გახდება. ეს საწყენია. იმუშავე, ოფლი დაღვარე, საბაზრო ფასს კი შეგნებულად აიაფებს ერთმანეთთან გარიგებული ყაჩაღების ხროვა. სამართალს ვერ იპოვი ძალიანაც რომ ეცადო. სამართალდამცავი სტრუქტურები ნაყიდი ჰყავთ, გაზეთებს თხოვნით ვერ მიმართავ წყლის ნაყვა იქნება სრული, ხელისუფლება არ მიიჩნევს, რომ ქვეყანაში „ტომატის პრობლემა“ არსებობს.

რა უნდა ჰქნა?!

„ტომატის მწარმოებელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებაც“ არაფრის მომცემი იქნება. ყველა ფერმერი ორმეტრიანი „შკაფი“ არ არის, ჯანიანი და უდრეკი. არიან გაცილებით ჩია კაცები. საბაზრო მაფია სწორედ მათთან იჭერს საქმეს. ისინიც, უხერხული სიტუაციის სრული შეგნებით, მიწას მიშტერებულები, თავიანთ საერთო კრებებზე მორცხვად იწყებენ ლაპარაკს, რა სასარგებლოა მთელი კაცობრიობისთვის პომიდვრის იაფად გაყიდვა, და მიჰყიდიან კიდეც გადამყიდველებს მოწეულ მოსავალს კაპიკებად. ამით აიაფებენ პროდუქციას მთელი ბაზრის მასშტაბით და ძირს უთხრიან კოლეგა ფერმერებს, რომლებიც პომიდვრის ფასის შემცირების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

არ გეგონოთ, რომ ეს მაგალითი განვიხილეთ თქვენი ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრის პრობლემებიდან გამომდინარე. მარტივად გადმოგეცით მსოფლიო ეკონომიკის პრობლემა, რომლის ძირითადი რესურსი ნავთობით ვაჭრობაა. **ნავთობზე ფასს კი ადგენს არა მოთხოვნა, არამედ არაფრით უზრუნველყოფილი ფულადი მასა, რომელიც ფიუჩერსების ეშმაკური სისტემის მეოხებით „შავ ოქროზე“ ფასს საჭირო მიმართულებით წარმართავს. ეს ფულადი მასა დღეს ჩვენს პლანეტაზე განსაზღვრავს ყველაფერს.**

**მაგრამ იგი თავის თავს თვითონვე არ წარმოქმნის. მას ბეჭდავს ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც კერძო „კონცესიონერებს“ ეკუთვნის. მაშასადამე, ამ კეთილ ბიძიებს უნდა გადავუხადოთ მადლობა ყველა დროის კრიზისის გამო.**

ტომატის გადამყიდველები ისე არიან გამაგრებული თავიანთ ციხესიმაგრეებში, რომ მწარმოებლებს ყველა გზა მოჭრილი აქვთ. თავიანთი ძალისა და შესაძლებლობის საჯაროდ ჩვენებას არ ერიდებიან. პირიქით — საცირკო სპექტაკლივით გამოაქვთ ფართო აუდიტორიის წინაშე ამ ილუზიონისტებს. ოპლა! და პატივცემული მაყურებლის თვალწინ გაქრება ნავთობის მაღალი ფასი. გაჩნდება ახალი დაბალი, ძლივს შესამჩნევი ლილიპუტივით.

**„WTI მარკის ნავთობმა 120 დოლარის ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა და ერთი ბარელის ფასი 120,58 დოლარამდე გაძვირა“.**

**ეს ინფორმაცია დათარიღებულია 2008 წლის 8 აგვისტოთი**. იმ ღამეს დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთში. მის დაწყებამდე ნავთობის ბაზარზე არავითარი კატაკლიზმი არ შეიმჩნეოდა. პლიუს-მინუს 15 პროცენტით ფასის მერყეობა საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი თვისებაა.

**ომი დამთავრდა „მედვედევი-სარკოზის გეგმის“ წყალობით, რომელიც მიიღეს რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე 2008 წლის 12 აგვისტოს. მეორე დღესვე „ოპეკის ნავთობის კალათის ფასმა (ერთ ბარელზე) განაგრძო კლება და 109 დოლარამდე დაეცა“, ნათქვამი იყო ამ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში.**

**„ანალისტები“ გვარწმუნებდნენ, რომ ომის დაწყებას ყოველთვის მოჰყვება ნავთობს გაძვირება. მიზეზები — მიწოდებათა არასტაბილურობა, ბაზრის ცვალებადობის განსაზღვრის შესაძლებლობა. მაგრამ 2008 წლის აგვისტოში ყველაფერი პირიქით მოხდა. ნავთობი გაძვირდა ომის დაწყების წინა დღეს, ომის დაწყებისთანავე კი გაიაფება დაიწყო.**

„ანალისტების“ სიტყვების არსენალში არის ინგლისური სიტყვა **„ტრენდი“,** რომელიც ნიშნავს მოძრაობის მიმართულებას ან მხოლოდ მიმართულებას. ტრენდი თითქოს ორი უნდა იყოს: ზრდა და ვარდნა. თურმე არის მესამე ტრენდიც იქით-აქეთ, ზევით-ქვევით, მცირე ზრდა, შემდეგ მცირე ვარდნა. ამ შემთხვევასაც აქვს თავისმ სპეციფიკური სიტყვა „ვოლატილობა“. მაღალი ვოლატილობა ნიშნავს, რომ ნავთობის ფასი, ან ვალუტის კურსი ირყევა მთვრალი კაცივით, სხვადასხვა მხარეს. რომელ მხარეს გადაიხრება ღირებულება ხვალ, დღეს ვერავინ იტყვის ალკოჰოლიკივით ფეხარეულია. მაგრამ როცა ფასი საფუძვლიანად და თანმიმდევრულად იწყებს ვარდნას, ეს იქნება „მყარი ტრენდი“. რას აკეთებენ ბროკერები და მაკლერები, როცა ხედავენ, რომ საქონელი სტაბილურად იაფდება? იწყებენ ამ საქონლის გაყიდვას. ღირებულება კვლავ იაფდება. მაშასადამე, ფასის დასაგდებად ბირჟაზე მოთამაშეებს უნდა „აჩვენონ ტრენდი“. 2008 წლის აგვისტოში სწორედ ამის დემონსტრაცია მოხდა.

**2008 წლის 26 აგვისტოს, როცა რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო, ნავთობის ფასი ისე სწრაფად დაეშვა მიწისკენ, როგორც თვითმფრინავი პიკირებისას. ეს ნიშნავდა, რომ მისი შესყიდვა გაძვირების იმედით არ ღირდა, უმჯობესი იყო გაყიდვა, რადგან კიდევ უფრო გაიაფება რეალური ჩანდა.**

მანამდე ყველა კომენტარში ლაპარაკი იყო, რომ ფასის ვარდნა დროებითია, გაძვირება კი მალევეა მოსალოდნელი და ა.შ. 26 აგვისტოს ყველასთვის გასაგები მინიშნება ვრცელდება ნავთობი უფრო გაიაფდება.

უნდა გაიაფდეს და იმიტომ!

„სექტემბერში ბარელი ნავთობის საშუალო ფასი 97 დოლარი იყო. ფიუჩერსებმა კიდევ უფრო გაიაფებისკენ უბიძგა. მიმართულების მიმცემი კი, როგორც ყოველთვის, იყო „საბეჭდი დაზგა“. 2008 წლის პირველი კვარტლისთვის კრიზისი მომზადებული იყო, პროცესი დაწყებული. ფულით გაბერილ ბუშტს უჩხვლიტეს ნემსი. შეეძლოთ ამის გარეშეც ჩაეფუშათ ნელა და აუჩქარებლად. მაგრამ კრიზისის ორგანიზატორებმა პროცესისთვის დინამიზმის მისაცემად, ნემსთან ერთად, დანაც დაჰკრეს. საფინანსო-საკრედიტო ონკანი გადაიკეტა და დაუყოვნებლივ დაიწყო საყოველთაო ჩამოშლა-ჩამოქცევა. ფედერალური სარეზერვო სისტემის პატრონები სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ, რადგან საქმე მათ პრესტიჟს შეეხო, მათ სახელს მთელი მსოფლიოში, რაც გარკვეულ შიშსაც ბადებდა: რუსეთის არმიის პატარა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გამარჯვებამ მთელი მსოფლიოს მიერ ერთადერთ ზესახელმწიფოს მიმართ ნდობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში.

ეს გამოწვევა იყო.

**ფსს-ის პატრონების პასუხი გლობალური ფინანსური კრიზისი იყო. რომელსაც წელში უნდა გაეტეხა მოწინაამდეგენი და სრული მორჩილება გამოეცხადებინათ ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ისე, როგორც ეს მიხეილ გორბაჩოვმა გააკეთა. მან უღალატა თავის მომხრეებს, დაშლილად გამოაცხადა ვარშავის ხელშეკრულება, აფრიკიდან წავიდა ათეული წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის მხარდამჭერი ძალების გამარჯვების წინა დღეს. ყველა და ყველაფერი ჩააბარა დასავლეთს. ნება დართო ტალახში ამოესვარათ ჩვენი ისტორია, ძალა გამოაცალა არმიას და, როგორც ამ ყველაფრის აპოგეა, დაშალა ხალხის მიერ მისთვის ჩაბარებული ქვეყანა.**

ამერიკამ საპირწონედ რა დადო?

არც არაფერი.

უფრო მეტიც, არ შეასრულა არც ერთი დაპირება და შეთანხმება. ყოფილი ვარშავის ხელშეურელების წევრი ქვეყნები ნატოში გაერთიანდნენ. ეს პროცესი გრძელდება. დასავლეთი არ დამშვიდდება, სანამ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არ გაერთიანდება დამოუკიდებელი და დემოკრატიული რიაზანის ოლქი, თავისუფალი თათრეთი და კიდევ უფრო თავისუფალი ალტაის მხარე.

მოკლედ, ჩვენგან მიიღეს ყველაფერი ისე, რომ საკუთარი არაფერი გაუციათ. ასეთი იყო დასავლეთთან მოლაპარაკების შედეგები.

და, საერთოდ: **შეიძლება კი მოლაპარაკება დასავლეთთან? ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ შეიძლება და აუცილებლიცაა. ზუსტად ასე ფიქრობდნენ ამერიკელი ინდიელები. გულუბრყვილოდ მიაჩნიათ, რომ თუ ამ გორაკს, ან ამ მინდორს ანლოსაქსებს დაუთმობდნენ, მათ თავს დაანებებენ და ბიზონებზე მშვიდად ნადირობის ნებას დართევენ.**

რა გამოდნა აქედან?

მილიონობით ინდიელი დაიხოცა. ტომების უმეტესობა აღარ არსებობს. „აშშ-ის მონაცემებით, ევროპელთა მოსვლის წინ 48 შტატის მიწებზე 12 მილიონი ინდიელი ცხოვრობდა. XX საუკუნის დასაწყისისთვის 250 ათასიღა დარჩა. ინდიელთა 70 პროცენტი ლტოლვილია თავის სამშობლოში, რადგან აყრილები არიან თავიანთი მიწებიდან. აშშ-მა განახორციელა გენოციდი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. მოსპო და გაანადგურა ინდიელთა 99,6 პროცენტი“.

ყველა გადარჩენილი ინდიელი ამჟამად რეზერვაციებში ცხოვრობს. იცით, რას წარმოადგენს ეს რეზერვაციები? ეს არ არის ავტონომიური ეროვნული ოლქი, ან სახელმწიფოს სხვა მსგავსი ადმინისტრაციული დანაყოფი. განსხვავება, მათსა და ეროვნულ ავტონომიებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირში არსებობდა, კოლოსალურია. **ევენკები და ჩუქჩები არავის შეუწუხებია ცივ ტუნდრაში ცივ ნიავს არ აკარებდნენ. სკალპებს არ აჭრიდნენ, შავი ყვავილით დაინფიცირებული საბნები არავის მიუყიდია მათთვის. ტერიტორიას არავინ შესცილებია სადაც ცხოვრობდნენ, დღესაც იქ არიან დასახლებულები. იმავე არეალში შეუქმნეს ეროვნული ავტონომიები.**

აშშ-ში კი ინდიელები ძალით აყარეს თავიანთი მიწებიდან და ჩაასახლეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში... ბოდიში არავის მოუხდია. არც არავინ აპირებს. რეზერვაციების ტერიტორიაზე კანონებიც განსხვავებულია. მაგალითად, იქ შეიძლება სათამაშო ბიზნესის გახსნა. აშშ-ის დანარჩენ ტერიტორიაზე არა. ამიტომაა, რომ ამერიკაში სამორინეებს ხსნიან ხომალდებზე და ინდიელთა რეზერვაციებში. **ცნობილი ლას-ვეგასი სწორედ იქ არის, რეზერვაციაში...**

სრულ სიმართლეს არავინ ამბობს. XX საუკუნე რუსეთისთვის უსაშინელესი გამოცდების დრო იყო. მაგრამ თუნდაც ნახევარი სიმართლის ლაპარაკი რუსეთზე მაშინ, როცა გარშემო მყოფნი თავისი ქვეყნის მსგავსი პიკანტური შემთხვევების შესახებ კრინტს არ ძრავენ, ხალხს რუსეთზე უბადრუკობისა და არასრულყოფილების შთაბეჭდილებას უქმნიდა.

ირგვლივ ყველაფერი თეთრია და ფუმფულა, რუსეთია მხოლოდ შავი ხვრელი.

მხოლოდ შემთხვევით თუ წააწყდებით გაზეთებში ისეთ მაგალითებს, რომლებიც გაგაოგნებთ. თუნდაც ასეთს: **ავსტრალიაში, სადაც ქვეყნის მეთაურად დღემდე ითვლება ინგლისის დედოფალი, 1967 წლამდე აბორიგენებს სამოქალაქო უფლებები არ ჰქონდათ. მათი პრობლემებით დაკავებული იყო „ფლორისა და ფაუნის“ სამინისტრო. 1915-წან 1969 წლამდე აბორიგენთა ბავშვები ოჯახებიდან მასობრივად მიჰყავდათ მათი „ასიმილაციის დასაჩქარებლად“ და მათ სპეციალურ თავშესაფრებში ათავსებდნენ. ათასობით ადამიანისთვის ეს მოვლენა პირად ტრაგედიად იქცა.**

წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ მშვიდ და ბედნიერ ავსტრალიაში. გარშემო დემოკრატიაა. მზე უხვად სტყორცნის მაცოცხლებელ სხივებს ოკეანის სანაპიროს. ამ დროს დაუკითხავად შემოგილებენ კარს ადგილობრივი თეთრკანიანი მოხელეები და წაგართმევენ შვილებს „დაჩქარებული ასიმილაციისთვის“, იმიტომ, რომ თქვენ მოქალაქე არ ხართ, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელი ბრძანდებით. მოკლედ აბორიგენი. თქვენი წინაპრების ასობით თაობას უცხოვრია ამ მიწაზე, მშვიდად და თავისთვის, სანამ არ მოვიდნენ ანლოსაქსები და დაიწყეს ავსტრალიაში თავიანთი კატორღელების „გაციმბირება“.

შვილებს კანონის სრული დაცვით გართმევენ. ვერსად და ვერავისთან იჩივლებთ. ზუსტად ასე იქცეოდნენ ნაცისტები ოკუპირებულ პოლონეთში: „რასობრივად წმინდა სისხლის“ ბავშვები ოჯახებიდან მიჰყავდათ „გასაგერმანელებლად“.

**ახლა კი დავუბრუნდეთ პომიდვრების ისტორიას... მაგრამ გაზეთის მომდევნო ნომერში.**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საზამთროს თესლისგან მომზადებული ნაყენი შეიცავს დიდი რაოდენობით A, B და C ვიტამინებს, ანტიოქსიდანტებს, მაგნიუმს, რკინას, კალციუმსა და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც დაბერების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ხელს უშლის ნაოჭების წარმოქმნას; მკურნალობს აკნეს (ფერიმჭამელას) და სახეზე გამონაყარს; შეიცავს ამინომჟავებს, რომლებიც თმის გამაგრებასა და გაჯანსაღებას უწყობს ხელს; არეგულირებს სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში; იცავს გულს დაავადებებისგან და მნიშვნელოვანია ადამიანის კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალურად ფუნქციოებისთვის.



# ავსტრალიაში რეკორდული წონის ბავშვი დაიბადა

**ავსტრალიის ერთ-ერთ ქალაქში დაიბადა ბიჭუნა, რომელიც 5,9 კილოგრამს იწონის.**

ექიმები თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ჩვილი დაახლოებით 4 კილოგრამი დაიბადებოდა და ამის თაობაზე დედა გააფრთხილეს. ქალისთვის ეს მოულოდნელი იყო და პანიკური შიში დაეწყო, ამიტომ მედიკოსებმა მშობიარეს ანესთეზია გაუკეთეს.

ახალშობილი ჯანმრთელი დაიბადა. იგი არა მხოლოდ კლინიკის, არამედ დასავლეთ ავსტრალიის ვარსკვლავი გახდა. ერთ-ერთმა ექიმმა განაცხადა: „ეს არის ყველაზე დიდი ახალშობილი, რომელიც ჩემი 15-წლიანი პრაქტიკის მანძილზე დაიბადაო“.

სტატისტიკის მიხედვით, ავსტრალიაში ახალშობილის საშუალო წონა 3 კილოგრამია. მსოფლიო რეკორდი კი ეკუთვნის 33 წლის ხაბაროვსკელ **ვერა ოვჩინიკოვას**, რომელმაც 2011 წელს 7,2-კილოგრამიანი ბიჭუნა გააჩინა.



# იდენტური ტყუპები

**ინგლისში 23 წლის ბეკი-ჯო ალენმა ტყუპი სამი ბავშვი გააჩინა. სამივე ერთმანეთს ისე ძალიან ჰგავს, მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია.**

ახალგაზრდა დედამ გადაწყვიტა, დნმ-ის ნიმუშების ტესტირება. აღმოჩნდა, რომ დღეს უკვე 10 თვის რომანი, როჰანი და როკო არა მხოლოდ ფიზიკურად ჰგვანან ერთმანეთს, არამედ გენეტიკური მახასიათებლებითაც ერთნაირები არიან.

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია ბავშვების ერთმანეთისგან გარჩევა, მაგრამ ახალგაზრდა დედა ამას მშობიარობის დროს თანდაყოლილი ლაქების საშუალებით ახერხებს. ასეთი ბავშვები, ანუ **იდენტური ტყუპები ძალიან იშვიათად იბადებიან, მაშინ, როდესაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ორად იყოფა.** უშვილობის მკურნალობის გარეშე, ასეთი შემთხვევა, როდესაც საშვილოსნოში ორი ან სამი ჩვილი ერთსა და იმავე მემბრანას ინაწილებს, ძალიან იშვიათად ხდება.

# საზამთროს თესლი სასწაულმოქმედი მკურნალია

**საზამთრო ზაფხულის საუკეთესო ხილია და ამასთანავე — სასარგებლოც, მაგრამ საზამთროს თესლს ყურადღებას თითქმის არავინ აქცევს. არადა, სულ ტყუილად, რადგან ის დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.**





**საზამთროს თესლი უამრავ სამკურნალო ნივთიერებას შეიცავს.** ამისათვის კი საჭიროა, გავახმოთ, შემდეგ კი მისგან მოვამზადოთ ჩაი და მივირთვათ.

**საზამთროს თესლისგან მომზადებული ნაყენი შეიცავს დიდი რაოდენობით A, B და C ვიტამინებს, ანტიოქსიდანტებს, მაგნიუმს, რკინას, კალციუმსა და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც დაბერების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ხელს უშლის ნაოჭების წარმოქმნას; მკურნალობს აკნეს (ფერიმჭამელას) და სახეზე გამონაყარს; შეიცავს ამინომჟავებს, რომლებიც თმის გამაგრებასა და გაჯანსაღებას უწყობს ხელს; არეგულირებს სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში; იცავს გულს დაავადებებისგან და მნიშვნელოვანია ადამიანის კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალურად ფუნქციობისთვის.**

საზამთროს თესლის ნაყენს შეუძლია ადამიანის ორგანიზმი პარაზიტებისგან გაასუფთაოს. ამ მიზნით ნაყენს მიირთმევენ ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დილა-საღამოს.

### ნაყენის მომზადების წესი:

**აიღეთ 4 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული საზამთროს თესლი, დაასხით 2 ლიტრი წყალი და ხარშეთ 15 წუთის განმავლობაში.**

# წიწილა კვერცხის გარეშეც შეიძლება გაჩნდეს



**ბევრი შოკისმომგვრელი ექსპერიმენტის შესახებ გსმენიათ, მაგრამ, წიწილა კვერცხის გარეშეც რომ შეიძლება დაიბადოს, ალბათ, არა.**

იაპონელმა სტუდენტებმა მეცნიერების დახმარებით ჩაატარეს სენსაციური ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო: გაერკვიათ, შესაძლებელი იყო თუ არა უნაჭუჭო კვერცხიდან წიწილას გაჩენა.

ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა — 21 დღის განმავლობაში ქათმის უნაჭუჭო ემბრიონიდან წიწილა განვითარდა. როგორც ჩანს, ნაჭუჭში ყოფნა-არ ყოფნა წიწილის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

კვლავ წამოიჭრა კითხვა — **ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი?**

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეფილდის უნივერსიტეტიდან ჩაატარეს კვლევა. შედეგმა აჩვენა, რომ ნაჭუჭის ფორმირებაში ძირითად როლს ასრულებს გასაკუთრებული ცილა — **ოვოკლედინინი-17 (ოკ-17)**, რომელიც ქათმის საკვერცხეში გამომუშავდება.

ოკ-17-ის გარეშე კვერცხის ჩამოყალიბება შეუძლებელია, რადგან ეს ცილა კატალიზატორის როლს ასრულებს კვერცხის „სკულპტურის“ განვითარების დასაჩქარებლად და ხელს უწყობს კალციუმის კარბონატის წარმოქმნას კალციტის კრისტალებში. ამის გამოა, რომ კვერცხის ნაჭუჭი მყარია და ის დამცავი გარსია ჩასახული წიწილასთვის.



„ასე რომ, მეცნიერებმა გადაჭრეს დილემმა „კვერცხი თუ ქათამი“. სპეციალისტების აზრით, პირველი იყო ქათამი“, — წერს „დეილი ექსპრესი“.

„ამ პროტეინის არსებობა ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ის, რომ ეს კვერცხის გარსის ფორმირებასთანაა დაკავშირებული, ახლა გაირკვა.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა სახეობის ფრინველში ამ ცილის სხვადასხვა ვარიანტი გვხვდება, მაგრამ ფუნქციებით ისინი არ განსხვავდებიან“, — ამბობს ერთ-ერთი მკვლევარი კოლინ ფრიმენი.

# რუსმა მეცნიერებმა მომთაბარის გარეგნობა აღადგინეს

**რუსმა მეცნიერებმა 2 ათასი წლის წინათ მცხოვრები მომთაბარე ქალის 3D მოდელი შექმნეს. რომელიც ჩელიაბინსკის გამოფენაზე წარადგინეს.**

ქალს უჩვეულო ფორმის თავის ქალა ჰქონდა. იგი II-III საუკუნეების სამარხის გათხრისას იპოვეს. იქვე ორი მამაკაცის ნაშთიც იყო. ყველა მათგანი უძველეს ტომს — სამარტებს ეკუთვნოდა, რომელიც დღევანდელი რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის მიდამოებში მომთაბარეობდა. ამ ტომის წარმომადგენლები განზრახ იგრძელებდნენ თავის ქალას, რათა სხვებისგან განსხვავებულები ყოფილიყვნენ. სამარხში ასევე აღმოჩნდა რკინის ხმალი, ხანჯალი, თიხის ქოთნები, დოქი, დანა, ბალთები და ხის ნაკეთობები. ყველა არტეფაქტი **არკაიმის** ნაკრძალში გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი.



არკაიმი ბრინჯაოს ხანის გამაგრებული დასახლება იყო, რომელიც 4 ათასი წლის წინათ შეიქმნა. იგი 1987 წელს აღმოაჩინეს ჩელიაბინსკის ოლქში. არკაიმის მცხოვრებნი მისდევდნენ მეტალურგიას, ფეიქრობას, მეთუნეობასა და მესაქონლეობას.

ამჟამად ჩინეთი რობოტების დანერგვის მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაა. 2014 წელს ქვეყანამ 56 ათასი სამრეწველო რობოტი გაყიდა. დღეს მსოფლიოში უმსხვილესი პროექტები, რომლებიც რობოტებთანაა დაკავშირებული, ჩინეთის მონაწილეობის გარეშე არ კეთდება.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მედუზა ერთადერთი უკვდავი არსებაა დედამიწაზე



**ჰიდროიდი Turritopsis nutricula, რომელიც დიამეტრით მხოლოდ 4-5 მილიმეტრია, უნიკალური არსებაა, რომელსაც საკუთარი თავის გაახალგაზრდავება შეუძლია.**

ჩვეულებრივ, მედუზები გამრავლების შემდეგ იღუპებიან, თუმცა Turritopsis nutricula-ს შეუძლია მედუზის „დიდი“ ასაკიდან პოლიპის „ბავშვობის“ სტადიაში დაბრუნება. თეორიულად ეს ციკლი შეიძლება დაუსრულებლად განმეორდეს, რაც ამ არსებას პოტენციურად უკვდავს ხდის. Turritopsis nutricula აღმოაჩინეს თბილ ტროპიკულ წყლებში, მაგრამ მეცნიერები ეჭვობენ, რომ ეს სახეობა, შესაძლოა, სხვა რეგიონებშიც იყოს გავრცელებული.

უკვე დიდი ხანია, მედუზები და ჰიდრები ბიოლოგების ყურადღების ქვეშ მოექცნენ. მათ იმედი აქვთ, რომ ამ არსებების დახმარებით დაბერების საიდუმლოს ამოხსნიან.

ჰიდრას „ბიოლოგიური უკვდავების“ შესახებ თეორია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წამოაყენეს, ხოლო 1990-იანი წლების ბოლოს ექსპერიმენტებით დაამტკიცეს, რომ ჰიდრები სიბერით არ კვდებიან.

აღვნიშნავთ, რომ ბიოლოგებისთვის ასევე ცნობილია „უკვდავი“ უჯრედები, რომლებიც შესაფერის პირობებში უსასრულოდ იყოფიან, მაგალითად, ღეროვანი უჯრედები.

# რობოტების პირველი პარკი და პირველი სუპერმარკეტი ჩინეთში





**დღეს რობოტები ადამიანებს ცხოვრების სხვადასხვა უბანზე ეხმარებიან, ამიტომ მსოფლიოში ათიათასობით ადამიანი ახალ-ახალი რობოტების შექმნაზე მუშაობს, შემდეგ კი მათ თემატურ გამოფენებზე, სამიტებსა და სხვა ღონისძიებებზე აჩვენებენ.**

ახლახან ჩინეთის ქალაქ ნინბოში ჩინური რობოტექნიკის სამიტმა წარმატებით ჩაიარა. მისი მიმდინარეობისას საზეიმოდ გაიხსნა რობოტების პირველი პარკი, რომლის ჭიშკართან სტუმრებს „ჭკვიანი რობოტები“ ხვდებოდნენ. ისინი თავს უკრავდნენ სტუმრებს სიტყვებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

გამოფენაზე 200 რობოტი იყო წარმოდგენილი, რომლებიც „იღვწიან“ მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა სფეროებში. მათ შორის იყვნენ რობოტი-პიანისტები, ელექტრონული მეხანძრეები, დამლაგებლები, სანიტრები, რომლებმაც იციან მწოლიარე პაციენტის საკაცედან საწოლზე ან სავარძელში ფრთხილად გადასმა.

„რობოტების ქალაქში“ მისი ხელმძღვანელობა 5 მილიარდი იუანის ინვესტირებას გეგმავს.

სექტემბერში ქალაქ ფოშანში სუპერმარკეტის გახსნა იგეგმება, რომელშიც ხელოვნურ ინტელექტს საკუთარი გემოვნებით შეიძენ. მაღაზიის ფართობი 20 ათასი კვ მეტრი იქნება. აქ თავისი პროდუქციის გაყიდვას ჩინეთისა და სხვა ქვეყნების 30-მდე ყველაზე ცნობილი ბრენდი შეეცდება.

ამჟამად ჩინეთი რობოტების დანერგვის მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაა. 2014 წელს ქვეყანამ 56 ათასი სამრეწველო რობოტი გაყიდა. დღეს მსოფლიოში უმსხვილესი პროექტები, რომლებიც რობოტებთანაა დაკავშირებული, ჩინეთის მონაწილეობის გარეშე არ კეთდება.

ჩინეთსა და მთელ მსოფლიოში მოთხოვნა განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო რობოტებზე მატულობს. ჩინელთა ერთ-ერთი გამოგონებაა მოხუცების მომვლელი რობოტები, ხოლო ბოლო პერიოდის ყველაზე მასშტაბური გამოგონება — მსოფლიოში პირველი ემოციური რობოტი Pepper-ი.



# რატომ იღებენ ტარანტულები ცისფერ შეფერილობას?



**აკრონის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერები თავს იმტვრევენ, რატომ მიიღო ტარანტულების რვა სახეობამ ცისფერი შეფერილობა და თანაც, სულ ცოტა, სამი სხვადასხვა ხერხით.**

ისევე, როგორც ცისფერი ცხოველების უმრავლესობამ, ტარანტულებმაც ასეთი შეფერილობა არა პიგმენტების, არამედ ნანოგანზომილების სტრუქტურების გამო მიიღეს, რომლებიც ისე გარდატეხავენ და გაფანტავენ სინათლეს, რომ ზედაპირი ცისფერი ჩანს.

ცხოველების შემთხვევაში ასეთი ფერი, როგორც წესი, პარტნიორის ყურადღების მისაქცევად ან მტრების შესაშინებლად გამოიყენება, მაგრამ ობობების შემთხვევაში ცისფერი შეფერილობის დანიშნულება საიდუმლოდ რჩება.

ამერიკელი მეცნიერების ჯგუფმა 40 ცისფერი ტარანტულის ოპტიკური, მორფოლოგიური და ევოლუციური დეტალური ანალიზი დაასრულა. გამოსაკვლევი ობობები ტარანტულების რვა სახეობას განეკუთვნებოდნენ. მათი შეფერილობა სინათლის ტალღების ვიწრო დიაპაზონში – დაახლოებით 450 ნანომეტრში აღმოჩნდა. **ეს ნიშნავს, რომ მათი ასეთი შეფერილობის შესაძლო მიზეზი ბუნებრივი გადარჩევა იყოს, მაგრამ რამ აიძულა ობობები, ცისფრად შეღებილიყვნენ?**

არ არის გამორიცხული, რომ ეს ფერი რაიმე სხვა ფიზიკური თვისების თანმდევი ეფექტი იყოს, მაგალითად, **დასველებისგან თავის აცილების**. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ტარანტულების ყველა სახეობას ბუსუსების ერთნაირი მოლეკულური სტრუქტურა უნდა ჰქონდეთ.

მაგრამ ეს ასე არაა. **მკვლევარებმა ტარანტულებში, სულ ცოტა, სამი განსხვავებული ნანოკონფიგურაცია აღმოაჩინეს, მათ შორის მრავალფენოვანი უჯრედოვანი და ღრუბლისმაგვარი სტრუქტურებიც კი.**

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ობობებს ცისფერი ფერი პარტნიორების მოსაზიდად სჭირდებოდეთ, ვინაიდან ტარანტულებს ძალიან ცუდი მხედველობა აქვთ და ფერი შეწყვილებისას არავითარ როლს არ თამაშობს.

სავარაუდოდ, ობობებს ცისფერი ფერი მტრების გასაფრთხილებლად სჭირდებათ, მაგრამ რომელ მტერს განეკუთვნება ეს გაფრთხილება, გამოცანად რჩება.

# 100 ათასი ქათამი ბილ გეიტსისგან



**ამერიკელმა მილიარდერმა, ბილ გეიტსმა „ბი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მასშტაბურ პროგრამას გეგმავს, რომელიც აფრიკის ქვეყნებში მეფრინველეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროგრამის ფარგლებში გეიტსი რეგიონის სახელმწიფოებისთვის 100 ათასი ქათმის გადაცემას აპირებს.**

პროექტის მიზანია, რომ სოფლად მცხოვრები ოჯახების 30%-ს ქათმების მოშენებაში დაეხმაროს.

„შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ნამდვილად მომწონს ქათმების გამრავლების იდეა“, – განაცხადა მილიარდერმა.

ბილ გეიტსის გათვლით, 5 ფრინველის მფლობელი 3 თვის განმავლობაში ქათმების რაოდენობას 40-მდე გაზრდის. ამასთანავე, ფერმერის წლიური შემოსავალი ათას დოლარს გადააჭარბებს.

წარმატების შემთხვევაში, აღნიშნული პროექტი ნაწილობრივ გადაწყვეტს სიღარიბისა და შიმშილის პრობლემას.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნებში მოსახლეობის მეოთხედი შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს.

# მანქანა მძივებით

**გერმანიის ქალაქი ვოლფსბურგი მსოფლიოში ცნობილია იმით, რომ აქ მდებარეობს კონცერნ Volkswagen-ის სათავო ოფისი.**

ამასთანავე, იგი გერმანიის ერთ-ერთი იმ უიშვიათესი ქალაქთაგანია, რომელიც XX საუკუნეში აშენდა.

დღეს ვოლფსბურგში 1990 წლის გამოშვების უნიკალური Volkswagen Beetle დადის. ის მთლიანად დაფარულია ბისერით შექმნილი ორნამენტებით. **ავტომობილის გაფორმებისას 2 მილიონ 277 ათასი სხვადასხვა ფერის წვრილი მძივის ბურთულა გამოიყენეს, რომელთა საერთო წონა 90 კილოგრამია.**



მსოფლიო ტურნეს დასრულების შემდეგ ავტომობილის გაყიდვა აუქციონზე იგეგმება.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიომარკერების ამ კომპლექტს შეუძლია 100%-იანი სიზუსტით იდენტიფიცირება იმ ადამიანებისა, რომლებსაც ეწყებათ ალცჰეიმერის ადრეული სტადია. ამას გარდა, ტესტს შეუძლია განასხვაოს ალცჰეიმერის ადრეული სტადია მისი შედარებით პროგრესირებადი ფორმისგან 98,7 %-ით, ადრეული პარკინსონის დაავადებისაგან — 98%-ით, ხოლო გაფანტული სკლეროზისა და მკერდის კიბოსგან — 100%-იანი სიზუსტით.**

# ახალი ტესტი, რომელიც ალცჰეიმერის ადრეულ სტადიაში 100%-ით ეფექტიანია

**ალცჰეიმერი სასტიკი დაავადებაა. ის შეიძლება წლობით არ გამომჟღავნდეს და ისე დააზიანოს ტვინი. რაკი ცალკეული სიმპტომების გამოჩენამდე მისი დადგენა ვერ ხერხდება, დაავადების პროგრესირებასთან ერთად მკურნალობაც რთულდება.**



მეცნიერებმა უკვე შეძლეს ტვინის სკანირებით ალცჰეიმერის დაავადების ადრეული სიმპტომები მის განვითარებამდე რამდენიმე წლით ადრე გამოავლინონ. გამოკვლევის მიხედვით, ამ დაავადების პოტენციურ მატარებლებს ათი წლით ადრე უპატარავდებათ ტვინი, რაც იმის ერთ-ერთი ნიშანი შეიძლება იყოს, რომ მომავალში ასეთ პაციენტებს ალცჰეიმერის დაავადება განუვითარდეთ.

დიდ ბრიტანეთში ალცჰეიმერის დაავადების გამოკვლევის ჯგუფმა განაცხადა, რომ არსებობს საკმაოდ მძლავრი სამხილი იმისა, რომ აღნიშნული დაავადება განვითარებას ადამიანის ცხოვრების შუა პერიოდში იწყებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის საავადმყოფოსა და ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოკვლევაში ტვინის ნორმალური ფუნქციონირების მქონე 65 პაციენტმა მიიღო მონაწილეობა.

კვლევების მიხედვით, **იმ პაციენტების 20%-ს, რომლებსაც საშუალო სისქის ტვინი აქვთ, ალცჰეიმერის დაავადება უვითარდებათ. მიუხედავად ამისა, უფრო დიდი სისქის ტვინის მქონეებს ეს დაავადება არ ემუქრებათ, მაშინ, როცა უფრო თხელი ტვინის მქონეებისთვის ამ სენის შეყრის ალბათობა 55%-ია.**

დიდ ბრიტანეთში 65 წელს გადაცილებული 14 ადამიანიდან ერთს ალცჰეიმერის დაავადება აქვს. გამოკვლევა აჩვენებს, რომ რამდენიმე წელი მაინცაა საჭირო დაავადების შესამჩნევი სიმპტომების წარმოსაშობად. ეს ნიშნავს იმას, რომ **ადრეული მკურნალობა, შესაძლოა, საშუალო ასაკში უნდა დაიწყოს, რადგან ადრეული დიაგნოზი ძალზე მნიშვნელოვანია.**

ახლახან მკვლევართა ჯგუფმა გააკეთა განცხადება, რომ მათ შექმნეს სისხლის ანალიზის ისეთი სქემა, რომელიც ალცჰეიმერის დაავადების ადრეულ სტადიაში დადგენის საშუალებას იძლევა უპრეცედენტო სიზუსტით.

„აქამდე ცნობილი იყო, რომ ტვინში ალცჰეიმერით გამოწვეული ცვლილება, ყველაზე ცოტა, 10 წლით ადრე იწყება, სანამ პირველი სიმპტომები გამოვლინდება, — ამბობს როუენის უნივერსიტეტის დოქტორი რობერტ ნაგელე, — **ეს პირველი სისხლის ანალიზია ანტისხეულების აუტოიმუნური ბიომარკერების გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა, უმაღლესი სიზუსტით გამოავლინოს ალცჰეიმერის დაავადება ადრეულ სტადიაში, როცა მკურნალობა შედარებით ეფექტიანია იმ მომენტამდე, სანამ ტვინი საკმაოდ დაზიანდება**“.

კვლევისას ჩანდა, თუ როგორ იწყებს ეს დაავადება უჯრედის შემაერთებელი ქსოვილის დაშლას თავის ადრეულ სტადიაში, რასაც მივყავართ ისეთ ტიპურ სიმპტომამდე, როგორიცაა მეხსიერების დაკარგვა და გონების გაფანტვა.

ასე რომ, **ეს სისხლის ანალიზი ადრეული დიაგნოსტიკისთვის პერსპექტიული მიმართულებაა, რომელსაც 87%-იანი სიზუსტით შეუძლია იწინასწარმეტყველოს თანდათანობითი კოგნიტური დარღვევების განვითარება, რომლებიც პროგრესირებს**. მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობითი კოგნიტური დარღვევები მეტყველებს ალცჰეიმერის დაავადების ადრეულ ნიშნებზე, შესაძლოა, ეს დარღვევა სხვა დაავადებითაც იყოს გამოწვეული, ამიტომ წარმოშობის წყაროს დადგენის შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე.

ნაგელეს ჯგუფმა 236 პაციენტის სისხლის ნიმუშები აიღო. მათგან 50-ს უკვე დასმული ჰქონდა ალცჰეიმერის დაავადების დიგნოზი მათი ზურგის ტვინის სითხეში ბეტა-ამილოიდის დაბალი დონის (42) აღმოჩენის საფუძველზე.

ექსპერიმენტის მონაწილეთა შორის 50 საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა, 50 სხვადასხვა ზომიერი კოგნიტური დარღვევებით იყო, 50 — პარკინსონის დაავადებით, 25 — გაფანტული სკლეროზით, 11 — მკერდის კიბოთი. სისხლის ნიმუშებზე ჩატარდა ანალიზი ცილის მიკროჩიპებით, თითოეული მათგანი შეიცავდა 9486 უნიკალურ ცილას, რომლებიც ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს ამა თუ იმ ანტიიმუნური ანტისხეულების მოსაცილებლად.

მეცნიერებმა გამოყვეს 50 აუტოიმუნური ბიომარკერი, რომლებსაც შეუძლია ალცჰეიმერის ადრეული სტადიის დადგენა. რიგი ტესტების დახმარებით, **ბიომარკერების ამ კომპლექტს შეუძლია 100%-იანი სიზუსტით იდენტიფიცირება იმ ადამიანებისა, რომლებსაც ეწყებათ ალცჰეიმერის ადრეული სტადია**. ამას გარდა, **ტესტს შეუძლია განასხვაოს ალცჰეიმერის ადრეული სტადია მისი შედარებით პროგრესირებადი ფორმისგან 98,7 %-ით, ადრეული პარკინსონის დაავადებისაგან — 98%-ით, ხოლო გაფანტული სკლეროზისა და მკერდის კიბოსგან — 100%-იანი სიზუსტით.**

ახლა მეცნიერები გეგმავენ კვლევის მასშტაბების გაზრდას. და, თუ ყველაფერი გამოუვათ, ეს ხელს შეუწყობს პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, რადგან მათ გაცილებით ნაკლებადმტკივნეული სამკურნალო პროცედურების გავლა მოუწევთ.

**ცნობისთვის:**

**2006 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ალცჰეიმერით 26 მილიონზე მეტი ადამიანი იყო დაავადებული. როგორც ვარაუდობენ, 2050 წლისთვის დედამიწაზე ყოველი 85 ადამიანიდან ერთი ამ სენით იქნება დაავადებული.**

სიცოცხლის ბოლო წლებში ალცჰეიმერით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ რეიგანიც იყო დაავადებული. როცა ქუჩაში თავის მეუღლესთან მოსეირნე ექსპრეზიდენტს ხალხი ღიმილით ესალმებოდა, იგი მეუღლეს გაკვირვებით ეკითხებოდა, საიდან იცნობდა ეს ხალხი მას. მეხსიერების დაკარგვის გამო, რონალდ რეიგანს არ ახსოვდა, რომ იგი სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო.

# უჩვეულო და საინტერესო ფაქტები თავის ტვინის შესახებ

**ადამიანის თავის ტვინი განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა და ამიტომ მეცნიერებამ მისი საფუძვლიანად შესწავლა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა. ის არის გამოცანა, რომელზეც უამრავი ცნობილი მეცნიერი დღემდე თავს იმტვრევს.**



ცნობილია, რომ ადამიანის თავის ტვინის საშუალო წონა 1300 გრამია და 60% ცხიმებისგან შედგება, ამიტომ ტვინი ორგანიზმის ყველაზე ცხიმიანი ორგანოა. მიუხედავად იმისა, რომ ტვინის მასა, ადამიანის მასის მხოლოდ 2%-ს შეადგენს, ის ორგანიზმის მიერ მოხმარებული ჟანგბადის 20% ითვისებს. ჟანგბადის გარეშე, ტვინს 4-6 წუთის განმავლობაში შეუძლია გაძლოს, 5-10 წუთის შემდეგ მასში იწყება შეუქცევადი დესტრუქციული ცვლილებები, ანუ ტვინი კვდება.

**ადამიანის ტვინი 50 წლამდე ვითარდება, თუმცა თავის ტვინის ყველაზე სწრაფი განვითარება 2-დან 11 წლამდე მიმდინარეობს. როგორც ტომოგრამამ აჩვენა, ბავშვის ტვინს, რომელსაც 5 წლის ასაკამდე, ორ ენას ასწავლიდნენ, განსხვავებული სტრუქტურა აქვს. საინტერესო ისიც არის, რომ ზრდასრულ ასაკში, ამ ადამიანების ტვინის ნაცრისფერი ნივთიერება უფრო სქელია, ვიდრე მათი, ვინც მცირე ასაკში, მხოლოდ ერთი ენა ისწავლა. პატარასთან მუდმივი საუბარი და მათთვის წიგნების კითხვა, ხელს უწყობს ბავშვის ტვინის განვითარებას.**

ბავშვის ტვინი ორგანიზმში არსებული გლუკოზის მარაგის 50%-ს მოიხმარს, იმისათვის რომ გლუკოზის აღდგენა მოხდეს, ბავშვს ბევრი უნდა ეძინოს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ტვინი მაშინ უფრო მეტად და აქტიურად მუშაობს, როდესაც ადამიანს ძინავს, ვიდრე მაშინ, როდესაც ღვიძავს და აქტიურად საქმიანობს.

მამაკაცის ტვინი ქალისაზე უფრო დიდია, მაგრამ ქალის ტვინში უფრო მეტი ნეირონული უჯრედები და კავშირებია, უფრო სწრაფად და ეფექტიანად მუშაობს, ვიდრე კაცის, ამიტომ ქალები ინფორმაციას უფრო ემოციურად ამუშავებენ და ამისთვის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს იყენებენ, ხოლო მამაკაცები — მარცხენას, ანუ ტვინის „ლოგიკურ ნაწილს“.

**სხეულის მარცხენა მხარეს თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო მართავს, ხოლო მარჯვენა მხარეს – ტვინის მარცხენა ნახევარსფერო. ზრდასრული ადამიანის ტვინი 100 მილიარდამდე ნეირონს (ნერვული უჯრედს) შეიცავს, ყოველი ასეთი უჯრედი 20 ათას მსგავს უჯრედთან არის კავშირში. ახალი ნეირონული კავშირები მაშინ იქმნება, როდესაც ადამიანი რამის დამახსოვრებას ცდილობს.**

როდესაც ადამიანი რამეს უყურებს, ინფორმაციის გადამუშავება, რომელსაც ის მარცხენა თვალით იღებს, მარჯვენა ნახევარსფეროს მიერ ხდება, ხოლო მარჯვენა თვალით დანახულის — მარცხენა ნახევარსფეროთი.

როგორც ნიუ-ორკში, სტუდენტებზე დაკვირვების შედეგებმა აჩვენა, კვება პირდაპირ კავშირშია თავის ტვინთან. სტუდენტები, რომლებიც ისეთ საკვებს იღებდნენ, რომელშიც კონსერვანტები, საღებავები და ხელოვნური არომატიზატორები იყო, IQ ტესტი 14% უარესად დაწერეს, ვიდრე მათ, ვისი საკვებიც ქიმიურ ნივთიერებებს არ შეიცავდა.

**დიეტა და შიმშილობა ნეგატიურად მოქმედებს თავის ტვინზე. მეცნიერთა მტკიცებით, ხანგრძლივი შიმშილობის შემთხვევაში, ტვინი საკუთარი თავის „ჭამას“ იწყებს.**

2015 წელს მსოფლიოში სიმძლავრის მიხედვით მეოთხე კომპიუტერს 40 წუთი დასჭირდა ადამიანის თავის ტვინის აქტივობის 1 წამის იმიტირებისთვის. როგორც ამერიკელი გამომგონებელი რეიმონდ კურცვეილი ამბობს, კომპიუტერის გამოთვლითი სიმძლავრე თავის ტვინის სიმძლავრესთან მხოლოდ 2023 წელს შეძლებს გათანაბრებას.

**იმ შემთხვევაში, თუ ქირურგიული ჩარევის გზით, ადამიანს ტვინის ნახევარს ამოკვეთენ, ეს არანაირ გავლენას არ იქონიებს მის ჯანმრთელობაზე, აზროვნებასა და მეხსიერებაზე.**

თავის ტვინი მყარი არ არის, ის 80% წყლის და სისხლისგან შედგება. ამიტომ, წყურვილის დროს, ადამიანმა თავი მზის სხივებს უნდა მოარიდოს.

**მეცნიერები ამტკიცებენ, რომ რაც უფრო მაღალი IQ აქვს ადამიანს, მით მეტ სიზმარს ხედავს, ღამის.**

მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს და გაირკვა, რომ ადამიანის ტვინს წინასწარმეტყველების უნარი აქვს.

**თანამედროვე კვლევის თანახმად, ჩვენს ორგანიზმში ნერვული უჯრედები მთელი ცხოვრების განმავლობაში იქმნება. ადრე თვლიდნენ, რომ მათი რაოდენობა, წლოვანების მატებასთან ერთად, მცირდებოდა და მათი აღდგენა აღარ ხდებოდა.**

ტვინს არ შეუძლია ტკივილის განცდა, რადგან მას ტკივილის შეგრძნების რეცეპტორები არ გააჩნია.

**თანამედროვე ნევროლოგიის უდიდეს აღმოჩენად ითვლება ის, რომ ტვინს თვითაღდგენისა და რეგენერაციის უნარი აქვს.**

დავიწყება ძალიან სასარგებლოა თავის ტვინისთვის: უსარგებლო ინფორმაციის წაშლა, ნერვულ სისტემას ეხმარება მოქნილობის შენარჩუნებაში.

**გახსოვდეთ, რომ მობილური ტელეფონით ხანგრძლივი საუბარი ზრდის თავის ტვინის სიმსივნით დაავადების რისკს.**

ფიჯელი კაციჭამიები სულაც არ არიან ველურები. ისინი თავიანთი მტრების ხორცს საკმაოდ კულტურულად მიირთმევენ — დანა-ჩანგლით, და მსხვერპლისგან დარჩენილი ნივთების კოლექციასაც კი აგროვებენ.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოგზაურებსა და თავგადასავლების მაძიებლებს გზამკვლევით ხშირად აფრთხილებენ სხვადასხვა ქვეყნის უცნაურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, რომლებიც საკმაოდ საშიში და სიცოცხლისთვის სახიფათოც კია, მაგრამ მათში არაფერია მინიშნებული კანიბალიზმზე, რომელიც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღესაც არის შემორჩენილი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში.

# შვიდი ქვეყანა, რომლებშიც ჯერ კიდევ შემორჩენილია კანიბალიზმი



## სამხრეთ-აღმოსავლეთი პაპუა-ახალი გვინეა

**კოროვაის ტომი რეგულარულად იკვებება ადამიანის ხორცით. ამ ტომის წარმომადგენლები მდინარის პირას ცხოვრობენ და ყოფილა შემთხვევები, როცა ტურისტები შეუპყრიათ და შეუჭამიათ. ადამიანის ჯერ კიდევ თბილი ტვინი მათთვის ნამდვილი დელიკატესია.**

რატომ ჭამენ ისინი ადამიანებს?

როცა ტომში ვინმე ისე კვდება, და ეს არ არის გამოწვეული არც ავადმყოფობით, არც მოხუცებულობით, ისინი ამ უბედურებას შავ მაგიას მიაწერენ და სხვათა დაცვის მიზნით ამ ადამიანს ჭამენ.

1961 წელს **მაიკლ როკფელერი** (ნიუ იორკის იმჟამინდელი გუბერნატორის — ნელსონ როკფელერის ვაჟი) ამ მიდამოებში მაშინ გაქრა, როცა ადგილობრივი ტომის შესახებ არტეფაქტებს აგროვებდა... მისი ცხედარი ვერსად იპოვეს.



## ინდოეთი

**ჩრდილოეთ ინდოეთში არსებული ინდუისტური სექტა აგჰორი (Aghori) ჭამს მოხალისეებს, რომლებიც ანდერძით უტოვებენ ვინმეს თავიანთ შინაგან ორგანოებს.** 2005 წელს ინდოეთის ტელევიზია დაინტერესდა და შეიტყო, რომ ისინი ჭამენ მდინარე განგში ნაპოვნ (ტრადიციისამებრ, აქ მიცვალებულებს არ მარხავენ, მათ ცხედრებს მდინარეს ანდობენ) მიცვალებულებსაც, ასევე იპარავენ ორგანოებს კრემატორიუმიდან.

რატომ ჭამენ ისინი ადამიანებს?

აგჰორები თვლიან, რომ ეს აჩერებს ორგანიზმის დაბერების პროცესს.

ამასთანავე, ისინი საკმაოდ ლამაზ სამკაულებს აკეთებენ ადამიანის ძვლებისა და თავის ქალებისგან.



## ფიჯის კუნძულები

**ფიჯის კუნძულები დიდი ხნის განმავლობაში ცნობილი იყო „კანიბალის კუნძულების“ სახელწოდებით. აქაური ხელისუფლება და სამართალდამცავები დღესაც სასტიკად ებრძვიან ადგილობრივ მოსახლეობაში ადამიანის ხორცის ჭამის შემორჩენილ ჩვეულებას.** თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქაური აბორიგენები მხოლოდ მტრულად განწყობილი ტომების წარმომადგენლებს ჭამენ და არა თავისიანებს.

მაინც რატომ ჭამენ ისინი ადამიანებს? ეს აქაური შურისძიების რიტუალია.

ფიჯელი კაციჭამიები სულაც არ არიან ველურები. ისინი თავიანთი მტრების ხორცს საკმაოდ კულტურულად მიირთმევენ — დანა-ჩანგლით, და მსხვერპლისგან დარჩენილი ნივთების კოლექციასაც კი აგროვებენ. ასეთი კოლექციის ნიმუშების ნახვა პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიისა და არქეოლოგიის მუზეუმშია შესაძლებელი.



## ბრაზილია

**ბრაზილიაში მცხოვრები ვარის ტომი 1960 წლამდე კლავდა და ჭამდა მისიონერებს და რელიგიურ მოღვაწეებს. შემდეგ კი მისიონერებმა თითქმის მთელი ტომი ამოჟლიტეს.** მიუხედავად ამისა, ოლინდის ჯუნგლებში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია უკიდურეს სიღატაკეში და ამიტომ აქ საკმაოდ ხშირია კანიბალიზმის შემთხვევა.

რატომ ჭამენ ისინი ადამიანებს?

უკიდურესი გაჭირვებისა და შიმშილის გამო.

2012 წელს ჩატარებული გამოკვლევისას ადგილობრივებმა განაცხადეს, რომ ზეციდან ესმით ხმები, რომლებიც უბრძანებენ ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის დაკვლას.



## დასავლეთი აფრიკა

**აქტიური კაციჭამიების საზოგადოება Leopard-ის წევრები გასული საუკუნიდან ჭამდნენ ადამიანებს. 80-იანი წლების ბოლომდე სიერა-ლეონეს, ლიბერიისა და კოტ,დივუარის შემოგარენში საკმაოდ ხშირად პოულობდნენ შეჭმული ადამიანების ნარჩენებს.**

ამ ტომის წარმომადგენლები ლეოპარდის ტყავით არიან შემოსილნი და შეიარაღებულნი არიან მათი ბრჭყალებით.

რატომ ჭამენ ისინი ადამიანებს?

ეს ხალხი თვლის, რომ ადამიანის ხორცის შეჭმის შემდეგ მეომრები უფრო სწრაფები და ძლიერები ხდებიან.

ამ საზოგადოებას თუ ტომს ჰყავს მიმდევრები — საზოგადოება Human Alligator-ის წევრები, რომლებიც ზუსტად ამავე საქმიანობით არიან დაკავებულნი.



## კამბოჯა

**კანიბალიზმი ამ ქვეყანაში განსაკუთრებით მძვინვარებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ომების დროს, კერძოდ, 1960-1970-იან წლებში.** დღეისათვის კაციჭამიობის ფაქტები ადგილობრივებში იშვიათობაა.

რატომ ჭამენ ისინი ადამიანებს?

**კამბოჯელი მეომრებისთვის წმინდა რიტუალს წარმოადგენდა მტრის ღვიძლის შეჭმა.**

ამ ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობა ორგანიზაცია წითელი კხმერების კონტროლქვეშ მოექცა. ეს ორგანიზაცია მთლიანად აკონტროლებდა ქვეყანაში სურსათის მარაგს და ხელოვნურად ქმნიდა შიმშილობის პრეცედენტს.





## კონგო

**კანიბალიზმის ბოლო შემთხვევები კონგოში არც ისე დიდი ხნის წინათ — 2012 წელს გამოვლინდა და კულმინაციას კონგოს სამოქალაქო ომის პერიოდში მიაღწია, კერძოდ — 1998-2002 წლებში, როცა ქვეყანაში საშინელი ქაოსი, შიმშილობა და ათასგვარი დაავადება მძვინვარებდა.**

მაინც რატომ ჭამდნენ ისინი ადამიანებს?

ომის დროს აჯანყებულები თვლიდნენ, რომ, თუ გინდა, რომ სძლიო, მტერი უნდა შეჭამო, განსაკუთრებით კი — მისი გული, რომელსაც ადგილობრივები განსაკუთრებული ბალახებით აზავებდნენ.

კონგოელებს დღესაც სჯერათ, რომ ადამიანის გულის შეჭმა მათ გასაოცარ ძალას მიანიჭებს და დააფრთხობს მტერს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1852 წლის 25 ივნისს რეუსში (კატალონია, ესპანეთი) დაიბადა გამოჩენილი ესპანელი (კატალონიელი) არქიტექტორი ანტონიო გაუდი (ანტონი პლასიდ გილემ გაუდი ი კორნეტი).**

მისი ნამუშევრებია ვისენსის სახლი ბარსელონაში, ელ კაპრიჩიო კანტაბრიაში, გუელიას სასახლე, ეპისკოპოსის სასახლე ასტორგაში (კასტილია, ლეონი), ბალიოსა და მილას სახლები, წმინდა ოჯახის ტაძარი ბარსელონაში და სხვ.

გარდაიცვალა 1926 წლის 10 ივნისს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები






*** 1903 წლის 25 ივნისს მოტიჰარიში (ინდოეთი) დაიბადა ბრიტანელი მწერალი და პუბლიცისტი ჯორჯ ორუელი (ნამდვილი სახელი — ერიკ არტურ ბლერი).**

მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებია: „1984“ და „ცხოველების ფერმა“. ავტორია, აგრეთვე, რომანებისა: „დღეები ბირმაში“; „მღვდლის ქალიშვილი“; „გაუმარჯოს ფიკუსს“ და სხვ.

ჯორჯ ორუელმა პოლიტიკაში დაამკვიდრა ტერმინი „ცივი ომი“, რომელსაც დღეს საყოველთაოდ იყენებენ.

გარდაიცვალა 1950 წლის 21 იანვარს.




*** 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი (1941-1945 წლები). ამ დღეს, გამთენიისას, ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს.**

საბჭოთა ჯარისკაცების თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ომის პირველ კვირებში გერმანელთა შეჩერება ვერ მოხერხდა. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ ბრესტის ციხესიმაგრის მებრძოლები, მინსკის, კიევის, ოდესის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ქერჩის, ნოვოროსიისკის, ტულის, სმოლენსკისა და მურმანსკის დამცველები და ჰიტლერის გეგმა, რამდენიმე კვირაში დაეპყრო საბჭოთა კავშირი, ჩაიფუშა.

ომში გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გაანადგურა ფაშისტთა სამხედრო შენაერთები სტალინგრადთან, კავკასიონის ქედზე, უკრაინასა და ბელორუსიაში.

1945 წლის გაზაფხულზე კი დაიწყო შეტევა ბერლინზე. 8 მაისს გერმანელებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. 9 მაისი კი დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღედ გამოცხადდა.



*** 1898 წლის 22 ივნისს ოსნაბრუკში (გერმანია) დაიბადა XX საუკუნის გამოჩენილი მწერალი ერიხ მარია რემარკი.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „დასავლეთის ფრონტზე ცვლილებები არ არის“, „სამი მეგობარი“, „ტრიუმფალური თაღი“, „შავი ობელისკი“, „აჩრდილები სამოთხეში“, „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილის“ და სხვ.

გარდაიცვალა 1970 წლის 25 სექტემბერს.

*** 1906 წლის 22 ივნისს სუხაში (იმხანად — ავსტრია-უნგრეთის იმპერია, ამჟამად — პოლონეთი) დაიბადა ამერიკელი კინორეჟისორი და სცენარისტი, 60-ზე მეტი ფილმის შემქმნელი, ამერიკის კინოაკადემიის 6 „ოსკარის“ მფლობელი, კანის ფესტივალის გრანპრის ლაურეატი ბილი უაილდერი (სემუელ ვილდერი).**

მის მიერ გადაღებული ფილმებიდან აღსანიშნავია: „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“, „დაკარგული უიკენდი“, „სანსეტის ბულვარი“, „ბინა“, „ბრალდების მოწმე“ და სხვ.

გარდაიცვალა 2002 წლის 27 მარტს.





*** 1919 წლის 28 ივნისს პარიზის გარეუბან ვერსალში ხელი მოეწერა საზავო შეთანხმებას, რომლითაც ოფიციალურად დასრულდა I მსოფლიო ომი.** დიდ ბრიტანეთთან, იტალიასთან, საფრანგეთთან და აშშ-თან ომში გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა თავი დამარცხებულად ცნეს. ამ შეთანხმებით გერმანიამ დაკარგა ტერიტორიები, რომლებიც მიიერთეს პოლონეთმა, საფრანგეთმა, დანიამ, ლიტვამ, ბელგიამ და ჩეხოსლოვაკიამ.



*** 1987 წლის 24 ივნისს როსარიოში (არგენტინა) დაიბადა არგენტინის ნაკრებისა და კატალონიის „ბარსელონას“ თავდამსხმელი, ოლიმპიური ჩემპიონი, ესპანეთის 8-გზის ჩემპიონი, ესპანეთის თასის 4-გზის მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა ლიგის 4-გზისა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის 3-გზის გამარჯვებული ლიონელ ანდრეს მესი, რომელიც 5-ჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად მსოფლიოში.**



*** 1868 წლის 23 ივნისს დააპატენტეს პირველი საბეჭდი მანქანა.** ამ დღეს ამერიკელმა **კრისტოფერ შოულზმა** საბეჭდი მანქანა დააპატენტა, მოგვიანებით მან თავისი გამოგონება მიჰყიდა ფირმა „რემინგტონს“, რომელმაც 1875 წლის 1 მარტს საბეჭდი მანქანის სერიული წარმოება დაიწყო.



*** 1577 წლის 28 ივნისს ქალაქ ზიგენში (გერმანია) დაიბადა სახელგანთქმული ჰოლანდიელი (ფლამანდიელი) მხატვარი პიტერ პაულ რუბენსი.**

მის მიერ შექმნილი ტილოებიდან აღსანიშნავია „მარკიზა ბრიგიტა სპინოლა დორია“, „წმინდა გიორგი და დრაკონი“, „რომული და რემი ძუ მგელთან“, „მიწისა და წყლის კავშირი“, „ომიდან დაბრუნება“, „მიჯაჭვული პრომეთე“, „განიმედის მოტაცება“, „ვენერა“, „მედუზას თავი“, „ვენერა სარკესთან“, „სიყვარულის ბაღი“, „ორფეოსი და ევრიდიკე“, „სამი გრაცია“, „ოთხი ფილოსოფოსი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1640 წლის 30 მაისს.



*** 1914 წლის 28 ივნისს სარაევოში (ბოსნია) ბოსნიელმა გავრილ პრინციპმა ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოკლა.**

სწორედ ეს მკვლელობა შეიქნა პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი — ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ ომი გამოუცხადა სერბეთს, შემდეგ კი ამ ომში ევროპის რამდენიმე სახელმწიფო ჩაერთო.

*** 1712 წლის 28 ივნისს ჟენევაში (შვეიცარია) დაიბადა ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, კომპოზიტორი და ბოტანიკოსი ჟან-ჟაკ რუსო.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „იულია ანუ ახალი ელიოზა“, „აღსარება“, „საზოგადოებრივი შეთანხმების შესახებ“, „მსჯელობა მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ“, „მარტოხელა მეოცნების სეირნობა“, ოპერა „სოფლის ჯადოქარი“, პიესები: „ნარცისი“, „პიგმალიონი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1778 წლის 2 ივნისს.



**სასიკეთო პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად და უთანხმოების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, გარშემო მყოფებს თავს არ მოახვიოთ თამაშის ისეთი წესები, რომლებიც მათთვის მიუღებელია. წარმატებას მიაღწევენ მორიელის, მშვილდოსნისა და თევზების ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**22 – 28 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ იყოყმანებთ, საუკეთესო იქნება პირველი ვარიანტი, რომელსაც ინტუიცია გიკარნახებთ. ფინანსურ საკითხებში თავშეკავება გამოიჩინეთ — დანახარჯები გამართლებული უნდა იყოს. 26 ივნისს მოერიდეთ უცხო ადამიანებთან კამათს, რადგან არ არის გამორიცხული, კონფლიქტში ჩაერთოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, თუ მის მოთხოვნებსაც გაითვალისწინებთ, ჰარმონიულად წარიმართება.

თუ თირკმელები გაწუხებთ, აუცილებლად უნდა ჩაიტაროთ პროფილაქტიკური პროცედურები. რაციონიდან კი ამოიღეთ ხორცი, შოკოლადი და ყავა.

**დადებითი დღე: 22 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 24 ივნისი**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

უარი თქვით ახალ პროექტში მონაწილეობაზე, როგორ მიმზიდველადაც უნდა მოგეჩვენოთ ის. თუ მაინც მოგიწევთ გადაწყვეტილების მიღება, რჩევისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

თავშეუკავებლობისა და აგრესიულობის გამო შეიძლება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ძალიან გაგიმწვავდეთ, მეტიც — არ არის გამორიცხული, ურთიერთობა საერთოდ გაწყდეს, ამიტომ ენას კბილი დააჭირეთ და დაიმახსოვრეთ, რომ უშეცდომო არავინ არის.

იმ კირჩხიბებმა, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, დროა, ზედმეტი კილოგრამების მოშორებაზე იფიქრონ, დაიცვან დიეტა და ფიზიკურად დაიტვირთონ.

**დადებითი დღე: 26 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 24 ივნისი**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

დასახული მიზნებისკენ სავალ გზაზე, შესაძლოა, შეგექმნათ წინაღობები, რომელთა გადალახვაც გაგიჭირდებათ. თავი შეიკავეთ აგრესიის გამოვლენისგან. ეს კარგს არაფერს მოგიტანთ. როგორც კი წონასწორობას დაკარგავთ, მყისვე იგრძნობთ უარყოფით დამოკიდებულებას გარშემო მყოფთა მხრიდან.

საყვარელი ადამიანი რთულ ვითარებაში მხარში ამოგიდგებათ და ეს თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო განამტკიცებს.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ სრულფასოვანი გამოკვლევა.

**დადებითი დღე: 27 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივნისი**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

ამ პერიოდში თქვენი უპირველესი საზრუნავი სამსახურში რეპუტაციის განმტკიცება და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება.

შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობა კოლეგებთან და ისინიც დაუზარებლად ამოგიდგებიან მხარში.

ახლობელ ადამიანთან კამათი და ურთიერთობის გარკვევა კარგს არაფერს მოგიტანთ. სჯობს, მას გულწრფელად დაელაპარაკოთ და ურთიერთობაში წარმოქმნილი პრობლემები კონსენსუსის გზით მოაგვაროთ.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონში შეამცირეთ ცხიმიანი საკვები და ცომეული. მიიღეთ მეტი ახალი ბოსტნეული და ხილი.

**დადებითი დღე: 23 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივნისი**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

შესაძლოა, აღმოჩნდეთ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში და გადაწყვეტილების სწრაფად მიღება დაგჭირდეთ. სარისკო იქნება ავტომობილით მგზავრობა — შეიძლება გაგიფუჭდეთ ავტომობილი და დათქმულ შეხვედრაზე დააგვიანოთ.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებს.

წვრილმანი გაუგებრობის ან თავქარიანი საქციელის გამო შეიძლება გაგინაწყენდეთ საყვარელი ადამიანი. შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი თქვენ უნდა გადადგათ.

კომპიუტერის მონიტორთან ან ტელეეკრანთან დიდხანს ჯდომამ შეიძლება მხედველობის გაუარესება გამოიწვიოს. შეეცადეთ, აქტიურად დაისვენოთ — გახვიდეთ ბუნების წიაღში და ივარჯიშოთ ან, უბრალოდ, ისეირნოთ.

**დადებითი დღე: 27 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 23 ივნისი**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

თუ ენას კბილს არ დააჭერთ და სხვა ადამიანების გაკრიტიკებას თავს არ დაანებებთ, პრობლემები შეგექმნებათ გარშემო მყოფებთან.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობას, რადგან შესაძლოა, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

მარტოხელა ლომებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას მოიწადინებენ, დაოჯახებულ ლომებს კი მეტი მზრუნველობის გამოჩენა მართებთ შვილების მიმართ.

ლომებმა, რომლებსაც თვალის პრობლემები აქვთ, 10-15 წუთი მაინც უნდა დაუთმონ მხედველობის გასაუმჯობესებელ სავარჯიშოებს. კარგი იქნება, თუ რაციონში შეიტანენ რძის პროდუქტებსა და სტაფილოს.

**დადებითი დღე: 22 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 27 ივნისი**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

აღივსებით ენერგიითა და ოპტიმიზმით. თქვენი განწყობა გარშემო მყოფებსაც გადაედება და ერთობლივად შეძლებთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმის დასრულებას.

თუ ცხოვრებას ზებრას შეადარებთ, თქვენ ახლა ფართო თეთრ ზოლზე დგახართ.

მარტოხელა მორიელებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელიც მათი ცხოვრების მეგზური გახდება.

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა შესანიშნავია, მაგრამ პრობლემა შეიძლება ცხიმიანი და ცხარე საკვების ჭარბად მიღებამ შეგიქმნათ. ამიტომ მიიღეთ მეტი ხილი და ბოსტნეული და თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს.

**დადებითი დღე: 27 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივნისი**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

საქმეს, რომლის გაკეთებასაც შეეცდებით, იმაზე მეტი დრო და ენერგია დასჭირდება, ვიდრე გათვალისწინებული გქონდათ. ამის მიუხედავად, ოპტიმისტურად განეწყვეთ, რადგან ყველა პრობლემის მოგვარებას შეძლებთ, თუმცა ამისთვის კოლეგების დახმარება დაგჭირდებათ.

შეყვარებული მერწყულებისთვის კარგი პერიოდია ჯვრისწერისთვის. დაქორწინებული მერწყულების ურთიერთობა ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან შესანიშნავად წარიმართება.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი დაემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ სტომატოლოგს კბილების მდგომარეობას შეამოწმებინებთ.

**დადებითი დღე: 27 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 23 ივნისი**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ეს პერიოდი შეიძლება საგამოცდო სესიას დაემსგავსოს — როგორც ჩააბარებთ გამოცდებს, ისე განვითარდება სამომავლოდ მოვლენები თქვენ გარშემო. მოერიდეთ რადიკალურ ცვლილებებს.

ნუ გაასესხებთ ფულს და ნუ აიღებთ ვალს, რადგან, შესაძლოა, ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასაღრმავებლად კარგი იქნება, თუ ერთად იმოგზაურებთ ან ერთობლივად მოაგვარებთ საოჯახო პრობლემებს.

დიდია ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 27 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 25 ივნისი**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

კარგად გააანალიზეთ თქვენ გარშემო შექმნილი ვითარება და მიხვდებით, რომ დროა, შეცვალოთ მეთოდები, რომლებითაც დასახული მიზნების მიღწევას ცდილობთ. სათანადოდ დააფასეთ იმ ადამიანების შრომისმოყვარეობა და ერთგულება, რომლებიც გვერდით გიდგანან.

კარგი იქნება, თუ დაოჯახებული ქალწულები მეუღლის პროფესიულ ან ფინანსურ საქმეებში ჩაერთვებიან და პრობლემების მოგვარების გზებს ერთობლივად გამონახავენ.

ასეთი საქციელი მათ ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 28 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 26 ივნისი**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

კარგი პერიოდია. შესაძლოა, შემოგთავაზონ სხვა სამსახურში მუშაობის დაწყება. ვიდრე დათანხმდებით ან უარს იტყვით, შეთანხმების ყველა დეტალი კარგად გააანალიზეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი და ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ.

თუ თავს არ დაანებებთ საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებას უმნიშვნელო შეცდომის გამო, კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ. ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას კი, მცდელობის მიუხედავად, საკმაო დრო დასჭირდება.

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ გამოკვლევა. დაავადების თვითდინებაზე მიშვებამ შეიძლება პრობლემა შეგიქმნათ.

**დადებითი დღე: 26 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 22 ივნისი**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

სასიკეთო პერიოდია ახალი პროექტის დასაწყებად და უძრავი ქონების შესაძენად. ყველა საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ძალები სწორად უნდა გაანაწილოთ, თორემ გამოიფიტებით და ჯანმრთელობის მდგომარეობას გაიუარესებთ.

ბევრი თევზი იპოვის საყვარელი ადამიანის ხასიათში ახალ შტრიხებს და მათი ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავა.

მარტოხელა თევზები საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობენ და რთული არჩევანის წინაშე დადგებიან.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 27 ივნისი**
**უარყოფითი დღე: 23 ივნისი**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# «კარვების რევოლუცია»

**ცნობილმა უკრაინელმა ოლიგარქმა იგორ კოლომოისკიმ მიხეილ სააკაშვილს თავის დროზე „უალიკაპო ძაღლი“ და „ჟლვინტიანი ნარკომანი“ უწოდა: „უალიკაპო ძაღლი, ვინმეს რომ დაკბენს, უნდა დაისაჯოს ძაღლიც და, რაც მნიშვნელოვანია, მისი პატრონიც. ძაღლებს დააძინებენ და წამლავენ. ჩვენ შემთხვევაში კი ფასდადებით უნდა გაიგზავნოს საქართველოში, რათა პასუხი აგოს იქ დაკბენილ ადამიანებზე... უაზრობაა, მოვკითხოთ ჟლვინტიან ნარკომანს პასუხი, სანამ ნარკოდამოკიდებულებისგან გასათავისუფლებელ მკურნალობის კურსს არ გაივლის“.**

ეს ითქვა შარშან, შემოდგომაზე, მაგრამ, რადგან უკრაინის ხელისუფლებამ კოლომოისკის რჩევა არ გაითვალისწინა, მიხეილმა გადაწყვიტა, მიეხედა თავისი სულიერი და ფიზიკური გადახრებისთვის და ქალაქიდან მოშორებით დასცა კარავი და იქ დასახლდა.

გამოვიდა რა, ესეც ლიბიის ყოფილი ლიდერი — მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდელ სალამ ბენ ჰამიდ ალ-კადაფი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქში ვიზიტად ჩასული თან დაათრევდა თავის ძვირფას ბედუინის კარავს, გაშლიდა და იქ ცხოვრობდა თავის ხოშზე.

რას არ იტყვიან!

**ჯერ ერთი, მიშა მუამარი არ არის, ბედუინიც არ იქნება, რადგან, ბავშვების სათამაშო ცხენის გარდა, სხვა ოთხფეხა ცხოველზე არ მჯდარა, არაბული ჯიშისაზე — მით უფრო.**

შემდეგ: ნარკომანი არ არის, არც ჟლვინტიანი, თქვენ წარმოიდგინეთ. კარავში ნორმალური პარამეტრებიდან ამოვარდნილი ბოდვითი იდეების დასამშვიდებლად კი არ ჩასახლდა, არამედ კორუფციის აღმოსაფხვრელად ცალკე აღებულ ოდესა-რენის ავტომაგისტრალის არეალში წლევანდელი შემოდგომის დადგომამდე, როცა საქართველოში შემოდგომის მოსაბეზრებელი წვიმა იწყება, უკრაინაში კი აცივება.

**რატომ კარავში და რატომ მაინცდამაინც შემოდგომამდე?**

**1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების კვალზე და ლენინის, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, რაზლივის ტბასთან ჩადგმული კარვის მაგალითზე.**

მსოფლიო მასშტაბზეა ლაპარაკი, რადგან **ნაცების ნარჩენების თავგადაკლული მტკიცება, რომ მიშა „რეგიონული მასშტაბის ლიდერია“, აშკარად ხელს არ აძლევს „დემოკრატიის ყოფილ შუქურას“, დიდ რეფორმატორსა და ხელისუფალს, რომლის მსგავსი საქართველოს დავით IV აღმაშენებლის შემდეგ არ ჰყოლია.**

ჩალის კარავი გაუთიბავ მინდორში ჩაუდგეს ილიჩსა და ზინოვიევს. მთიბავი ფინელების როლი უნდა ეთამაშათ რევოლუციის ამ წინამძღოლებს, მაგრამ ვლადიმერ ილიჩს თიბვისა არაფერი გაეგებოდა, **ზინოვიევს** კი — ეზარებოდა. ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის შემძლე ლენინს ცელის მოქნევა რომ არ შეეძლო, ხალხს როგორ გაუმხელდნენ?! ან იმის თქმას ვინ გაბედავდა, რომ ხალხის თვალს გარიდებული წყვილი სიამტკბილობაში ატარებდა დროს ბუნების წიაღში. **ფაქტს, ლენინი მარტო რომ არ ცხოვრობდა კარავში, ედო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“.**

ლენინისგან შექმნეს რევოლუციის გმირის ხატება, რომელმაც მარტო განვლო ცეცხლოვანი გზები, გააპო ზღვები და... დაივანა რაზლივის კარავში.

მარტომ და ერთადერთმა.

**მიხაილ ლენინოვიჩ სააკაშვილმა ეს როლი თვითონვე მოირგო.**

უკრაინაში შეიძლება დაუჯერონ, საქართველოში არა, რადგან ნასწავლი გვაქვს შერეკილების გაკვეთილი, როცა ნოშრევან კუჭუხიძის „ნეონერვო-კლინიკის პაციენტებმა „გნოლიძემ, ლორიამ, ჩილაჩავამ, სიმონგულოვმა და ტყეშელაშვილმა ჩალის კარავში მოაწყვეს შეთქმულება“, რომელიც დამთავრდა იმით, რომ „კარპეზა დენიაგმა (ნოშრევანის კაცმა) დროზე უცვალა გეზი შეთქმულებას, სხვა მსვლელობა მისცა და ოყნებს დაუკავშირა ამ საქმეში თავადაზნაურობასთან გათანაბრება მოითხოვა.






ამასობაში ალმასასა და მაისას კარავი შემოეჭამათ.

თავსხმა წვიმაში კი შეთქმულება ჩვენში ინტერესს კარგავს“ *(რეზო გაბრიაძე).*

მიხეილის მიდრეკილებაც „რევოლუციური კარვებისადმი“ ისევე გაქრება და ჩაიფუშება, როგორც რაზლივში დაბადებული იდეები.

რუსეთში ხუმრობენ: რევოლუციური პეტერბურგის დათვალიერება აუცილებლად უნდა დაიწყოთ ლენინის კარვით რაზლივის ტბასთან.

**მიხეილ ლენინოვიჩის რეფორმატორული გზასავალის პირველი პუნქტი კი აუცილებლად იქნება ოდესა-რენის ავტომაგისტრალის 32-ე კილომეტრზე ნაჩალიჩარი კარავი.**

საქართველოში ასეთი კარავი აღარ არსებობს, რადგან, როგორც რეზო გაბრიაძემ „შერეკილებში“ გვითხრა, „ალმასას და მაისას *(ჩალის)* კარავი შემოეჭამათ“.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამ ფონზე ჟირინოვსკის გესლიანი სარკაზმიც კი გასაგები ხდება: „მიეცით უკრაინა სააკაშვილს და წესრიგი დამყარდება, ისე კი — ბარდაკია“.**

# «კაცი არ ყველა სწორია»

**2016 წლის 15 ივნისს გამომცელობა „ინტელექტის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია ეროვნული მთავრობის წევრის, ლიტერატურათმცოდნის, ფილოლოგ თემურ ქორიძის წიგნისა „კაცი არ ყველა სწორია“.**




ეს არის თემურ ქორიძის პირველი წიგნი, რომელშიც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი საქართველოს მიერ განვლილ პოლიტიკურ ცხოვრებას იხსენებს.

ბაჩანა ბრეგაძე თემურ ქორიძეზე წერდა: „შესანიშნავი ლიტერატორი ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობათა უტყუარი კრიტიკული ალღოთი ზუსტად განმცდელი და შემფასებელია“ და მართლაც, წიგნში „კაცი არ ყველა სწორია“ ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული დეტალურად და ფაქტობრივი მასალებით ზუსტად არის აღწერილი ჩვენი ქვეყნის ბობოქარი ცხოვრება.

„ბატონი თემური სამშობლოს სამსახურს მუდამ თავგანწირვისთვის მზადებას უკავშირებდა და ეს განცდა მასში თავმდაბლობასთან იყო შერწყმული“, — წერს წიგნის შესავალში რედაქტორი **ბესიკ გვაზავა.**

წიგნი, მართლაც, ასეთი სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, გარეკანზე ავტორის სიტყვებია: „დიახ, კულტურის მთელი ისტორია ერთობ სასტიკი და დაუნდობელი ბანალურობით ხასიათდება: თუ რჩეული ხარ, ჭეშმარიტი პოეტი და შემოქმედი ხარ. ამ უპირატესობის გამო, თურმე, გამუდმებით უნდა მარტვილობდე“.

პრეზენტაციაზე მოსულმა სტუმრებმა „კაცი არ ყველა სწორია“ უნიკალურ გამოცემად შეაფასეს. თემურ ქორიძემ კი თქვა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების... დიდხანს ვფიქრობდი ამ წიგნის გამოცემაზე... ვფიქრობ, ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც შემეძლო და უნდა მეთქვა, მაგრამ არის ისეთი რალაცები, რისი თქმაც არ შეიძლება და საფლავში ჩავიტან...“

**მომზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# თბილისის საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია 1 ივლისს დაიწყება

**2016-2017 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის რეგისტრაცია 1 ივლისს დაიწყება. თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი ორ ეტაპად წარიმართება.**

პირველი ეტაპი **1 ივლისს, 13:00 საათზე,** დაიწყება — დარეგისტრირდებიან შემდეგი კატეგორიის ბავშვები:

**ა)** 100 000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები (სოციალურად დაუცველი);

**ბ)** სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ფილიალის, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების) მოწერილობის საფუძველზე;

**გ)** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები;

**დ)** იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით;

**ე)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შუამდგომლობის საფუძველზე.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი 8 ივლისს, 13:00 საათზე დაიწყება და ელექტრონულად დარეგისტრირდება ყველა კატეგორიის ბავშვი.

რეგისტრაცია შესაძლებელია მშობლის მიერ შერჩეულ მხოლოდ ერთ საჯარო ბაგა-ბაღში, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებგვერდზე kids.org.ge.

„წელს საჯარო საბავშვო ბაღებში 12 ათასი ვაკანტური ადგილი იქნება. ამასთანავე, მოთხოვნიდან გამომდინარე, ბაღებში არსებული სათათბირო ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე, ბაგა-ბაღის დირექტორისა და სააგენტოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, სექტემბერში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობა გაიზარდოს“, — განაცხადეს დედაქალაქის მერიაში.

დედაქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღებში 2016-2017 სასწავლო-სააღმზრდელო წელი 15 სექტემბერს დაიწყება.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს. ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის შეკრულობა, ხანგრძლივად მიმდინარე კუჭის აშლილობა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,**
**მისამართი: უზნაძის ქ. №12ა**
**(ყოფილი კამოს ქუჩა)**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894